ლიტერატურული გაზეთი

№7 (263) 8 - 14 მაისი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

შემდეგი ნომერი გამოვა
ერთ კვირაში
15 მაისს

ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

გაგრძელება
დასაწყისი N262

ასე გახდა ქუჩა სახლი — საპატიო და პატივსაცემი სახლი არა მარტო საბჭოთა რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი იმ ოჯახიშვილებისთვის, რომლებიც განთქმულ დამნაშავეებად იქცნენ.

ცნობილი მსახიობი, ასევე რეპრესირებული და ცნობილი გვარის შთამომავალი დოდო აბაშიძე სუსტი ბავშვი იყო და ასე ობლად, უმამოდ დარჩენილს ვინმემ დედა რომ შემაგინოს, რაღა მეშველებაო და მთელი ცხოვრება გირები არ გაუგდია ხელიდან. იმდენი ივარჯიშა, ბოლოს ცნობილი დამრტყმელი გახდა — ქუჩურ, არალეგალურ კრივში გადიოდა და შვიდ კაცს ერთად სცემდა. დოდო აბაშიძეც, ისევე როგორც ცნობილი მწერლები — გურამ რჩეულიშვილი და ვაჟა გიგაშვილი — მათთან შეზრდილ თავის უბნელ ავტორიტეტებთან მაგრად ძმაკაცობდნენ და ქუჩურ რიარიაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

აი, ასე წამოვიდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ქართულ ყოფაში ლეგენდები ქუჩაზე და სამართლიან, პატიოსან მეამბოხეებზე, მაგარ, თავზეხელაღებულ ქუჩის ბიჭებზე — განაბებზე — და ეს ლეგენდები პირდაპირ გადასარევად ჯდებოდა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და მთელი კავკასიის კეთილშობილი ყაჩაღების, აბრაგებისა და ფირალების ტრადიციებში: ყველა ეს არსენა მარაბდელი, ხარება და გოგია, ზელიმხან გუჩმაკაზაევი, გურული ფირალების მთელი პლეადა, გოგია ღლონტი, დათიკო შევარდნაძე, მეხუზალა სხვადასხვა „ტყის ძმები“ და ტყის „საძმოები“, რომლებიც სახალხო გმირებად იყვნენ ქცეულები, მით უმეტეს, თუ ტყვიით, სახრჩობელით, ციმბირით ანუ მოსახლეობის თვალში მოწამეობრივად დაასრულებდნენ ცხოვრებას. სახალხო გმირები, ლეგენდები და მითები კი ამ აბსურდულ, უწიგნურ და საწყალ ხალხში ასევე აბურდულად და უწესრიგოდ იყო გავრცელებული — სადაც სტალინი ფარნავაზისა და მისი დურძუკი ანუ ვაინახი ცოლის შვილი შეიძლება აღმოჩენილიყო, ერეკლე მეფე გიორგი სააკაძისა და თამარ დედოფლის შვილი, თავად ერეკლე მეფეს კი სამი ცოლი ჰყვანდა, ბერძენი ქალღმერთი ათინა პალადა, მეორე ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, რომელიც რომაელი ანტონიუსისათვის წეერთო და მესამე ამერიკელი მსახიობი ავა გარდნერი. ისე, მეფე ერეკლეს მართლა სამი ცოლი ჰყავდა და ის მესამე, ჰოლივუდის კინოვარსკვლავისა რა მოგახსენოთ და კაი ავი მეგრელების პრინცესა კი გახლდათ და ყური რომ მოეკრა მისი მეფე-ქმრის სასიყვარულო ამბებზე ჭორაობასა, მაგ ტყუილისა და ავის ხმების დამყრელების გრძელ ენებს კი ნახავდნენ შაითანს ბაზარზედ გაკიდებულებს.

აი, ამ წამოდგენილი თუ რეალური სახალხო გმირების პირდაპირი შთამომავლები და მემკვიდრეები გახდნენ ქუჩური, ანუ საბჭოთა სინამდვილისთვის ყველაზე უფრო რეალური, ცხოვრების ავტორიტეტები. ჰყვებოდნენ, როგორ გადაუხადა გურამ მდივანმა ვალი მასთან საქმის გასარჩევად მისულ ორ მოქიშპე მხარეს. პირდაპირ იქვე საკუთარი ჯიბიდან ამოიღო ფული: „აი, ამაზე როგორა ხოცავთ, ბიჭო, ერთმანეთს, როგორ არ გრცხვენიათ, აჰა, გამომართვით, ერთმანეთში გასწორდით და აქედან დამეკარგეთ, თქვე მატრაბაზებო, არა მცალია თქვენთვის და გირჩევთ, თვალში აღარ მომხვდეთო“... ნახალოვკელი ჩაია, რომელიც პროფესორივით განათლებული იყო და დახვეწილი მანერები ჰქონდა, დიმა ლორთქიფანიძე, რომელიც პარიზში იყო დაბადებული და ხუთი ენა იცოდა. ჰყვებოდნენ გელოვანზე, რომელმაც გაიგო, რომ პლეხანოვის მილიციაში პლეხანოველ ბიჭებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ და სცემდნენ, „პობედით“ მიადგა მილიციის განყოფილებას, გადმოვიდა მანქანიდან და „პაჩტოვი“ შავი ბუნდი ნაგანიდან დაუშვა, მთელი ბარაბანი დააცალა. დემონსტრაციულად ესროლა და ამით პირდაპირ საკუთარ სიკვდილზე დააბიჯა, აშკარა ტყვიაზე წავიდა, ჯერ იქვე საპასუხო ცეცხლი და მერე ეს უკვე მარტო კრიმინალური კი არა, მართლა ანტისაბჭოთა დემარში იყო, რისთვისაც გელოვანს „ვიშკა“ — დახვრეტა — ელოდა. ეს სროლა მაშინ ისეთივე რეზონანსული იყო, როგორც 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა რუსული ჯარის მიერ ქართველი სტუდენტების დახვრეტის შემდეგ იგივე გურამ რჩეულიშვილმა და ვაჟა გიგაშვილმა, მაშინ ოცი-ოცდაორი წლის ბიჭებმა, ახლანდელი თავისუფლების მოედანზე წამომართულ ლენინის ძეგლს ორლულიანი სანადირო თოფი რომ დაახალეს სიძულვილისა და პროტესტის ნიშნად. ეს ორივე შემთხვევა იმდენად გაუგონარი, თავხედური და თავზეხელაღებული საქციელი იყო, რომ ადგილობრივმა ცეკა-ტეკამ და „ძაღლობამ“ შსს-მ და კგბ-მ თავადვე ჩაფარცხა, შეეშინდათ, რომ იმ ეშმაკების კრემლის ყურამდე მიაღწევდა ეს სკანდალური ამბები, მთელს საბჭოთა კავშირში გახმაურდებოდა და თავის წილ პასუხისმგებლობასა და სასჯელს ვერც ისინი ასცდებოდნენ. მით უმეტეს, რომ ქართველ საბჭოთა ფუნქციონერებს, გულიგულში, ქართველ დისიდენტებზე და კრიმინალებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ ეზიზღებოდათ კომუნისტები და საბჭოთა რუსეთი.

ამ პერიოდში ქართული დამნაშავეთა სამყარო ისე გაძლიერდა, რომ რამდენიმე განგსტერული სკოლაც კი შეიქმნა — თბილისური, ქუთაისური, მეგრული, რომელიც აბაშიდან მოყოლებული გაგრამდე ვრცელდებოდა მთელი აფხაზეთის ჩათვლით და ცალკე ზღვისპირული სკოლა, ძირითადად, ბათუმი-ფოთი-გურიის ბრიგადები და, რა თქმა უნდა, ერთად თუ ცალ-ცალკე, დაუყოვნებლივ გადავიდნენ ფრონტით შეტევაზე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და კარგა ლაზათიანადაც დაამჩნიეს მთელს „დიად საბჭოეთს“ თავისი კვალი. მარტო ოდესაში უჭირდათ, მაგრამ ოდესა ყოველთვის ცალკე პლანეტა იყო, ცალკე სამყარო, თავისი ოდესელი ებრაელებით, გერმანულ ირდიშზე დამყნობილი რუსულითა და უკულმართი და ოხრული ებრაული გენებითა და გონიერებით.

ქუჩური ცხოვრების კულტმა, მოდურობამ და მეინსტრიმმა მე-20 საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში თავის პიკს მიაღწია და სწორედ მაგ დროსვე გაებნენ საბჭოთა უშიშროების — კგბ-ს მიერ უხვად დაგებულ ხაფანგებში — დიდი ფულის გემო გაიგეს, ოქროებში ჩასხდნენ, მაშინდელ იატაკქვეშა ბიზნესს — ეგრეთ წოდებულ „ცეხავიკებს“ და „დელეცებს“ — დაუახლოვდნენ, პოლიტიკაში ჩაერივნენ. ყველაზე ცნობილი და გამოსული ქურდების უმეტესობა, ნებით თუ უნებლიეთ, მათი საძულველი, მათ მიერვე „ძაღლებად“ წოდებული ძალოვანების, შსს-ს და კგბ-ს კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ.

ყველაზე შეუპოვარ, დაუმორჩილებელ და გაუტეხელ განაბებს კი პროვოკაციებს უწყობდნენ, „აბეტონებდნენ“, გონებისა და ნების შემზღუდავ და მაბლოკირებელ ინექციებს უკეთებდნენ, უმკაცრეს ზონებში — „ასობნიაკებში“ — უშვებდნენ, რომელსაც „ბელი ლებედი“ და „ჩორნი დელფინი“ შეარქვეს. „ჩორნი დელფინი“ სიკვდილმისჯილებისა და სამუდამო პატიმრობა მისჯილების ზონა იყო, „ბელი ლებედს“ კი ეძახდნენ ზონას, სადაც ქურდებს ან თავის სტატუსსა და პრინციპებზე უარი უნდა ეთქვათ ან მომკვდარიყვნენ, ამიტომაც ერქვა „ბელი ლებედ“ — ანუ „პოსლედნაია პესნია ბელოგო ლებედია“ — თეთრი გედის უკანასკნელი სიმღერა სიკვდილის წინ — ესეც ქუჩური ლირიკისა და ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში — „მეჩტა ბლატნოვა პოეტა“... ამას მოჰყვა შიდა განგსტერული გარჩევები და სისხლისმღვრელი ომები ძველი და ახალი ყაიდის მიმდევარ განაბებს შორის. ომებში კი ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერ დროს, ქუჩური ომები იქნება ეს, თუ საგალაქტიკათშორისო ვარსკვლავური ომები, ყოველთვის ყველაზე უკეთესები, მამაცები, გულანთებულები და გულუბრყვილოები იღუპებიან — ყველაზე საუკეთესოები. ასეთი ტერმინიც კი გაჩნდა „ვორ ვ კონფლიქტე“ — იყო მერე „გაბოზების“ დამადასტურებელი წითელლენტიანი მკლავების საკუთარი ხელით მოჭრა, იაპონელი სამურაების ჰარაკირის მსგავსი რიტუალური თვითმკვლელობები შეძახილით: „სმოტრიტე სუკი, ვოტ ტაკ უმირაიუტ ვორი!..“ ქართველებიდან სხვებთან ერთად სწორედ ის „კუტი“ ანუ ინვალიდი — წელს ქვემოთ მოწყვეტილი ალბერტა გეთაშვილი იჯდა და იქვე მოკვდა, არ დაბრუნებულა ცოცხალი „ბელი ლებედიდან“ — იქ სიკვდილი კი იმას ნიშნავდა, რომ ვერ გატეხეს, ვერ „გააწითლეს“ და ქურდად მოკვდა.

შემდეგი დიდი ტალღა ქუჩური მეინსტრიმისა 70-80-იან წლებზე მოდის და მისმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა ტალღამ ზუსტად და აკურატულად 90-იან წლებში დაარტყა, თუმცა ეს უკვე დაღმასვლა იყო. ის, რომ სადღაც 10-15 წლის მერე ისე გაანდგურეს და გატეხეს მთელი ეს განგსტერული საგა, რომელიც უკვე ძალიან დასუსტებული და დისკრედიტირებული იყო, რომ არც დაღლილან, სწორედ ამას ნიშნავდა. მაშინ კი ჩაბნელებულ და დანგრეულ თბილისში ბიჭებისთვის მთავარი გასართობი მანქანების საბურავების, აკუმულატორების, მაგნიტოფონების მოპარვა, უფრო გამბედავებისთვის კი ეგრეთ წოდებული რეკეტი ან უბანში წილში ჩაჯდომა, ან ეგრეთ წოდებული გოპტოპი, ანუ მოქალაქეებზე ჩასაფრება და მათი ძარცვა, უფრო ხშირი კი ქურთუკების გახდა იყო. მოკლედ, მთელი ქალაქი უცებ ჟორჟ ამადუს „ქვიშის კარიერის გენერლებად“ იქცა.

ახლა თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს ყველაფერი, მთელი ეს უბედურება, იმ პერიოდში მართლაც მოდაში იყო!..

გახსოვთ დიუმას ლეგენდარული „სამი მუშკეტერის“ არანაკლებ მაგარი გაგრძელება „20 წლის შემდეგ“, რომფორი რომ ჰყვება: ფრონდამდე ცოტა ხნით ადრე პარიზის მოქალაქეებისთვის — დარბაისელი ბურჟუებისთვის მოსასხამების გახდა რომ შემოიღეს მოდაში და ამ საქმეზე კარდინალმა მაზარინიმ ბასტილიაში ჩამაყუდაო. რაღაც ამის მსგავსი იყო. მაზარინიმ დარტანიანს რომ მოაყვანინა პირდაპირ ბასტილიის დილეგიდან სასახლეში მისი ძველი მტერი გრაფი როშფორი. გაოგნებულმა როშფორმა მაზარინის რომ ჰკითხა, მართლა მოსასხამის გახდისთვის გამომკეტეთ ამდენი წლებია ბასტილიაშიო? რაზეც მაზარინიმ დაუყვავა: „არა, მარტო მაგ წვრილმანი ბანდიტობის გამო, არა, სხვა საქმეებიც იყოო“ და თავისუფლება ანუ თანამშრომლობა შესთავაზა, რასაც ყველა დროის ყველა ეპოქაში და ქვეყანაში გაბოზება ერქვა. გრაფ როშფორს ეგრევე გაახსენდა, რომ გრაფი როშფორი და აზნაური იყო, ზიზღით აუქნია ხელი კარდინალის წითელ მანტიაში გამოწყობილ იტალიელ მდაბიო ჩიპოლინოს და უკან ბასტილიაში გაბრუნდა. გზაში კი იშუსტრა და დატყდომაც მოახერხა ბებერმა ჩათლახმა როშფორმა, ძველი შკოლა მაინც ოხრული ამბავია. გაგრძელებაც დაახლოებით ერთნაირი ჰქონდათ ამ საქმეებს. კარდინალი მაზარინისა არ იყოს, ვისაც ფაქტზე დაიჭერდნენ, ჯერ ერთიორს წამოარტყამდნენ, მერე დაემუქრებოდნენ — „უტ, შე მხეცო, შე ნადირო, შე ახვარო ბავშვო, რატომ გახადე მოქალაქე მოქალაქეს ქურთუკი, რატომ წაართვი და ატირე ცხარე ცრემლით? დაგიჭერ, დაგაპატიმრებ, ერთხელ, ორჯერ, სამჯერაც დაგიჭერ, რომ გაგდებ ჰაერში, იმდენს გირტყამ, დაბლა აღარ დაგიშვებ, ციხიდან აღარ გამოგახედებ, შე უზრდელოო“... მერე შეიცოდებდნენ, წყალს დაალევინებდნენ, სიგარეტს მოაწევინებდნენ, ანუგეშებდნენ. „კაი, ნუ გეშინია, ახალგაზრდობაში ვის არ გვიმაიმუნია, ჰეჰ, მე რომ ვაკეთებდი, ჩემი დედას“... თან კმაყოფილები გადახედავდნენ თავის კოლეგა პოლიციელებს დასტურისთვის. ისინიც სიცილით დასტურის ნიშნად თავის კანტურს მოჰყვებოდნენ. მოკლედ, თუ კაი ბიჭი იქნები და კარგად მოიქცევი, ამ ერთხელ გაპატიებთ და გაგიშვებთ, ანუ გრაფი როშფორისა არ იყოს, გაბოზებას შესთავაზებდნენ. ვიღაცებთან გასდიოდათ, მით უმეტეს, თუ მშიშრები და უპატრონოები იყვნენ. თუმცა, ამ თანამშრომლობით მათმა უმრავლესობამ მოგვიანებით მშვენიერი კარიერა გაიკეთა და საქართველოს პარლამენტი, ხელისუფლება და სამინისტროები სავსეა ეგრე ბავშვობიდან გაბოზებული და სულ უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკოსებით, პიჯაკები რომ ჩაიცვეს, ლოყები და ტრაკები დაისიეს, ფირმა ჰალსტუხები ჩამოიკიდეს და კაბინეტებში მოსხდნენ. თან ისე დაავიწყდათ ბავშვობის შიშები, ელდა და ჩამშვების იარლიყი, რომ ყვითელ, ვულგარულ ჟურნალებში ინტერვიუს დროს ამაყად აცხადებენ: „ქუჩის აკადემია გვაქვს გავლილიო!..“ ნასედკები რომ იყვნენ, მაგას კი წინდახედულად გამოტოვებენ ხოლმე... რა იცი, ისევ რომ მოხვდნენ ციხეში, თან ერთი ქურთუკისა და ადამიანის კი არა, ახლა უკვე მთელი ქვეყნის გაძარცვისთვის, ხომ ამოაყოფინეს ეგრევე თავი „საქათმეში“ და აყურყუმელავეს პარაშაში?.. ან ქუჩაში — „აკადემია“ „ლიცეუმი“, ან „კეთილშობილ ქალთა გიმნაზია“ სად ნახეს ერთი?!

ვიღაცებმა კი გრაფი როშფორივით მაგრად დაიჭირეს თავი და უკან, ბასტილიაში, შებრუნდნენ, მაგრამ რაკი წიგნებისგან განსხვავებით ცხოვრებაში მთლად ასე კარგად არ მთავრდება ყველაფერი, ეს სიმტკიცე და ვაჟკაცობა ძალიან ძვირი დაუჯდათ. ზოგს ციხეშივე ამოხდა სული, ზოგი ამ გაუთავებელ და დაწყევლილ ომებში დაიღუპა, ზოგიც ქუჩის სისხლიან გარჩევებს, ნარკოტიკებს და ავარიებს გადაჰყვა. ვინც ცოცხალია, იმათაც მაგარი გარეკილი აქვთ. ეგრეა — კაცობა და ღირსება ძვირი ჯდება, გაბოზება კი ადვილი და მომგებიანია... თან ახლა, აგე, მოდაშიც შემოვიდა და „წარმატებული“ დაერქვა, როგორც მაშინ ის საგიჟეთი იყო მოდაში.

ისევ ეს ოხერი მოდა, მაგრამ მართლა ასე იყო და რას იზამ? მოგწონდა თუ არ მოგწონდა და გეცოდებოდა თუ არა შენ, მოძალადეს, დაზარალებული. თან ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მეორე ღა-

მეს თავისუფლად შეიძლებოდა, ის დაზარალებული ქცეულიყო მოძალადედ, მოძალადე კი დაზარალებულად და ახლა იმას გაეძარცვა თავისი თანამოქალაქე და მოყვასი. ანუ ისევ ქუჩური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სრული „ბესპრედელი“ სუფევდა ამ მშვენიერ, ჩაბნელებულ და განგსტერულ დედაქალაქში. თბილისი ნამდვილ სიკვდილის ხეობად იყო ქცეული თავისი — „სად არის სხვაგან ახალი ვარაზი, სად არის ჭაღარა მთაწმინდაა...“

სწორედ ასე მოუვიდა მათ ერთ ძმაკაცსაც ავლაბარში, როდესაც მსხვერპლს თავისი საყვარელი ესპანური დანა „ნავახო“ ჩაუხსნა — გაიხადეო. მსხვერპლი თვითონაც კაი უბედურება აღმოჩნდა, „მაკაროვი“ დააძრო და ისე თხარა ხახაში, როგორც ბავშვობაში ბოროტი ექთნები კოვზის ტარს ანგინისგან შეწითლებული გლანდების გასასინჯად — „აბა, ახლა მიდი ბასსოტა და შენ თვითონ გაიხადეო.“ გამწარებულმა ძმაკაცმა შეურაცხყოფისგან, სიბრაზისგან, შიშისგან თუ ამ ყველაფრისგან ერთად, ადგა და პირში შეკვეტებულ „მაკაროვს“ ლულაზე უკბინა. მოძალადედ ქცეულ მსხვერპლს, რომელიც უკვე თავად ქცეულიყო მძარცველად და შეიძლება წამის მეასედში „სველი საქმისათვის“ ანუ მკვლელობისთვისაც გამოეკრა ხელი, გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა, ფრთხილად ამოაძრო მაკაროვის ლულა გლანდებიდან, ხაფანგში მოყოლილი მგელივით რკინის მღრღნელ, „ნავახო“ მომარჯვებულ ბიჭს: „შენ, ძმაო, გიჟი ყოფილხარ, ვიღაცა ხარო“ და ასე მშვიდობიანად, უსისხლოდ გაიშალნენ, ის თავის „ნავახოთი“ და ეს თავის „მაკაროვით“. მერეც კარგა ხანს ჰყვებოდნენ ამ ისტორიას სიცილით და სიამაყით, თუმცა აქედან რომ გადახედო, ალბათ არც სასაცილო იყო რამე და, მით უმეტეს, არც საამაყო... მაშინ კი ეს ყველაფერი ძალიან სერიოზული ამბავი იყო. სპეციალური ადგილებიც ჰქონდათ შერჩეული, საიდუმლო სახლები — ბაითები — საბურთალოზე, ვეძისზე, ზოვრეთის ქუჩაზე და ავლაბარში, შავ სოფელში, დოლაბურის ქუჩაზე. ხო, ავლაბრამდე უწევდნენ ხოლმე და ერთ-ერთი ცნობილი ჩასასაფრებელი ადგილი მანდა ჰქონდათ, შავ სოფელთან, ყოფილი რიტუალების სასახლის დაბურულ და ბნელ ბაღში, რომელსაც ამ უბნელი, ადგილობრივი დამნაშავეები „ჩორტიკას ბაღს“ ეძახდნენ... სწორედ ამ მიდამოებში მოუხდა ის საქმე იმ ძმაკაცს, „მაკაროვის“ ლულას ასე ახლოს რომ გაეცნო. ამ ბაღზე და თავგადასავალზე „ცარიელ საფერფლეშიც“ არის მოთხრობილი და იმდროინდელი სიგიჟეები რამდენიმე ენაზეც თარგმნეს.

მაკენას, რა თქმა უნდა, თავის საყვარელ მანქანებთან ჰქონდა საქმე, მასზე სწრაფად და მარჯვედ შუაღამის ჩაბნელებულ თბილისის ქუჩებში მოსაპარად და გასაძარცვად გამოსული ბიჭებიდან ორიც ვერ მოხსნიდა საბურავებს და აკუმულიატორსაც ვერ ამოიღებდა, ვერც მანქანას გააღებდა და მაგნიტოფონს ვერ ამოაძრობდა მანქანის სალონიდან. თან უფრო უსაფრთხოდ იყო. თუმცა ერთხელ მაგრად გაება. ძაღლობამ დაასტუკა, ხელში სულ ახლადამოღებული „სონი“-ს მაგნიტოფონით. მაკენამ მოცოცხა, მაგრამ რა მოცოცხა, თან ნადავლსაც არ უშვებდა ხელს, ენანებოდა, სულ ახალი მაგნიტოფონი იყო — „თაზა“, როგორც თავად მაკენა ამბობდა. პოლიციაც გამოენთო გინებითა და ყიჟინით, ორჯერ ჰაერშიც ისროლეს, მაკენას ბედზე ჯერ კიდევ შევარდნაძის დრო იყო, მაშინ, საბჭოთა ინერციით, ეს პოლიციელები საშობაოდ დასაკლავი ქოსმენებივით სულ საგანგებოდ იყვნენ ჩასუქებულები და ღიპდადებულები. აბა, ეგენი მაკენას რას დაეწეოდნენ, მითუმეტეს, მაკენამ ყოველი მოსახვევი და გასაძრომი ხუთი თითივით ზეპირად იცოდა. ვერ ეწეოდნენ, მაგრამ არც ეშვებოდნენ, ფაქტზე დაიჭირეს, ხელში ნაძარცვით და ძაღლებისთვის ეს ძვირფასი ნადავლი და უეჭველი ფული იყო. თავის მხრივ, არც მაკენას ეთმობოდა ბიჭებთან თავმოსაწონებელი თავისი ალაფი, არადა, გული უგრძნობდა, რომ ამდენი სირბილისგან აქოშინებული, გაბოროტებული და გაავებული პოლიციელები მარტო ჰაერში სროლას არ დასჯერდებოდნენ და კიდევაც ჩაესმა: „გაჩერდი, შე ახვარო!.. გაჩერდი, შენი დედა! გაჩერდი, თორემ ჩემი დედას... თუ არ გესროლო!.. გესვრი, ბოზიშვილი ვიყო! გესვრი, შენი დედა!..“ და ვიდრე ეს პოლიციელი მაკენასა და საკუთარ დედას გამწარებული აგინებდა და სასროლად იგულიანებდა თავს, მაკენა თავგანწირვით გარბოდა... არაფრით უნდოდა, ძაღლობას ხელში ჩავარდნოდა. თავიდანვე რომ გაჩერებულიყო, კიდევ ხო, ერთ-ორს წაარტყამდნენ, განყოფილებაში წაათრევდნენ, ცოტა იქაც დაუმატებდნენ ქოთებს და უკვე ფულზე დაუწყებდნენ ჩალიჩს. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ამდენი არბენინა და აწვალა, გამწარებულ მენტებს აღარც ფულის დარდი ჰქონდათ და, მით უმეტეს, აღარც ვიღაცის მაგნიტოფონის. ხელში თუ ჩაიგდებდნენ, ძვლების მტვრევამდე სცემდნენ. მარტო მაგისთვის მისდევდნენ უკვე — ჩასაქოლად. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ბოროტდებოდნენ და სწყურდათ სისხლი.

მაკენა უკვე გრძნობდა, რომ ესროდნენ, მაგრამ ძალიან ეშინოდა გამხეცებული პოლიციელების ხელში ჩავარდნის და წამების და ისე მიფრინავდა, მიწას ფეხს აღარ აკარებდა. მიფრიალებდა მშობლიურ ღაბირინთებში, ყოველ წამს ბეჭებში მოწეულ მაკაროვის მრგვალ, გლუვ ტყვიას ელოდა და გრძნობდა, სირბილისგან ამოვარდნილი გული როგორ შემოუბრუნდა და მკერდის მაგივრად ხერხემალთან დაუწყო ბაგუნი, თითქოს მდევარს თავს ავედრებდა და სთხოვდა არ მესროლოო!..

ძაღლები იმისთვის არიან ძაღლები, რომ ასეთი ვედრება არ ესმით, ვერ აღიქვამენ და თუ აღიქვამენ, კიდევ უფრო დაუნდობლები და სასტიკები ხდებიან. მაკენამ, რომელსაც საკუთარ, უკან, ბეჭებისკენ შებრუნებული გულისფეთქვაზე უფრო მეტად „სონი“-ს მაგნიტოფონზე შემოჭერილი, გადათეთრებული თითების ტკივილი აწუხებდა, ბეწვზე შეასწრო „ხრუშჩოვკის“ სადარბაზოში და იქაურობა კიდევ ერთმა გასროლამ შეაზანზარა. მაკენამ ჩაცდენილი ტყვიის ჩუმი, დამცინავი წასტვენაც კი გაიგონა, მაგრამ მაგისთვის არ ეცალა. ისე არბოდა კიბეზე, სულ ოთხ ოთხ საფეხურს ახტებოდა. ჯერ არაფერი იყო დამთავრებული, არც ის იცოდა, აქედან როგორ უნდა გაეღწია, მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტი მიერეკებოდა წინ — შორს, რაც შეიძლება შორს ამ ბოზებისგან. „აი, აქ შევარდა ეგ დედამ... დავინახე“ — მოესმა ქვემოდან. ერთი სართულიც აირბინა და სადღაც მეხუთე თუ მეექვსე სართულზე სამოთახიანი ბინის ღია კარი დაინახა, დამფრთხალი ნადირივით დაუფიქრებლად შევარდა ვიღაცის ბინაში და... შევარდა და კინაღამ დიდ ოთახში, საზეიმოდ გაშოტილ, მშვენივრად მორთულ-მოკაზმულ, წაბლისფერ კუბოში გამოჭიმულ მიცვალებულს გადაახტა ზედ. ძლივს მოასწრო დატორმუზება.

გარდაცვლილი, ჩვეულებრივ, თვალებდახუჭული იწვა და ულვაშზემოთ გრძელი ცხვირი ისე ნაღვლიანად და მჭმუნვარედ მიემართა ყალბი ბროლის მრავალსანათურიანი ჭაღისკენ, თითქოს მთელი სხეულით გრძნობდა, რომ მოკვდა და ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. საკუთარი სიკვდილის დარდი გაეყოლიებინა თან.

სამაგიეროდ მაკენა იყო ცოცხალი, ცოცხალზე ცოცხალი და ძალიან უნდოდა სიცოცხლე და თავის შველა. წუთითაც არ დაბნეულა, არ ჰქონდა მაგის დრო, ძაღლობა ჯიუტად მოქოშინებდა კიბეზე. ამიტომ ჯერ მიცვალებულს, რომელსაც ასე მოულოდნელად წამოადგა თავზე, თავი დაუკრა მისალმების თუ თანაგრძნობის ნიშნად, შემდეგ განსვენებულს სათუთი მზრუნველობით შეუსწორა ფეხებთან სუდარა და ეს ოხრადდასარჩენი „სონი“-ს მაგნიტოფონი, რომელიც ასე შხამად შეარგეს ამ ბოზიშვილმა პოლიციელებმა, სრულიად ბუნებრივი მოძრაობით ჩაუჩურთა მიცვალებულს ახალთახალ ფეხსაცმელებთან და ასევე სასოებით გადააფარა სიკვდილის სუნით გაჯერებული ყვავილებითა და გვირგვინებით დაფარული სუდარა. მერე მაგნიტოფონზე მიჭყლეტილი გაბუჟებული თითები შვებით მოისრისა და კუბოს გარშემო მსხდომ შავებში ჩაცმულ საშუალო სიმსუქნის დეიდებს მოწინებით ჩამოუარა მისასამძიმრებლად. პანაშვიდებზე ჯდომითა და ემოციებით გადაღლილმა დეიდებმაც ერთი-ორჯერ ტყუილად ამოიფშრუკუნეს: „მადლობა, შვილო“. მაკენამ უცებ გადაავლო თვალი მგლოვიარეებს, იქნება ამ ზომიერად ჩასუქებულ დეიდებში ერთი ახალგაზრდა შხვართი გოგოც გამოერიოს, რომ მხრები შევათამაშო, თვალები გადავუბრიალო და მომხიბვლელად გავუღიმოო. შხვართი გოგო არა, მაგრამ მაკენას გამახვილებულმა ყურმა ამცნო კიბეზე ამომავალი პოლიციელების ავისმომასწავლებელი ხვნეშა. ამიტომ მსწრაფლ შუა გზაშივე მოიბეზრა მისამძიმრება და ლოჯში მაგიდის გარშემო შეკრებილ კაცებს შეაფარა თავი. კაცები, როგორც წესია, ჩვენი ჭირის სუფრის დავთრებს დასტრიალებდნენ. იყო ერთი „ამდენი მწვანილი, ამდენი ცოცხალი... ასეტრინა, ყველი“, და ჩვეულებრივად როგორც ხდება. პოლიციელების ოხვრა-ხვნეშა სულ უფრო ახლოვდებოდა, კიბეზე ზომბებად ქცეული მონსტრებივით დაუოკებლად მოიწევდნენ. მაკენა მთლად ჩაიკარგა ხალხში, შიშისგან თაგვის სორო მილიონი უღირდა, აღარ იცოდა, აქედან რაღა წყალში გადავარდნილიყო და უცებ თავისთვისაც მოულოდნელად დასჭექა: „ლიმონათი!.. ლიმონათი!.. ლიმონათს ჩემს თავზე ვიღებ“... კაცებმა ერთი კი ამოხედეს, უცხო დაფეთებულთვალებიან, სველ თმა შუბლზე მიწებებულ ბიჭს და „ჯიგარი ხარ, შენი სახელი და გვარი, ძმაო“... და დერეფანში მისი მდევარი და სულთამხუთავი პოლიციის მძიმე ნაბიჯებიც გაისმა. მაკენამ ხმას დაუწია და აკანკალებულმა უკარნახა თავისი სახელი და გვარი. რაც მთავარია, ნამდვილი სახელი და გვარი უკარნახა და სულ მთლად ჩაჯდა, ჩაიმალა მაგიდის გარშემო შემოკრებილ ჭირისუფლებში. გულით უნდოდა მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო, მაგრამ ვაჟკაცურად შეიკავა თავი. ტეხავდა მაინც!..

აი, გახვითქული და გასავათებული პოლიციელები კი გვარიანად დააბნია მიცვალებულის დანახვამ. მათ ხომ მაკენასგან განსხვავებით სასიკვდილო საფრთხე არ ემუქრებოდათ და დასაბნევი დრო ჰქონდათ. ერთ-ერთმა უკანაც კი დაიხია და პირჯვრის წერას მოჰყვა. მერე მათაც შემოუარეს კუბოს გარშემო, თან მაინც თვალებს აცეცებდნენ. ერთმა, ყოველი შემთხვევისთვის, სამზარეულოშიც კი შეიხედა, მაგრამ გადარჩა მაკენა, ვერ დაინახეს. „დავაი, გავიშალეთ და სხვა პადიეზდებიც დავშმონოთ, სახურავიდან არ გაგვექცეს ეგ ნაბიჭვარი. ამ კორპუსიდან მაინც ვერსად წაგვივა, ბოლომდე ვუსადკვებთ მაგ დედამ...სო“, გაისმა დერეფნიდან. ის იყო, სამზარეულოში ვინც შემოიხედა, ყველაზე მოწადინებული და ნასტირნი, მაგრამ, რაც მთავარია, აქედან გადიოდნენ. მაკენამ შვებით ამოისუნთქა, მერე მოდგა და რაც ამ პოლიციელებმა აგინეს, გუნებაში ისეთი ჩამოუარა, გვარში ლამაზი და ოჯახში მატრიალებელი არ დაუტოვა უგინებელი.

მერე თანდათან გონს მოვიდა, გაიხედ-გამოიხედა, იცოდა, რომ ამაღამ აქედან მისი გასვლის შანსი არ იყო. ჰაერშივე გაფანტავდნენ ძაღლები, პოლიციის განყოფილებამდეც კი არ მიიყვანდნენ. თანდათან ჭირისუფლებიც დაიშალნენ. სულ რამდენიმე კაცი და ოჯახის წევრები დარჩნენ. მაკენა მათთან ერთად დაჯდა და მთელი ღამე ოჯახთან ერთად დავითის ფსალმუნებს უკითხავდა განსვენებულს, თან დროდადრო თვალს აპარებდა მიცვალებულის ფეხებისკენ, საიდანაც სუდარაში ვერაგულად ამოჩრილიყო „სონი“-ს მაგნიტოფონის მახვილი კუთხე. დილით, მაკენას თუ დავუჯერებთ, ერთმა ბიჭმა პლანიც მოაწევინა: „მთელი ღამე გაათენე, ძმაო, გაგისწორდება, დაღლილზე საკაიფოდ დაიძინებო“... და ასე ანაშით შეგულიანებულმა მაკენამ ძილბურანში გამოაღწია შევარდნაძის მსუქანი პოლიციელების ალყას. ეტყობა, იმათაც მობეზრდათ დილისკენ და დაიკიდეს. ან უფრო სარფიან საქმეზე გამოიძახეს. ასე რომ, უკვე შუადღისას გამოძინებული და უბანში ბიჭებით გარშემორტყმული მაკენა ერთი აზარტით და ხელების ქნევით ყვებოდა თავის ღამეულ საგმირო თავგადასავალს.

— მაიცა და ლიმონათი, ტო? — ჰკითხა მოულოდნელად ზუკამ.

— რა ლიმონათი, ე? — პირი დააღო მაკენამ.

— რა რა ლიმონათი, ბიჭო? ჭირისუფლებს ლიმონათს არ შეპირდი? სიტყვა არ თქვი, ლიმონათს ჩემს თავზე ვიღებო?

— შენ ჰალაოთ ხო არა ხარ, რა ლიმონათი? — მაკენა იცინოდა, მაგრამ თან მაგრა აიჭრა. იდგა, აფახულებდა თვალებს, — რა ლიმონათი, შენ ხო არ უბერავ?..

— ე, შე მართლა ახვარო ბიჭო, ხალხმა მიგიღო, შეგიფარა, ძაღლობის ტისკებისგან გიხსნა, დაგაბოლა, შენ სიტყვა უთხარი, გადააგდე და კიდევ მე ვუბერავ?.. — ბოლომდე დაუძაბა ზუკამ, — მაგ მიცვალებულმა გადაგარჩინა, მკვდარი როგორ გადააგდე, ტოო?.. თან დგახარ აქა და მაგარი ბიჭობის პონტში გვიყვები. რამსები გაქვს მაგრა არეული.

მაკენას ქაღალდისფერი დაედო. ძალიან დაიბნა. არც უფიქრია ამაზე...

— ეე, მე რომ ახალთახალი „სონი“-ს მაგნიტოფონი დავუტოვე?! — გაახსენდა უცებ, — ხო უეჭველი იპოვნიდნენ, თუ ვერ და თანაც რომ ჩაეტანებინათ, ღმერთმა შეარგოს, ტო, ალალი იყოს... — და პირჯვარი გადაიწერა.

ზუკამ ისეთი თვალებით შეხედა, გიორგას მართლა გულწრფელად შეეცოდა მაკენა.

— ეს მართლა ვერ არის თავის ჯანზე, მე ვიყო ჯო დასენი! — შესჩივლა ზუკამ ბიჭებს და უმწეოდ გაშალა ხელები, — ბიჭოო! — იღრიალა უცებ, მაგრამ იმ წამსვე მიიხედ-მოიხედა და გაავებულ ჩურჩულზე გადავიდა, — რად უნდა მიცვალებულს შენი მოპარული მანქანიდან ამობრდღვნილი მაგნიტოფონი? ოთარ რამიშვილს უნდა მოუსმინოს საიქიოში თუ ტომ უეიტსს?.. მიდი ეხლა, სადაც გინდა, იშოვე ლიმონათი და აუტანე იმ ხალხს, როგორც დაპირდი. მართლა ტეხავს, შეჩემა!.. მაგრა ტეხავს...

მაკენა უხერხულად აწრიალდა.

— ფულიც არა მაქვს, დედაარღნიანი, — ამოღერღა მერე.

— აგე ჩვენი გასტრონომი და გამოართვი. თუ გინდა, წაართვი და შენი გასაკეთებელი გააკეთე. იმ ხალხს რასაც შეჰპირდი, შეუსრულე. მიცვალებულის გადაგდება არ მოსულა. მაგრად ტეხავს, — გაიმეორა ზუკამ.

მაკენა მაინც ყოყმანობდა. ადგილზე წრიალებდა.

— ძაღლების ზასადა რომ გამეჩითოს? მერე ატვეჩაი ხარ? ძლივს გამოვაღწიე. მაიცა, რა... — და მაკენამ ისე აუქნია ხელი ზუკას, კაცი უკანასკნელ და ყველაზე საიმედო არგუმენტს რომ დადებს.

— მიდი, მიდი, ზასადა არა ფეხები, ერთი მაგნიტოფონისათვის, ეგეთი რამდენი ხდება ყოველ ღამე, მაგდენი სულ არ არიან ეგ ბოზიშვილები, რო ეგრე ყველგან დაიხატონ! — არ დაუთმო ზუკამ, — თან იმ სიბნელეში ვერც დაგინახეს სახეზე, თორემ აქამდე ასჯერ აგაგდებდნენ. შენ კი არა, ვინმეს რომ ეცნე, უეჭველი აქ მოგვადგებოდნენ და ყველას აგვყრიდნენ. ამდენს ვინ გაბლატავებდა?

მაკენა ფეხათრევით წავიდა გასტრონომისაკენ ლიმონათის წასართმევად.

— ვინმე მაინც გამომყევით, თქვე ჩემისებო, მარტო მიტყდება.

— ე, ახლა მთელ ბრიგადას გვამარხინე ვიღაცა ბიძა, — მიაძახა ტაპორამ. ყველას სიცილი აუტყდა.

მაკენამ გამწარებულმა მიაფურთხა და შეუკურთხა საკუთარ სასტავს და გასტრონომში დურთა თავი. იქიდან კი ცოტა ხანში ერთი ყუთი ლიმონათით და ისეთი საწყალი სახით გამოვიდა, ბიჭებს თავიდან აუტყდათ სიცილი.

— კაი, თქვე ჩემისებო, ცოდოა, ვა! — გაუბრაზდა გიორგა.

— ცოდო კი არა, იდიოტია! — თქვა ზუკამ, — მოდი აქ, მოდი. ა, გასაღები და მანქანა წაიყვანე, ჩადი და ამოდი ადამიანურად, — და მანქანის გასაღები მისცა.

მაკენამ რაღაცა ჩაიბურტყუნა. ლიმონათი საბარგულში ჩადო და მოწყვეტით დაგაზა.

მალე ამობრუნდა. ზუკას მანქანის გასაღები უკან მიუგდო და გაბუტული ჩადგა ბიჭებში. ხმას არ იღებდა.

— კარი დაკეტილი დამხვდა, — თქვა მაკენამ — ვაკაკუნე, ვაბრახუნე ერთი საათი, მართლა მკვდარი გაიღვიძებდა. მერე მეზობელმა გამომძახა დახურული კარიდან, გაასვენესო. „გლაზოკიდან“ მთირავდა, მაგის ასინეთა დედას!..

— და ლიმონათი, მაკენ?...

— იქვე დავტოვე ყუთით კართან. მიბრუნდებიან და დახვდებათ, რა... სხვა რა უნდა მექნა? — უკვე დაფეთებულმა შეხედა მაკენამ ზუკას, — რა გადამაყოლეთ მაგ ლიმონათს, ბოზიშვილი ვიყო!..

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯემალ ინჯია

უეცარი შეკითხვა

ერთ მშვენიერ დღეს
ქუჩაში ახალგაზრდებმა მიყელეს —
რა ფერის მელნით წერთო ლექსს
ან როგორ კალამს იყენებთ?

შევცბუნდი, გავხდი, მე მგონი, გაურკვევლობის ნიმუში,
ვთქვათ, რომ ჩაჭედოთ პრიმუსი
აისბერგის სქელ ყინულში.

გონს რომ მოვეგე, გავეცი ბიჭებს ასეთი პასუხი:
ჩემს მენიუში ცოტაა სიტკბო — თაფლი და ნაზუქი.

ყველაზე კარგი ლექსები, ეს ბევრჯერ დამოწმებულა —
დამაწერინა კალამმა ნაღველში ამოწებულმა.

სიტყვები

ენის არდასავიწყებლად
იბრძვის ნამდვილი პოეტი,
მისთვის ყველა დღე იწყება
„ანით“, მთავრდება — „ჰოეთი“.

ჩვენი ენა რომ განძია,
ამის მოწმენი არიან —
ერთი მოჰკითხეთ ტანძიას,
მეორე კიდევ — ვარიანს.

სხვა არის ენა საუფლო.
ვგრძნობ, გაბრაზება დამჩემდა,
როცა რეგვენი საუბრობს
ენამოჩლექით გამჩენთან.

ვადიდებ სიტყვებს, მათ კავშირს,
მე მომყვებიან მხარდამხარ.
აზრია ყველა მათგანში.
მე ამ სიტყვებით ხანდახან

ვიღებ გულწრფელის, მლიქვნელის
სამძიმარსა თუ მოლოცვას.
ნეტავ რა სიტყვა იქნები,
მე რომ დამცდები ბოლო წამს?!

ქორწილი ინჩხურში

თამაზ კლიმიაშვილს

მიწყდა მუსიკა ჩვენს თეფშებში
ანტიკვარული დანა-ჩანგლით.
ნეფე-დედოფლის შემდეგ შევსვით
ნათლიებისა და მაჭანკლის.

ეზოში, განა სასახლეში,
ყველას გვეკავა ჩვენი ადგილი.
გვალხენდა გოგლას, ვაჟას ლექსით
კოლხი თამადა ენატკბილი.

ითქვა, რომ იწვევს ომი ცოდვებს,
დავგმეთ შური და ეგოიზმი.
ჩემს გონებაში, რომ იცოდე,
კვლავ იმ ქორწილის ექო ისმის.

* * *

ძველი რკინიგზა გორიჯვართან
გადაქცეულა, მგონი, ჯართად.

სუსტი მზე, ზამთრის ძილმომგვრელი,
დაგვემალა და წინ მოგელის.

მზეს ბევრი გზა აქვს გასაქცევი,
ჩვენ კი საკრალურ მთას ავცქერით,
ვათვალიერებთ ერისიონს,
გველამუნება ნელი სიო.

იას, ლუდმილას ცისფერ დობილს,
როგორ მოურთავს მთის ფერდობი.

ტიპი

ტიპი! ახია, რასაც ვიმკი დღეს,
ხშირად მახსენებს თავს დედამისი.
მე იგი ფეხზე არ დავიკიდე,
ცოდოა-მეთქი, ფეხზე დავისვი.

კახელი თამადის მონოლოგი

სამი დღის მთვარე დამნათის ციდან,
ვითარცა ჯიხვის ყანწი.
ჩემი სიყრმე მას თამამად ცლიდა
მეინახეთა თვალწინ.

როგორც შემეძლო ავ, ზებუნებრივს,
ვერკინებოდი ძალებს,
ყანწები, დარდით ავსებულები,
სულმოუთქმელად ვცალე.

ვცალე და მერე ცერზედაც ვბერტყე,
დღეს იმ თიკუნით ვხარობ,
ლეონიძემ რომ მიბოძა ერთხელ —
კახური ხარი ხარო.

ახმეტელივით ვდგამდი ხანდახან
ეჭვიანობის სცენებს.
სიყვარულს, ჩემსას, ედო ყადაღა,
გოგოსთვის ლამის მცემეს.

მაინც შევირთე, მე ვინც მიყვარდა,
უფალს შევწირე მადლი.
თითქოს წავაწყდი ფესვს ნადიკვართან
ცხრა საუკუნის ჭადრის.

ზოგჯერ კი, თუ დროს გამოვნახავდი,
აღარ მინდოდა სხვა რამ —
არაყი, ორჯერ გამონახადი,
მიმსუბუქებდა ვარამს.

მედიტაციურ ღრმა ბურანში ვარ,
თითქოს ეს იყო გუშინ,
„მახარებელით“ აბულაშვილმა
როდესაც დამჭრა გულში.

მალე ყოველი გახმაურების
გარეშე გავალ გაღმა,
სადაც ძვირფასი გაღმაურების
ძირ-ფესვი უწყლოდ გახმა.

წინასწარ ვლოცავ, ვინც დამკრძალავენ,
ვინც დამიხუჭოს თვალი.
დღეს გადმოვდივარ თქვენთან ალავერდს
ხელში სამი დღის მთვარით.

* * *

სიბრაზეს ველზე ვანდობ გვირილებს
და მწყდება გული, ერო დიადო.
ასე უსაზღვროდ დარდმოგვრილი მე
სიბრაზეს ველზე ვანდობ გვირილებს —
მე და ქვეყანას რად მოგვივლინეს
„ხსნად“ ჰეროდე და ჰეროდიადე.
სიბრაზეს ველზე ვანდობ გვირილებს
და მწყდება გული, ერო დიადო.

ინეში

პედრუს უყვარდი! მამამთილი ვინ ეშმაკია?!
ის ვერ გწამებდა ზნეობრივად საქმეს უკადრისს.
შენგან შორს იყო, მშვენიერო ინეშ, მაგიაც.
მოგკლეს იმიტომ, რომ უფლისწულს ძლიერ უყვარდი.

მამის სიმკაცრით დათრგუნულმა პედრუმ იდარდა
და შემდეგ, როცა შესაფერი დაუდგა დარი,
მიცვალებული ამოგიღო სამარიდან და
დედოფლის ტახტზე დაგაბრძანა ხუთი წლის მკვდარი.

ბრბოს რომ ახსოვდა შენი —
ობლის მფარველის — კალთა,
რომ შენ ირქმევდი, თუკი მირქმა აკლდა მისარქმელს,
ხალხი გამოგყვა ხელზე კოცნით აღსავლის კართან
შენთვის ხელახლა აგებული აკლდამისაკენ.

შენს ქმარს მკვლელები, დიახ, უნდა გამოეშიგნა —
სისხლი სისხლის წილ! მისაგები მკვლელებს მიუგო.
ხვალ შენს სახელზე ააჟღერებს კამოენში ქნარს,
ზეგ გიტირებენ ბრიულოვი, ბრეი, ჰიუგო.

მეგობრულ წრეში ვადღეგრძელებ სიყვარულს მუდამ,
სანამ იდგება ყლუპი მაინც ამ საღვინეში.
აფერუმ, პედრუ! სიყვარული ისეთი უნდა,
შენ რომ გიყვარდა ოთხი შვილის დედა ინეში.

* * *

გამოვუცხადე მზაკვარ ელიტას —
მე ის ვარ, ვისაც შენ აძევებდი,
მყავს საყვარელი საყვარელი და
კაცები, ძმებად შენაძენები.
დიახ, მე ტანჯვის გზაზეც მივლია,
შენ გარეგნულად უფრო ბრწყინავდი,
მაგრამ გზა შენთვის უცხო ხილია —
მსხვერპლშეწირვიდან თავშეწირვამდის.

* * *

ფეხქვეშ უფენდნენ
ფიანდაზებს, ფერად-ფერადებს,
ასმევდნენ ჩიტის
რძეს, შარბათთან ერთად, ყანწიდან.
ცოტაღა უკლდა
მეცადინ კაცს ცად აფრენამდე.
ქუხდა მწერალი.
როგორც ქუხდა, ისე არ წვიმდა.

მეგობრის პასუხად

— მუზათა ღმერთების ნათლულო,
ამ კითხვას ნუ მითვლი ტირადად;
მეორედ მოსვლას თუ ნატრულობ?
მე უარს არ ვიტყვი პირადად.

— მეორედ მოსვლა თუ გახარებს,
მეორედ სიკვდილში რა ყრია —
სულს ღაფავ, კვდები და გმარხავენ,
გულმკერდზე გოროხებს გაყრიან.

* * *

გადმოგისროლათ დრომ ჩემს მეზობლად
დაყოვნებული სკდომის ყუმბარად.
მე გეტყვით, თქვენო უმაღლესობავ —
შაბან ყურბანავ,

ვისაც ადგილი გაქვთ სალაყბოსთან:
ავთვალიანი ინტრიგანი ხართ!
ნუ გადმოსცქერით თქვენ ჩემს ხილ-ბოსტანს —
კიტრი გამიხმა.

რას არ ვცდილობ

ხვატში, ბუნების ნაღდ ქომაგს,
თავს შევაფარებ მუხის ჩრდილს,
მაგრამ მუხის ქვეშ დადგომას
არ ვცდილობ ჭექა-ქუხილში.
არ ვცდილობ, ბიწი მივიცხო
და სიკვდილამდე არ ვცდილობ,
ჟრჟოლავ, რომ გადაგივიწყო,
პირველი კოცნით განცდილო.
არ ვყოფ აშკარა ბლეფში თავს
და არ ვისახავ უქმ მიზანს,
არ ვცდილობ ხინკლის თეფშიდან
აღებას ბოლო ლუკმისას.
არ ვცდილობ ყოფნას უგოროდ —
ის ჩემგან უკვეთავია.
არ ვცდილობ, კოჭი ვუგორო
პერსონას, ფუყეთავიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის შეგონებანი

თავისუფლება ეზღუდება მერანს, მხედრიანს,
გახედნილია მერანი თუ გაუხედნია.
რა კრიალა და რა სპეტაკი ნივთია სარკე,
სანამ შიგ ვიღაც მაიმუნს არ ჩაუხედია.

პოეტის მაგიდა

კალკულატორი, მაკრატელი, ნათურა, ბოთლი,
წიგნი, ლეპტოპი, წითელი და შავი კალამი.
ორი სურათი — ერთში სვამენ ძვირფასი ლოთნი,
მეორეში კი იკრიჭება ლეკი მკალავი.
აქ რაც აწყვია, რომ ვიცოცხლო ცხრაასი წელი,
მოჯადოებულს ვერ დავაღწევ თავს მე მათ ჯეებირს.
ავსებულია ლექსებისთვის საბრძოლო ველი
სულ პროგრამებით დღეისა და ხვალის მატჩების.
წნევის საზომი აპარატი, წამლის ფლაკონი,
წლევანდელი წლის კალენდარი (ჩემი სურათით).
რითმა და თემა, სახეები (მთელი ვაგონი),
მოძღვნილი ჭიქა, მოხატული ფურისულათი.
სუნამო, სუფრა (დაკეცილი), ფანარი, აბი,
ჟურნალი „ქართლი“, ლექსიკონი, ძველი გაზეთიც.
ოთახში — სევდად ჩარჩენილი სურნელი კაბის
და მონატრება ცხინვალის და ცხუმ-აფხაზეთის.

ჩემი დაბადების დღე

ეს დღე, რა ვქნა, ისე აღარ მახარებს,
გავიხსენებ ბევრს მხოლოდღა ოცნებით.
ვინც მატებდა ეშხს ჩვენს აყალმაყალებს
ჩვენი ერის
მშვენიერი ლოცვებით.

თუმც ცხოვრებამ უკან ჩამომიტოვა,
წუწუნს — არა! ის რა მოსაწონია.
მე რომ მრუდედ არ მივლია, მიტომაც
ძმა-ბიჭები ნაბიჯებით მწონიან:

„ბედისწერას კვლავ ლომურად რომ ებრძვი,
სიტყვა გიჭრის გამობრძმედილ ლიახველს.
ღრმა მოხუცი იმსახურებ ლომებრ ძილს,
გმირმა რაში
ნირვანაში იახლე.

გულით ვლოცავთ ამ შენს თოთხმეტ იანვარს,
გამოღმელებს რომ გვახვედრებს გაღმელებს,
ტუჩებზე რომ გვიბიბინებს ია-ვარდს,
ზამთარი რომ
„რამდარიროს“ გვამღერებს.

წითელი შარფი

გაფრთხილებს ქალი, ვინც ერთგული დადნაფიცია:
ავტომობილში დღეს არ ჩაჯდე, აისედორა.
აისედორა, დამიჯერე! და ისე, დროა,
ფეხებს ასწავლო სიარული, როკვა იციან.

წითელი შარფით ცეცხლოვანი ცეკვა „აპაში“
არ გაუმართო ბედისწერას, — შეგთხოვს დობილი. —
ფეხით იარე, დღეს არ გინდა ავტომობილი,
ვაითუ, მაგან გაგიტაცოს შორს, ჯანდაბაში.

ხელოვანს ვერვინ დაგაკავებს, რამეთუ წამსვლელს,
რაც დაგისახავს, ზემოთ არის გადაწყვეტილი.
შენს არსებობას დღეს დაესვას უნდა წერტილი.
შარფი ბორბალმა ჩაიხვია, მოგაშთო წამსვე.

შეძრწუნდა ნიცა და ჰაერიც თითქოს მოიხშო,
დადგნენ ბორბლები ტრაგედიის მომიზეზენი.
მძღოლი ვიშვიშებს, ყველამ იცის, რომ ის ესენინს
არ ჰგავს და შენი შარფით ის თავს არ ჩამოიხრჩობს.

სიურპრიზები შენს ნაშვილებ ბავშვებს არ აკლდათ,
მათთვის ასრულებ სასიკვდილო პირუეტს შარფით.
ლამაზი ქალი — სიყვარულის, სიცოცხლის ხარბი,
ხვალ ფერფლად მიხვალ
პერ-ლაშეზის ძვალშესალაგთან.

ლექსი და გიტარა

გოგიტა თუშმალიშვილს

როგორ აკვნესებ გიტარას?
მასპინძელი ხარ პურადი.
თან ცდილობ ლექსის მიტანას
სტუმრების გულისყურამდის.
ისინიც კარგად გისმენენ,
როცა შენ ასი წლის მერე
ჩემსავით აღარ იქნები,
დაგიობლდება წიგნები,
ატირებული გიტარა
იქცევა ნაგოგიტარად.

დალილა ბედიანიძე

* * *

რა ლამაზია თბილისის დილა
და წვიმის შემდეგ გამოდარება.
წვიმების შემდეგ ცა მოწმენდილა,
აჰა, გათენდა კიდეც ხარება.

და ეკლესიის ოქროსფერ გუმბათს
თავს დასჭიკჭიკებს ჩიტების ქორო.
მე ჩემთვის ვმარცვლავ ლოცვებს ო, ჩუმათ,
რომ მაღალ უფალს არ განვეშორო.

გადაჭიმულა გორგასლის ქუჩა
და გამვლელები მიდი-მოდიან.
ამ ჩემს სიხარულს ბოლო არ უჩანს,
მზე ცაზე თითქოს ოქროს ზოდია

და მზის ბუდეში სინათლის ბარტყებს
წვიმის ნარჩენი ნამი არწყულებს
და უხარიათ მათაც, შევატყვე,
მზე ღრუბლებს სილას რომ ულაწუნებს.

ამ მშვენიერი თბილისის დილით
გამოვიღვიძე მე ბედნიერმა.
ბედნიერებას არ ახლავს ჩრდილი
და მზეს კი ახლავს სხივების გერმა.

იულიუს კეისრის მონოლოგი

შენც მიღალატე, ბრუტუს,
ჩემო ერთგულო ძმაო.
აღარ მოვყვები წუწუნს,
არცრა მაქვს სამკითხაო.

ყველაზე მეტად მტკივა
შენი დარტყმული დანა.
თვითონ ღმერთამდე მივა
მართალი ჩემისთანა.

ბრუტუს, რა დაგიშავე,
რატომ გამწირე ასე?
ღალატს აქვს გემო მჟავე,
არის ბალღამით სავსე.

ბრუტუს, მიყვარდი როგორ,
შენი სიკეთე მახსოვს.
ვწყევლი მეგობრის მომგონს,
მოირა ძაფში მოქსოვს.

იღვრება მოძმის სისხლი
და ახლოვდება კვდომა.
მე სული გადმოგისხი,
შენ კი მოგწამლა რომმა.

ბრუტუს, რად მიღალატე?
შევხვდებით გაღმა ლეთის.
რომი უხსნიათ ბატებს,
ჩემს სულს კი იხსნის ღმერთი.

ჯადოსნური ზღაპრის მოტივებზე

მაღალ მთაში ირემია, რერა, რანინა და,
ცხრა მთიბელი თივას უთიბს, რერა, რანინა და.
დევის სულის სადგომია, რერა, რანინა და,
იმ ირემში, მძლავრ ირემში, რერა, რანინა და.
იმ ირემში შველი არის, რერა, რანინა და,
შველში კიდევ კურდღელია, რერა, რანინა და.
იმ კურდღელში ბაჭიაა, რენა, რანინა და,
ბაჭიაში კოლოფია, რენა, რანინა და.
იმ კოლოფში მერცხლებია, რენა, რანინა და,
ერთი გონი, ერთი ჯანი, რერა, რანინა და,
ერთიც კიდევ — დევის სული, რენა, რანინა და.
მოკლავს ირემს ზღაპრის გმირი, რერა, რანინა და,
გამოიყვანს დევის მერცხლებს, რერა, რანინა და,
დახოცავს და გადაყრისო, რერა, რანინა და,
დევსაც სული ამოსძვრება, რერა, რანინა და,
და ზღაპარიც დამთავრდება, რერა, რანინა და.
ტკბილი ძილი, მოსვენება, რერა, რანინა და,
ვინც ისმინა ეს ზღაპარი, რერა, რანინა და!
დევს — სიკვდილი, ჩვენ — სიცოცხლე,
რერა, რანინა და...
მაღალ მთაში ირემია, რერა, რანინა და!

* * *

ცხრა წელია, ვარ მარხული, ნანა!
წლებში პირქვე დამარხული, ნანა!
ყინულის მზით დანახული, ნანა!
არ მეღირსა გაზაფხული, ნანა!

მარადიულ ზამთრის მონა, ნანა!
ვარ ჯავრით შეკრული კონა, ნანა!
უშენობამ დამაღონა, ნანა!
ნეტავ ეგ ხმა გამაგონა, ნანა!

სიხარულის ყვავილები, ნანა!
არ ყვავიან, გადის წლები, ნანა!
სული მიდგას უფლის ნებით, ნანა!
თუმც უშენოდ ვერ ვიქნები, ნანა!

ვინ დამწყევლა ასე მწარედ, ნანა!
ვერასოდეს გავიხარე, ნანა!
ჩამეკეტა ყოველ მხარეს, ნანა!
მზეში შენსკენ მომდინარე, ნანა!

ცხრა წელია უშენობის, ნანა!
დარდი მკლავს და დარდი მჯობნის, ნანა!
გულს მოედო თოვლის ობი, ნანა!
დრო არ დადგა თოვლის დნობის, ნანა!

ცხრა წელია, ვარ მარხული, ნანა!
არ მეღირსა გაზაფხული, ნანა!

* * *

ო, აღარ მინდა, რომ ვიყო ბავშვი,
ბავშვი, რომელიც თავს არ ეკუთვნის.
თავისუფლების გრიალებს მარში,
ათ საუკუნეს უდრის ეს წუთი.

ბედნიერი ვარ, რადგან ვარ დიდი
და მოვითავე ბავშვობის ხანა.
ათას აკრძალვას ავცდები რიდით,
ახლა ჩემია მთელი ქვეყანა.

უფლებას ახლა არავის არ ვთხოვ,
ჩემთვის ხსნილია გზები ფარული.
ო, სულ ამხელა მამყოფე, ღმერთო,
და დამებედე სულ სიყვარული.

არ მენატრება, არა, ბავშვობა
და დავივიწყე, რომ ვიყავ ბავშვი.
მორჩა ტყუილი და თამაშობა,
ჩემია ახლა სამყაროს საშვი.

ო, აღარ მინდა, რომ ვიყო ბავშვი,
ვიყო უმწეო და საპატრონო.
თავისუფლების გრიალებს მარში,
არაფერს ძალუძს, რომ დამაღონოს.

ო, აღარ მინდა, რომ ვიყო ბავშვი,
ბავშვი, რომელსაც ატყუებს ყველა.
მივიწევ მაღლა და ფრთებსაც გავშლი
და ცას დავიპყრობ ნელა და ნელა.

ციკლიდან „ლექსები მაქსზე“

*

დამესიზმრე, დამესიზმრე, გემუდარები
და ნუ მიმატოვებ, როცა გათენდება!
აღარასოდეს, აღარასოდეს არ მიმატოვო.
დაძინება მიხარია იმ იმედით, რომ სიზმრად გნახავ.
სიზმრად მაინც გნახო,
რამდენი ხანია არ მინახიხარ.
მიერეკება ჩემს ღამეებს ქარის ეკლიანი შოლტი
და ქარით გაწკეპლილი ტკივილებს ვეღარ ვუძლებ.
აღარ ვიცი, ახლა სად ხარ.
აღარ ვიცი, როდის გნახავ.
დამესიზმრე, დამესიზმრე, გემუდარები!
სანთლის ალი ჰგავს მერცხალა მთვარეს
და ეკლესიაში ამ მთვარეებს ვუმზერ სულგანაბული.
ჩემი სული ჩემში აღარ არის,
იგი შენშია და შენ დაგყვება,
ამიტომ უშენოდ მკვდარი ვარ, მკვდარი.
დამესიზმრე, დამესიზმრე, გემუდარები
და გამაცოცხლე!
უფალს შევთხოვ, ეს სიზმარი მალე ამიხდეს.

* * *

ეს რა უცნაურ ქალაქში ვცხოვრობ!
აქ ბინადრობენ მხოლოდ ჩიტები.
თავს დამტრიალებს ჩიტების ქორო
და ათას დარდს და ფიქრს ვეჭიდები.

გარს ჯადოსნური მავლია ველი,
ველი ლამაზი, ველი ვრცეული.
სიტყვის მსახური და სიტყვის მცველი
ვარ, სტრიქონებში გამოხვეული.

ო, ვინ ასწავლა ჩიტებს ცის გზები,
თბილი ქვეყნისკენ წასვლა და მოსვლა?
და უცნაური ძალით და გზნებით
მათ ჯადოსნური ბუმბული მოსავთ.

და თან მიჰყვებათ ეს ჩემი სული,
შემოდგომით რომ ტოვებენ ქალაქს
და მიტოვებენ გაფრენის სურვილს,
მე რომ ზამთრობით ფრთებს მასხამს, დამაქვს.

ეს რა უცნაურ ქალაქში ვცხოვრობთ
მე და ჩიტები, მე და ჩიტები...
ჩიტებს ბუდე აქვთ და მელას — სორო,
მე — ლექსში ვზივარ, ლექსს ვეჭიდები.

ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

გაგრძელება

გიორგა მივიდა მაკენასთან და ხელი გადახვია. ზუკას ხმა არ ამოუღია. მაკენაც ცოტა ხანში მოხასიათდა და ჩვეულებისამებრ აყბედდა. უკვე მეშვიდედ და სულ სხვადასხვა ვარიაციით ყვებოდა წინა ღამის თავგადასავალს.

ვერავინ გაიგო, მაშინ ზუკა ღადაობდა და ააგდო მაკენა, სერიოზულად გაუჩმახა თუ ღადაობით დაიწყო და მერე გაუსერიოზულა. აღარც მიბრუნებიან მაგ თემას.

თვითონ ზუკას უფრო საბრძოლო თავგადასავლები იზიდავდა. გარდა იმისა, რომ საქართველო-რუსეთის არცერთი ომი გამოუტოვებია, ქუჩაშიც უფრო სარისკო საქმეებში ერეოდა — რეკეტი, გოპსტოპი, გარჩევები. თუმცა ერთი შემთხვევის მერე ზუკაც შეეშვა მაგ საქმეს და რაკი ზუკა გაეშვა, თანდათან მთელი ბრიგადაც წავიდა დიდი ავიაციიდან.

ეგ ამბავი კი ასე მოხდა.

ზუკა უგონოდ იყო შეყვარებული ერთ გოგოზე, რომელსაც თიკო ერქვა. თიკო ქავთარაძის ქუჩაზე, შანხაის ზემოთ, კაგებეს 16 სართულიანებში ცხოვრობდა. თიკოს ბაბუა მამალი კაგებეშნიკი იყო, ალექსი ინაური რომ შობა-ახალ წელს ულოცავდა, აღდგომას საფლავებზე გასულები, მხოლოდ ერთმანეთს და ვარლამ შადურს რომ ანდობდნენ წითელი კვერცხის გატეხვას. მერე, მესამე ჭიქის შემდეგ, მეათასედ რომ იხსენებდნენ უკვე 50-იანი წლების ბოლოს როგორ აიყვანეს აჰმედ ხუჩბაროვისა და ჩოკა მაჰომას პარტიზანული დაჯგუფება. როგორ ავიდა მათ ბაზაზე, ჩეჩნეთში, იჩქერიის ტყეში ვარლამ შადური მათთან შესახვედრად და მოსალაპარაკებლად. ან 1964 წლის შემოდგომაზე თავად ალექსი ინაურმა როგორ აიყვანა საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი, ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამორჩეული ნიკიტა ხრუშჩოვი ბიჭვინთაში. და როდესაც თვითმფრინავმა მოსკოვისკენ აიღო გეზი, კაგებეს შეფმა, მაგრამ მაინც მთიულმა ინაურმა, მთელი გულით როგორ გარდაისახა პირჯვარი — ახლა კი შენ მიშველე, ლომისის ჯვაროო! მართლაც თუ კრემლში შეთქმულება გაცუდდებოდა და ნიკიტა ხრუშჩოვი გადარჩებოდა, ალექსი ინაურს და მთელს საქართველოს მხოლოდ ლომისას დალოცვილი ხატიღა თუ იხსნიდა. ნიკიტა ხრუშჩოვი ისედაც პათოლოგიურად ვერ იტანდა საქართველოს და 1956 წლის 9 მარტს ერთხელ უკვე აბანავა თბილისი სისხლში, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო მიტინგს ტყვიამფრქვევები დაუშინა და ხალხს ტანკებით გადაუარა. რუსებს დღემდე არ უყვართ იმის გახსენება, რომ მათი ხრუშჩოვი, რომელმაც თვით ლავრენტი ბერია გაანადგურა და მთელს საქართველოს ციმბირში გადასახლებას უპირებდა, ბოლოს მაინც ქართველი ალექსი ინაურის ანაწერა გახდა. სამაგიეროდ, თავად ალექსი ინაურს მშვენივრად ახსოვდა ეს ამბები თავის ხალხთან ერთად. ერთერთი მათგანი სწორედ თიკოს ბაბუა გახლდათ.

თიკოსაც უყვარდა საინტერესო, განათლებული და თავზეხელაღებული ზუკა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბაბუამისი დასანახად ვერ იტანდა. თიკოს მზვერავი, ათასი უბედურების ჩამდენი, მომსწრე და მონაწილე ბაბუა ქვეცნობიერად, გაცნობიერებულად და მთელი არსებით გრძნობდა, რომ მის ოჯახში სრულიად უცხო, მტრული და დაუმორჩილებელი ძალა იჭრებოდა — სული, რომელთან ბრძოლასაც, რომლის ჩახშობას, მოსპობას და განადგურებას, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია, იჭრებოდა სწორედ ზუკას სახით და მის საყვარელ, ყველაზე ძვირფას შვილიშვილს სტაცებდა. ძველ ჯანზე მყოფი, „ის დრო“ რომ ყოფილიყო, კი იცოდა, საითაც უკრავდა ბანდიტ ზუკას თავს თავისი ხულიგანი და თავხედი ძმაკაცებიანად. თუმცა მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე ჩეკისტი ბაბუა ისე ატრიალებდა ნათურის შუქზე აპრიალებულ დიდ, მძიმე, მასიურ და მელოტ თავს და ისეთი ცივი და ავი თვალებით იყურებოდა, ზუკას, გიოს და თვით ყოველთვის უზრუნველ მაკენასაც კი რაღაცნაირად უცხოდ და შემზარავად გასცრიდათ ხოლმე. ამ შეგრძნებას არანაირი საერთო არ ჰქონდა ქუჩურ საფრთხეებთან ან თუნდაც მშობლიური გაგარინის მოედნის პოლიციის განყოფილებასთან და ამ განყოფილების დებილ ძაღლობასთან. გაცილებით საბედისწერო და ავისმომასწავებელი საშიშროება იკითხებოდა თიკოს ბაბუის ცივ და სიძულვილით აღსავსე მზერაში.

ზუკა უსიყვარულოდაც ვერ იყო უკან დამხევი ბიჭი და მითუმეტეს გარდარეულად შეყვარებული ვის შეეპუებოდა, ამიტომ იმ ხანებში დალევდნენ თუ არა, წამოუსვამდა თავის ძმაკაცებს ხელს, ვისაც მოიხელთებდა და ჯიუტად დაადგებოდა თიკოს სახლისკენ მიმავალ გზას. ყველაზე ხშირად გიორგა და მაკენა მიყვებოდნენ. ხაჩიკას, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ეზარებოდა, დანარჩენებს კი, უბრალოდ, არ ეხალისებოდათ ბერიას ჯალათის ცივი, გამჭოლი მზერა.

იმ საღამოსაც საკუთარი ჩაბნელებული კორპუსის წინ, უბანში, საიდანღაც მოტანილ მჟავე არაყს სვამდნენ, რომ არ გაგიჟებულიყვნენ და არ გაყინულიყვნენ. თან რაღაც სამშენებლო ფიცრებით და გამხმარი ტოტებით ცეცხლის დანთებას ცდილობდნენ. დენი იშვიათად მოდიოდა, უცებ ინათებდა და მთელს სახლს სიხარუით აგინებდა საკუთარ ძმაკაცებს, არ გამიგონ და ახლა ამათ არ დამბეთქონო. მერე, როგორც ყოველთვის, მალე მობეზრდა მარტო დგომა, ისევ ბიჭებს მიუბრუნდა და მხიარულად ჩაერთო ორომტრიალში. ძმაკაცებთან ყოფნა ერჩივნა, აქ იყო მისი სახლი და ციხე-სიმაგრე. აქ ყველაზე დაცულად გრძნობდა თავს, ზუსტად იცოდა, ყველაზე საშინელ ჩეხვაშიც კი ცოცხალი თავით არავინ ჩატოვებდა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ მისი გულისთვის. მარტოს კი რა უნდა ექნა, როგორ მიაღწევდა სახლამდე? ორჯერ უკვე გადარჩა. იმ უკუნ, ჩაბნელებულ და ცეცხლმოკიდებულ ქალაქში დელისის და ნუცუბიძის ქუჩის რომელიმე ჯურღმულში რომ ჩაეგდოთ ნაცემი, გულწასული და ცოცხალმკვდარი, მერე?.. სად გაქრა მაკენა, სად წავიდა?.. აღარ არის, მორჩა, ცოტა იყო და გათავდა... შეიძლება, მკვდარიც კი ვეღარ ეპოვათ.

ზუკა ცეცხლთან იდგა, ეწეოდა, ნერვიულად უშვებდა პირიდან ბოლს, მოუსვენრად მოძრაობდა და თვალებს ცუდად ატრიალებდა.

— წავედით! — თქვა უცებ და სიგარეტის ბიჩოკი მოწყვეტით შეაგდო ძლივს დანთებულ ცეცხლში.

— სად წავედით? — ჰკითხა გიორგამ. თუმცა უკვე გადასარევად იცოდა, სადაც მიდიოდნენ.

— თიკოსთან! — თქვა ზუკამ და ეზოდან გასასვლელი თაღისკენ შებრუნდა.

— ვაა, ეს ვიდრე ჩვენს თავს არ დააბრედინებს, ვერ მოისვენებს, — მთელი ხმით გადაუჩურჩულა მაკენამ გიორგას და ვითომ სასოწარკვეთილმა გაშალა ხელები — რა დღეში ვართო, — ვიდრე იმ თავისი თიკოს ნაბოზვარი ძაღლი ბაბუის ხელში არ ჩაგვყრის!.. — და თან თვითონ პირველი გავარდა უბნის თაღიდან ისე, რომ შუა გზიდან მობრუნება მოუწია, ნელი ნაბიჯით მიმავალი ზუკა და გიორგა რომ დასწეოდნენ და იქით დატუქსა, — ჰა, თუ მივდივართ, გამოადგით ფეხი, ბოზიშვილი ვიყო, რაღას მოზოზინებთ, — და ისევ წინ გავარდა.

იპოდრომის მხრიდან ჰაერში გაშვებულმა ჯერმა ბნელი ცა წამით გადაანათა. მერე კიდევ და კიდევ მოუშვეს, მაგრამ ცა აღარ განათებულა. ვიღაცა თავის დარდს ამბობდა.

კარი, რა თქმა უნდა, თიკოს ბაბუამ გააღო, ადრე ზუკა ჩვეულებრივად მოკრძალებულად კითხულობდა.

— უკაცრავად, თიკო სახლშია?..

თიკოს ბაბუა ძლივსშესამჩნევად აქნევდა თავს უარის ნიშნად და ბიჭებს ზედ ცხვირწინ უჯახუნებდა კარს.

ამჯერად სხვანაირად მოხდა.

— შეიძლება? — ხელად ჯიქურ ჰკითხა ზუკამ და კარისკენ ნაბიჯი გადადგა.

თიკოს ბაბუამ და ზუკამ ერთმანეთს თვალებში შეხედეს. ხო, ბაბუას ენკავედე, კაგებე, დახვრეტილი და გადასახლებული ხალხი, ბოზიშვილი ბერია და ნაბიჭვარი სტალინი, მაგრამ ზუკასაც, მისი 22 წლის მიუხედავად, თავის წილი ქალაქები აღებულიც ჰქონდა, დაკარგულიც და ცეცხლი და სიკვდილიც იმაზე მეტი ჰქონდა ნანახი, ვიდრე ლიუბლიანკის ან თბილისის უშიშროების ფანჯრებიდან ან საგამომძიებო ან საწამებელი საკნებიდან ან კაზემატებიდან დაინახავნენ ჩეკისტები. ეგ კი არა, ომიდან დაბრუნებულმა ზუკამ მთელი ტანსაცმელი გადაყარა, რომელიც ომში ეცვა — სიკვდილის სუნი ვერ გავაშორეო. დაღუპულების ან ცხედრების კი არა — თვითონ სიკვდილისო!

— შეიძლება? — გაიმეორა ზუკამ. ბიჭებიც მიჰყვნენ და, ფაქტობრივად, ძალით გასწიეს კარში ჩამდგარი, ბრგე და ჯერ კიდევ ჭარმაგი ბერიას ერთგული თანამებრძოლი. გიორგიმ, როდესაც გვერდით გაუარა, მაზოხისტის ცნობისმოყვარეობით მოძებნა თიკოს ბაბუას თვალები, რომ ისევ შეეგრძნო ის უცნაური, დაუნდობელი და სისხლის გამყინავი მზერა, რომელიც ასე აკრთობდა ბიჭებს და თვით ნაომარ ზუკასაც კი და მოულოდნელად ამ ქვეწარმავალივით უგრძნობ და უნდო მზერაში სულ სხვა, ახალი რამ გაკრთა — შიში, ბრმა სიძულვილში არეული შიში!.. გიორგი ამ შიშმა არანაკლებად შეზარა, ვიდრე მანამდე დანახულმა სიძულვილმა, სისასტიკემ და დაუნდობლობამ. და პირველად სწორედ მაშინ, სწორედ იმ უცნაურ საღამოს, 17 წლის ასაკში მიხვდა, რომ არ არსებობს ადამიანი, ვისიც უნდა გეშინოდეს!.. იმიტომ, რომ გადამწყვეტ წამს, თუ უკან არ დაიხევ ჯალათისა და მოძალადის წინაშე, ბოლოს დაინახავ, რომ რაც უნდა ძლიერი და შემზარავი იყოს, მას გაცილებით მეტად ეშინია შენი, ვიდრე შენ მისი. და რაც უფრო სასტიკი, დაუნდობელი და ყველაფერზე წამსვლელი ჯალათის პირისპირ აღმოჩნდები, მით უფრო მშიშარა, ლაჩარი და ჩმორი შეგრჩება ხელთ.

— ზუკა!.. — თავისი ოთახიდან დაბნეული, ბაბუამისის მძიმე მზერით დამფრთხალი და მაინც გახარებული თიკო გამოვარდა, — ზუკა საიდან?.. — გიორგას მთელი ცხოვრება გონებაში ჩარჩა თიკოს გაფითრებული, უჩვეულოდ ნათელი სახე. თითის წვერებზე აიწია და ფრთხილად აკოცა ლოყაზე, — აუ, სუ ნასვამი რატომ მოდიხარ, ბიჭო? — უსაყვედურა, მაგრამ სიყვარულს მაინც ვერ მალავდა. საკაიფოდ უციმციმებდა თვალები.

— თიკო, ღვინო გაქვთ? — ზუკამ პირდაპირ მისაღებ ოთახში შეაჭრა და ბიჭებიც მიიყოლა. ასეთი თავხედობისგან გაოგნებული თიკოს ბაბუა ისევ კართან იდგა და თვალებით ბურღავდა ამ სამ თავზეხელაღებულ ლაწირაკს. აი, ვის ებრძოდა მთელი თავისი ცხოვრება, დრო იყო ამათნაირებს... ჯერ მთელი ქვეყანა დაანგრიეს, თავზე გადაიმხეს, ახლა კი პირდაპირ სახლში, ოჯახში, უვარდებიან. თან კიდევ ამტყუნებენ, რეპრესიებიო... უარესი უნდა გვექნა... ამ გველის წიწილებისთვისაც უნდა გაგვეჭყლიტა თავები!.. ამათ უნდა...

— ზუკაა! — გააგრძელა საყვედურით თიკომ, — ისედაც მთვრალები ხართ...

— თიკო, ღვინო გამოიტანე, რა! — მოულოდნელად ისეთი საწყალი ხმით უთხრა ზუკამ, თიკო სიტყვის უთქმელად შებრუნდა და გრაფინით ღვინო და სამი ჭიქა შემოიტანა. თიკოს ბაბუაც გონს მოვიდა. ოთახში უხმოდ შევიდა და უჩუმრად, ზედამხედველივით დაადგა ბიჭებს თავზე.

— თიკო, გაგიმარჯოს!.. თიკო!.. და ძალიან მიყვარხარ! — ზუკას მოულოდნელად თვალებზე ცრემლები მოადგა. ჭიქა ისე დადგა, პირიც არ დაუკარებია და სწრაფად გაბრუნდა უკან, რომ მისი ცრემლები არავის შეემჩნია. თუმცა თიკო კიდევ უფრო გაფითრდა და თიკოს ბაბუასაც ისეთმა კმაყოფილმა და ვერაგულმა ღიმილმა გაუსერა სახე, რომ ყველამ ყველაფერი დაინახა. გიორგა თავის ჭიქას არც მიჰკარებია, ისე მიყვა ზუკას უკან, მოულოდნელად გადაიხარა და თიკოს ბაბუას პირდაპირ ყურში ჩაუსისინა — „ქუჩაში არსად შემხვდე, თორემ ეგრევე დაგბრიდავ, შე ბებერო ჩათლახო“... და მის თვალებში დაბრუნებული, შემზარავი ცხოველური შიშისა და ზაფრის დასანახავად თავი აღარ შეუწუხებია. მხოლოდ ჯიბიდან გავარდნილმა მაკენამ გადაიმხო თავისი ჭიქა ბოლომდე, გიორგას და ზუკას ჭიქებსაც მუშტრის თვალით გადახედა, მაგრამ ვეღარ გარისკა და საკუთარი ღირსებით აღსავსე მიჰყვა უკან უკვე კარში გასულ ზუკას და გიორგას...

ბნელოდა. ბიჭები ქავთარაძის ქუჩას დაუყვნენ. ჩუმად დათრგუნულები და გულჩაწყვეტილები მოდიოდნენ. მაკენა ამაოდ ცდილობდა ბიჭების გამხიარულებას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბაცნობდა, წარმოუდგენელი ვარიაციებით აგინებდა თიკოს ნაჩათლახარ ბაბუას, მაგრამ სამივე უცნაურ და უტყუარ წინათგრძნობას შეეპყრო, რომ ყველაფერი დამთავრდა. ქავთარაძის ბნელი, გრძელი ქუჩა მთლიანად მოეცვა ამ უცნაურ და უტყუარ წინათგრძნობას და ამას სამივე ძალიან ზუსტად აღიქვამდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ააფრინე მტრედები, იონათან!

პოლონელი მწერალი ოლგა ტოკარჩუკი, რომელსაც შარშან მიანიჭეს ნობელის პრემია, წერს, რომ პრემიის მიღების ამბავი უცნაურ ვითარებაში გაიგო — შარაგზაზე, სადღაც ცასა და მიწას შორის. მისი თქმით, ამაზე უკეთესი დახასიათება იმ სამყაროსი, სადაც ვცხოვრობთ, ალბათ არც ეგულება, ასევე, რაც ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო, დასძენს: „მე ისეთი ლიტერატურისა მწამს, ადამიანებს რომ აერთიანებს და გვიჩვენებს, რაოდენ ვგავართ ერთი მეორეს, იმაშიც გვარწმუნებს, რომ ერთურთს უხილავი ძაფები გვაკავშირებს.“ ვერ ვიტყვი, რომ მანამდე გამეგოს მისი სახელი, რა თქმა უნდა, არც მის ლიტერატურას ვიცნობ, მაგრამ ეს სიტყვები განსაკუთრებულად მომეწონა. ასეც არის, რაც უნდა დიდად განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან, ყველას მრავალი საერთო გვაქვს, რაც უნდა ვეცადოთ, რომ ვიყოთ ინდივიდუალურები და დამოუკიდებლები, ბოლოს მაინც მივხვდებით, რომ ყველას საერთო პრობლემები გვაკავშირებს ხოლმე, ყველას ერთნაირი საწუხარი გვიჩნდება, ასე ვცხოვრობთ სადღაც ცასა და მიწას შორის და დავეძებთ ერთმანეთს, ერთიმეორეზე უხილავი ძაფებით გადაბმულები.

ეს სიახლოვე მითუფრო იზრდება, თუ ავტორი შენსავე სივრცეში ცხოვრობს, თუკი თქვენ ერთი კულტურის ნაწილები ხართ.

სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ყველაფერს სურნელით ვიმახსოვრებ. თითოეულ მოგონებას თავისი სურნელი აქვს ხოლმე, როგორც ყველა სახლს, და ჩემი ბავშვობის მოგონებებს რომ ვიხსენებ, ჩემი ძველი სახლის სუნი მახსენდება, ნესტიანი და ნოტიო, ისეთი, დასავლეთში რომ იცის ხოლმე. „მტრედების იონას“ კითხვისას მსგავსი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს ქალაქში ვიყავი და ჩემი სახლის ეზოში დავსეირნობდი, სახლის უკან დიდი რკინის რეზერვუარიც იყო, იქვე ჩემი ძაღლიც, და ჭიშკარზე შემომჯდარი თუჯის მტრედებიც მიმზერდნენ, „თუჯის მტრედები, განწირულნი სამუდამო უძრაობისთვის“.

ბექა ახალაიას ლექსს პირველად სოციალურ ქსელში გადავაწყდი, მანამდე მხოლოდ ავტორის სახელი და გვარი გამეგო და მის პირველ კრებულზეც მსმენოდა, მაგრამ წაკითხული არ მქონდა. ლექსს „ყვითელი კარი“ ჰქვია, და ის ახალ კრებულში შედის. მაშინ ასეთი პერიოდი მქონდა, პოეზია ვერაფრით მოდიოდა ჩემთან ახლოს, თითქოს მოვდუნდი და ვერც ერთი წაკითხული ახალი ლექსი ემოციებს ვერ აღმიძრავდა. შეიძლება ეს ავტორების ბრალი ყოფილიყო, ან ჩემი, ვერ გეტყვით, მაგრამ „ყვითელი კარი“ ის ტექსტი აღმოჩნდა, რომელმაც ისევ დამიბრუნა იმის რწმენა, რომ ღირებული პოეზია ისევ იქმნება აქ და ახლა. ეს შეიძლება ლექსის დასაწყისსაც დავაბრალოთ:

„გიჟის თვალები უდაბნოა,
საიდანაც
არა ცხელი,
მწველი ნიავი,
არამედ არქტიკული სუსხი უბერავს...
ის იყო ჩემი მეზობელი[...]“

იწყებს ავტორი და გვიამბობს ამბავს ქალზე, რომელიც თან სულ სიმშვიდეს დაატარებდა, სულ გულთბილი ღიმილი ეხატა სახეზე და ერთხელაც თავისივე სიკეთემ შეშალა. ჰო, ასეც ხდება ხოლმე, ასე მოულოდნელად მოგეპარება სიგიჟე და ჭკუიდან შეგშლის, მაგრამ ჯერ ბევრი ტკივილის გამოვლა გიწევს, ბევრი იმედგაცრუებისა შვილების და ოჯახის მხრიდან. ასე მარტივიც არ არის, ადგე და უბრალოდ გაგიჟდე. ლექსი კი თითქოს, მიუხედავად მთელი ტრაგიზმისა, ნათელი წერტილით მთავრდება, პატარა ბავშვი ასფალტზე მიმოაბნევს ყვავილებს და ეს შემთხვევითიც არ არის, კრებულში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომლებიც პატარაობის მოგონებებს წამით გაგვიღვიძებენ მეხსიერების იმ ერთ პატარა კუნჭულში, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ბავშვები აქ ანგელოზები არიან და მხოლოდ სიკეთეს თესავენ, ბევრი გაუაზრებელი ბოროტებაც მათ გონებაში ისახება — ბავშვმა შეიძლება მთელი გულით ირწმუნოს და შეიყვაროს და ამ დროს გაუაზრებლად ძველ რკინის რეზერვუარში გამოკეტოს წიწილები, ბატები და ბატის ჭუკები.

მაგრამ, ერთიცაა: ჩვენი ბავშვობისგან რაც განგვასხვავებს, სინანულია, ის ძლიერი სინანულის გრძნობა, როგორც მაშინ გვიჩნდებოდა ხოლმე, პატარები რომ ვიყავით, ახლა კი, რაც დრო გადის, თითქოს სინანულიც არ არის ისეთი გულწრფელი, როგორც მაშინ იყო.

როგორც ნინო სადღობელაშვილის მიერ დართულ წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, კრებულს ოპტიკური ილუზიის თვალთახედვით ჯვრის ფორმა აქვს, ერთმანეთს მოულოდნელი ეფექტებით კვეთს ჰორიზონტისა და ვერტიკალის სიმეტრია. ეს ყველაფერი კი მრავალფეროვანს ან თუნდაც ორფეროვანს ხდის კრებულს. ბავშვობის გახსენებებიდან პოსტმოდერნულ ტექსტშიც ვეშვებით, რომელიც გრიგოლ მეხანძრეზეა. ლექსში არქაულ ენას რამდენიმეგან სლენგიც ერთვის, რაც თითქოსდა ჰაგიოგრაფიულ ტექსტს სულ სხვანაირ ელფერს სძენს.

წიგნში ერთ-ერთი საინტერესო დეტალი ლირიკული გმირების სახეებია. ისინი ხშირ შემთხვევაში არიან უბრალო, ხშირად ფართო მასებისთვის უჩინარი ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ერთად ქუჩებში დაიარებიან, რომელთა პრობლემებზეც და საწუხარზეც იშვიათად თუ საუბრობენ, და როცა საუბრობენ, მხოლოდ პოპულისტური გაგებით ან ზედაპირულად. ეს ერთგვარი მცდელობაა მათი ხმის საჯარო ფონზე გამოტანისა. თუ მმართველი კლასი ცდილობს მათი ხმის ჩახშობას, ლიტერატურა და ზოგადად ხელოვნება შეძლებს მათი ხმის აჟღერებას, მაგრამ ეს არა მესამე პირის ან დამკვირვებლის გადმოსახედიდან, არამდე ამ მასაში მყოფის ხმით, პირდაპირ და დაუფარავად ან თუ გნებავთ, ენის მოჩლექვის გარეშეც.

კრებულში გამორჩეული ლექსი, ვფიქრობ, „მტრედების იონაა“. აქ ამბავია სოფელში გიჟად შერაცხულ კაცზე, რომელმაც ჭიშკრის თავებზე შემომჯდარი თუჯის მტრედები მოიპარა. სოფელმაც ამიტომ მოიძულა. მაგრამ ვინ იცოდა, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა.

„ღამით ძილის წინ
წარმოვიდგენდი კიდეც,
ჭუჭყიან და ათასგან დაკერებულ
შარვალ-ხალათზე
ნისკარტით ჩაფრენილი მტრედები
როგორ დააფრენდნენ იონას ცაში...“

იონამ მტრედები ააფრინა ცაში, თავისუფლება მისცა თუჯის ერთ ყალიბზე ჩამოსხმულებს, სამუდამო უძრაობისთვის განწირულებს. თუჯის მტრედები კი ცაში დააფარფატებდნენ ყოველ ღამით, ცაში, რომლიდანაც მოჩანდა მთელი ქვეყანა, შიგ მოსახლე ანგელოზებად შობილი და მერე ცხოვრებისგან დაუძლურებული ადამიანებით, ქუჩაში მოვაჭრე შვილმკვდარი დედებით, მშიერი სტუდენტებით, კაპიკებისთვის მშრომელი მუშებით სავსე, რომლებსაც უჩინარი, ყველასთვის უხილავი ძაფი ჰქონდათ გამობმული, რომელიც ერთმანეთისკენ ექაჩებოდა და ექაჩებოდა მანამ, სანამ არ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, თავიანთი გაცრუებული იმედებით გულში.

ამიტომაც ააფრენს იონა მტრედებს, ააფრენს მაღლა ცაში, მაგრამ მალე მიხვდება, ძირს, მიწაზე ჩამოსვლა რომ მოუწევს მალე, დედის საფლავზე ემბრიონის პოზაში გაყინულს, მტრედები კი შიგ დახვდებიან, სუსტი მხრებით გაამაგრებენ კუბოს, რომ უძირო უფსკრულში არ დაინთქას.

წიგნი შიშებიდან თავდაღწევის



* * *

— მერამდენეა? — მეკითხება ბაბუაჩემი. კარლო არტემიჩი ორ ხეს შორის გაბმულ ჰამაკშია გაწოლილი და თან ჩემკენ იხედება.

— მეშვიდე, — ვპასუხობ.

— კიდევ სამი დაგრჩენია, — ამბობს თავისთვის. მე სირბილს ვაგრძელებ. კიდევ სამჯერ უნდა მივირბინო ძუნძულით ჩვენი ეზოს ჭიშკართან და ისევ უკან დავბრუნდე. მერე აზიდვები უნდა გავაკეთო. ბაბუაჩემის დადგენილ ყოველდღიურ დილის ვარჯიშებს რომ მოვრჩები, შემეძლება ჩემი ჯოხი ავიღო, როგორც იარაღი, ისე მოვიმარჯვო და ეზოში წარმოსახულ მტრებს, ჯოხიდან გასროლილი წარმოსახვითი ტყვიები ვესროლო. მაგრამ მანამდე სამჯერ უნდა მივირბინო ჭიშკრამდე და მერე ისევ უკან დავბრუნდე. გეგმა ასეთია.

* * *

გასული წლის საახალწლო წიგნის ფესტივალი იყო, როცა ირაკლი კაკაბაძე გავიცანი და მისი „გამოსვლის წიგნი“ შევიძინე. მაშინ მითხრა, როცა მორჩები, შთაბეჭდილებები მომწერეო. თავი დავუკარი, მაგრამ ძალიან დამიგვიანდა ეს ყველაფერი.

მალე 27 წელი გავა მას შემდეგ, რაც სოხუმი დაეცა. მალე 27 წელი გავა მას შემდეგ, რაც ხალხს მოუწია თავისი სახლების მიტოვება და თავიანთი ქალაქებიდან და სოფლებიდან გაქცევა. მათ ნაწილს ახლაც უწევს მუდმივი გადაადგილება ერთი საცხოვრებლიდან მეორეში, მათ ნაწილს ისევ არ აქვს თავისი კუთვნილი სახლ-კარი და მიტოვებულ შენობებსა თუ დაქირავებულ ბინებში უწევს ცხოვრება. უმუშევრობა, სახელმწიფო გადასახადები და ბანკის ვალები მათი მუდმივი პრობლემაა. სიმბოლურია, არა? თავიანთი ქალაქებიდან დევნილი ხალხი კვლავ დევნილობაშია.

„გამოსვლის წიგნი“, როგორც უკვე მიხვდით, რუსეთ-საქართველოს ომს ეხება აფხაზეთში, ოღონდ ამ წიგნში ყველაფერი სულ სხვა თვალით არის დანახული, სულ სხვა რაკურსიდან, რადგან ამ ამბის მთხრობელად 11 წლის ბიჭი გვევლინება, რომელიც დაბა განთიადში ბებია-ბაბუასთანაა ჩასული და ამ ადგილის დატოვება უწევს შექმნილი სიტუაციის გამო. ბავშვებს აქვთ ძალა, შეამჩნიონ ისეთი დეტალები, რომლებსაც უფროსები იშვიათად აქცევენ ყურადღებას — ბიჭი საუბრისას შეიძლებაა ერთი შეხედვით მცირე დეტალს დაუკვირდეს და ამით მთელ სიუჟეტს შეუცვალოს მიმართულება. სწორედ ესაა ნაწარმოების მთავარი ხიბლი: ბავშვის მიერ არასწორხაზოვნად აღქმა მთელი იმ გაუგებრობისა, რაც მის გარშემო ტრიალებს.

გაუგებრობა შემთხვევით არ მიხსენებია, საგულისხმოა, რომ ბავშვისთვის უფრო მეტად უცხოა მიმდინარე პროცესები. უფროსები აანალიზებენ ამ ყველაფერს, ბავშვები კი სულ სხვა გადმოსახედიდან აკვირდებიან. მახსოვს, როცა 2008 წლის აგვისტოში ზუგდიდს ვტოვებდით, რადგან რუსი ჯარის შემოსვლის საფრთხე აშკარა იყო, ყველაზე დიდი დაუცველობა, შიში და გაურკვევლობა მაშინ ვიგრძენი. კითხვებს ვსვამდი და ვერც ვერავინ მპასუხობდა. თუ მპასუხობდნენ, ჩემთვის ძნელად აღსაქმელი ხდებოდა ეს ყველაფერი. აბაშაში მოგვიწია წასვლა, სადაც ბაბუაჩემი ცხოვრობდა. ასეთი კადრი მახსენდება: ქუჩაში ალიაქოთია, ხალხი სახლებს ტოვებს, ყველა გარეთაა გამოსული, ხელში ჩემი და ჩემი ძმის ზამთრის ტანსაცმლით სავსე ჩანთა მიჭირავს, ეზოდან გავდივარ და უკან ვიხედები, ფანჯარასთან ჩვენი კატა ზის და მშვიდად მიყურებს, ისე მშვიდად იყურება ამ ალიაქოთში, წამით მეც ვმშვიდდები.

„გამოსვლის წიგნშიც“ სწორედ ეს ვიგრძენი. ვფიქრობ, ეს ამბავი მთხრობელის თავდაღწევის მცდელობაა იმ არეულობიდან და ქაოსიდან, რომლის დანახვაც უწევს. წიგნის სათაურის ბიბლიური წარმომავლობაც ხომ ამაზე მიგვანიშნებს — მოსე ხალხს იხსნის ეგვიპტიდან, ის იხსნის ებრაელ ხალხს მონობისაგან... მაგრამ ეს ორი ამბავი — ბიბლიური სიუჟეტი და ქართველი ავტორის თხზულება — ერთი მნიშვნელოვანი რამით განსხვავდება ერთმანეთისგან: მოსე მონობიდან თავდაღწეულ ხალხს აბრუნებს აღთქმულ, მშობლიურ მიწაზე, იქ, სადაც ერთ დროს მათი წინაპარი აბრაამი ცხოვრობდა, „გამოსვლის წიგნში“ კი პირიქითაა, ხალხს თავისი მშობლიური მიწის დატოვება უწევს.

ტექსტი ხალხის ორ ნაწილს გვიჩვენებს: პირველნი ახერხებენ ომში პლაცდარმად ქცეული ქალაქებიდან და სოფლებიდან თავის დაღწევას, მეორე ნაწილი კი რჩება, არ ძალუძს თავისი სახლებისა და ახლობელთა სასაფლაოების მიტოვება.

ბიჭი ჰყვება ყველაფერს, რასაც ხედავს, რასაც სხვები საუბრობენ და იშვიათად მისი ემოციურობა გამოჩნდეს, მიუხედავად ამისა, წაკითხულს მაინც გრძნობ და ის შთამბეჭდავ კვალს ტოვებს.

ირაკლი კაკაბაძის „გამოსვლის წიგნი“ ნათელი მაგალითია იმისა თუ როგორ შეიძლება ომმა იმოქმედოს ბავშვზე, მის ემოციებზე. ბევრისგან გამიგია, რომ ამ ყველაფრის შეცვლა იმ თაობას შეუძლია, რომელსაც არ მოუწია ომის გამოვლა, მაგრამ ვფიქრობ, რომ უაზრობაა ეს ყველაფერი, ომი დიდი ხნის წინ დაიწყო და ახლაც გრძელდება, მავთულხლართები მოძრაობენ და არ ჩერდებიან.

* * *

— მორჩი? — მეკითხება ბაბუაჩემი.

— კი.

— ატჟიმანია რამდენი გააკეთე?

— თხუთმეტი.

— ცოტაა, ხვალ დილით მეტი უნდა გააკეთო, დღეს უკვე გვიანია. აბა, კუნთები მანახე.

მე სახელოს ვიწევ და გაღიმებული ბიცეპს ვჭიმავ. ბაბუას ეცინება.

— ოჰ, მაგარი ბიჭი ხარ. მიდი, ახლა კოტიკია გააღვიძე, — ჩემს ძმაზე მეუბნება.

მე ავრბივარ და კოსტას ვაღვიძებ. კოსტა თავს წამოყოფს, რაღაცას დაილაპარაკებს, ისევ ბალიშზე დადებს თავს და ნაშუადღევის ძილს შეიბრუნებს. მე ეზოში გავდივარ, ხელში ჩემს ჯოხს ვიღებ, როგორც იარაღს, ისე ვიჭერ ხელში და ჩვენი ოდის ეზოში წარმოსახულ მტრებს ვეომები. ამ დროს საშინელი ხმაური ისმის, აფეთქების ხმაა და მიწა იძვრის, ეს ყველაფერი რამდენჯერმე მეორდება, სახლისკენ ვიხედები, ფანჯრები ზანზარებს... ცოტა ხანში მეზობელს ამბავი მოაქვს — სენაკს დაარტყესო, მაგრამ მანამდე მე, შეშინებული, ჯოხს ვაგდებ და ბაბუასკენ გავრბივარ.

ნოდარ წვერიკმაზაშვილი

ხსნა

სხვაა, როცა ლექსი ცაზე იწერება,
ხსნაა, როცა იცი, რასაც ეწირები!
ვიღაც აბუეტი საფლავს მეცილება,
აღარც მეტირება, აღარც მეცინება —
ამ მტკნარ სიცხადეში ისე ვიძირები!..
დედა მარიამის დღეა მიძინების.

* * *

თავი მაპოვნინა, მაპატივა;
თან, განმიკითხეო! — დამანამუსა...
მტრად კი მეწერა!

მძიმე დღე

ვერ აუველ მარტის დღეს მარტოობით დაღლილი,
მწუხრში ქარი ნოტიო დაწანწალებს ძაღლივით...
მაწევს მწველი ფიქრები — არაბეთის უდაბნო;
არადა, ვერ ვიქნები უშენოდ და უდაფნოდ —
ჩემო მწარე ნექტარო, ღვთაებრივო იარავ...
როგორ გამიმეტე და გამაოხერტიალე!

ვარსკვლავი ფშავში

ფშავში ვარ —
ჩარგლელ ძველბიჭებთან
ვსვამ და ვკაფიობ;
თან ღიმილს ვცინცლავ
შავთვალწარბას და ჭრელკაბიანს...
ცაზე ვარსკვლავი მოჩანს ერთი ისე მკაფიოდ,
მგონია აგერ, ღორქლიავას წვერზე აბია!

კამოს ქუჩას გუგულმა გადაუფრინა

თავისუფლების წადილი კაცში
ყველა ვნებაზე უმძაფრესია!
ეგაა, მიწყივ რომ გვაწრიალებს
ჭკუამწირსაც და ჭკუათმყოფელსაც...
კამოს ქუჩიდან გაქცევა გიჟის,
რასაც მე თავად შევესწარ გუშინ —
ამის ნათელი მაგალითია!

რას გეყვარები

რაღაი შენი ფერა არ ვარ,
რას გეყვარები!..
მაგრამ ის მიღრღნის
და მიცუდებს გულს ნამეტნავად,
რომ ეგ უღრანი,
ოკეანის ტოლა თვალები,
ჩემდამი ციდა სიბრალულსაც
ვერ იმეტებენ.

ვაჟას გამზირი

ვცხოვრობ ქალაქში მგოსნის ქუჩაზე —
რა სიახლეა, რა ალაგია,
ნაგებობები ჩარგლის მთებს მოგავს...
ქარი ჩარგალში თურმე დაგოგავს,
აქ — არაგვია!

ჩემი სული

ცას რომ მიანჩქრევს,
ჩემი სულია —
მღვრიე, თაკარა;
მივა იქ, სადაც
სხვა ჩეროა
და სიანკარე.
გზა არ აშინებს —
ტყე-ღრეშია
ბალღი ნაზარდი!..
ქარიც აზარდეს,
უმალ დაშლის
მთელის აზარტით!

* * *

შინ რომც არ იყო, სატრფოო ჩემო,
მე ამ სახლს მაინც ვუსერენადებ —
ღამგაუშვებლად, გაცისკრებამდე!..
წუხელ სარკმლიდან სასიდედრო გამეკეკლუცა —
ვინ ოხერი ხარ, რომ ღრიალებ, მოგვასვენეო!
მე არა, მაგრამ გულს ეწყინა — შენ შინ იყავი!

შენდობის არმოსურნე

რახან უფლის ხელით ვარ
კაცად გამოჩარხული,
თუკი ვცოდავ, კიდეც მაქვს
მისგან, ალბათ, დასტური...
ხდება, მართლაც ვმკრეხელობ,
საერთოდ არ ვმარხულობ
და რა, უნდა ვაფურთხო
ამისათვის სატანას?! —
ცოდვებს ჩემსას, მითქვია,
საფლავშიაც ვატარებ!

სიყვარული ხარკია

სიყვარული ხარკია —
იმიტომაც გავიღე;
არც ისეთი კარგია! —
ჩემზე გითქვამს, გავიგე.
არც ისეთი ცუდია! —
გეთქვა, ბევრად მერჩია;
ფიქრებს ვერ აუდივარ,
ღიმილს გადავეჩვიე.
დამიგმანე ზეკარი,
მთვარეც გვერდზე მიწიე,
აწი ვინ გამიკარებს
ზედმიწევნით მიწიერს!..
თუმცღა ყოფა ამგვარი
სულისთვისაც ბარგია —
მაინც უნდა გიყვარო,
სიყვარული ხარკია!

მცნებები ელენიკოს

რუსთველმა და სახარებამ
სიბრძნე გვამცნეს რამხელა:
სიყვარულსა მალვა უნდა,
ცოდვებს კიდევ — გამხელა!..
ბარეღამ ვთქვათ, რაც დავითის
წიგნიდანაც სხივდება —
სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში ტკბილდება!

მშვენიერთან შეხვედრა

N-ს

სწორედ იმ დროს გაენთე,
დღე რო იმწუხრებოდა!..
და მე გრძნობით გავერთე —
ვიწვოდი და ვდნებოდი...
გრანელი ან ტაბიძე
ვიყო, რა მოხდებოდა —
მაგრა მოგიხდებოდა
ლექსი ნაღდი პოეტის!

ოღონდაც ახლო მაიწი

სხვისთვის სულ იცლი, რა ვიცი,
მე კიდევ უნდა გეძებო...
საით ხარ, ჩემსკეც მაიწი —
რო ტანზე შემოგეწებო!
სხვასთან კასკასებ, დაიცდი,
მე კი უჩუმრად გამცდები...
სად წახველ, აქეთ მაიწი —
ნისლივით შემოგაცვდები!
რა გახდა, რით ვერ მაიცლი
შამხსნა ეს ჯავრის კარები?!..
გული გთხოვს, ახლო მაიწი,
მე გინდ, არც მოგეკარები.

მოშლოდინენი

უამრავ ნაცნობს —
აწ გარდაცვლილებს,
ცხადლივ თუ ვერა,
სიზმრად ხო ვხედავ:
გამოღმით მე ვარ —
ივრის წნორებქვეშ,
ისინი კიდევ
წყალგაღმა სხედან —
რიყის ლოდებზე,
მზის მოლოდინში.

80-ს მიტანებულის ვნებანი

ამ ხანად თუ რამ წამომტკივდება,
ან სულაც შენზე ოცნება დამღლის,
ავითვლი ხოლმე დროსა და მანძილს
და რაზე ვმალო, მაგრა ვშინდები —
ბოლო არ იყოს ეს შობელძაღლი!

ანტისახელოვანთა ტრიადა

მაკედონელი — პირწმინდა ჟინი,
ძველი მსოფლიოს პირველი შუბი;
ლენგი თემური — აზიის ჟამი,
დიდხელოვანი სისხლის გუბეთა;
და ბონაპარტი, აგრეთვე მჟლეტი
და მით მომხვეჭი სიმპათიების!
ღმერთს აჟრჟოლებდნენ ეს სახელები...
რაკიღა ცოდვა სჯობს გამხელილი
და ძველს ახალსაც თუ მივუმატებთ
ჯამს ტრიო „ლენინ-სტალინ-ჰიტლერის“,
კი არ შეავსებს — გაალიპლიპებს.

ანგლო-ფრიც-ფრანცუებს

რო არ გვიშვებთ ზონაში,
ევროპა რა, თქვენია?!.
თქვენი შელიც, ზოლაც და
თქვენი ვერტერ-შენიეც!

ამ წლისგან გაბეზრებული

ჯერ გაზაფხულმა არ მზოგა, მცეხვა;
ვერცა რას მწია ზაფხულის მოსვლამ,
შემოდგომა კი, მორჭმული გლახა,
მცდელობს, ზამთარმა მალევე მომსრას!
მოკლედ, მაგრა მცდის დრო-ჟამი, ბეცი —
უნდა, ცაშიაც ვჩიჩქნიდე მიწას!..
და რაც ყველაზე საოცარია —
ამ სიცხადისგან შენც კი არ მიცავ!

* * *

— რაფერ ხარ, ქალო? — შეთენებისას
ძილ-ბურანში მყოფ ცოლს გადავძახე;
არ მპასუხობს, თავს იკატუნებს...
— მუჭო რექ, ძღაბი? — ხობელ ქალბატონს

ახლა უკვე ჩავუმეგრულე;
ისევ დუმილი; თუმცა შევატყვე —
პირზე ღიმილი აუთამაშდა.

მაშასადამე

მიკიბ-მოკიბვით დარახტულ რიტმებს
პოეტმა თუკი უშვა სადავე,
გულს ვატკენ, ვიცი და მაინც ვიტყვი:
შაირი ეშვა, მაშასადამე!

კაცობის გზა

რო ავიჩემე, იმ გზიდან
რათა არ გადამეხვია —
ხან მწირი ვიყავ, ხან გზირი,
ხან ხვითო, ხანაც მეხია.
ხელი რას აღარ ვატანე,
სადღა არ მედგა ფეხია,
თავშიც რა აღარ ვიხალე —
სიტყვა არ გამიტეხია!
ბევრმა თუ მიმტრო, არ მზოგა,
ზოგი ხო მეფერ-მეხვია! ..
დასტურ, კაცობის საზომი
ია-ვარდი და ნეხვია!

კიტრი ჩვენი არსობისა

განა კი მიკვირს და სულაც არ მშურს,
ჩემზე მდიდარი როა სუყველა;
აი, ყველა კი ფიქრობს რატომღაც,
რომ მე ქონება მაქვს მათზე მეტი...
მოდი ახლა და არკვიე შენ:
შუშა კიტრი ვის ბოსტანშია?!

ჯახირი უკვდავებაზე

ზღვა დროა უკვდავებამდე,
ათასი წელი გაშორებს;
რაკი არ იშლი, გაკვალავ —
მხრები თუ კარგა გაშალე!
ისე კი, რა ბედენაა
ზეკვა ციური თემშარის —
საქმეს ხო აქაც აკეთებ,
ლექსებსაცა წერ მათ შორის!

გაზაფხულით დანაღმული

რას იზაფრები, შე ახვარო,
გაზაფხულია!
გიჯობს, შეეშვა ე, მაგ ზრახვას,
მზაკვრულს და მგმირავს;
ზამთარს ისედაც აგვემინე
ჩემი სხეული!..
მორჩა, გულს ვეღარ გამიოხრებ —
დანაღმულია!

ძირძველისძველი

ვით აღმართს, ისე შევუდგები ხოლმე ლექსს წერად —
წარმოიდგინეთ: შოთას გმირი, გაჭრილი ველად,
ან კიდევ, ხვატში შარაგზაზე დამდგარი მწირი!
ლექსი, ჰო, ლექსად...
სიგელ-გუჯარს თუმც არას ველი —
როგორ არ ვცადე, ვერ გამოვდექ მამულის მცველად,
ვერ გავიხმარე სასიკეთოდ ხმალი და ცელი!
ბრალია, ახლა ამის გამო მიყუროთ ცერად,
მეც ხომ თქვენსავით იბერი ვარ — ძირძველისძველი!

ვერხველზე რო ყვავილია

გულის საქმე ვერ გავაწყვე,
ვძრწი, თვალები მიტირიან —
ესეც უცხადესი აწმყო,
ანუ მწარე იდილია!..
ჯავრი ვწყე და ვერ კი ავწყე,
არა და არ გაილია...
ღმერთო, ნუ გადამავიწყებ
ვერხველზე რო ყვავილია!

ერთსაც ვიტყვი

ავად თუ კარგად —ჯერაც ვარ. ჰოპლა!
მაგრამ ვერ ვხვდები: მღვიძავს თუ მძინავს...
შენ მაინც იცი, რას ვტოვებ სოფლად —
სიცარიელით გაძეძგილ ბინას!..
და ერთსაც ვიტყვი აქავე, მოკლედ,
არ უნდა ამას ლარი ან პინა —
ბარათაშვილი ობლობამ მოკლა,
გალაკტიონი არჩინა ღვინომ!

დალილა ბედიანიძე

* * *

ველარ ვუკრავ, დაკვრა დამავიწყდა,
იმდენი ხანია პიანინოს არ მივკარებივარ,
მაგრამ როგორც სკაში ფიჭა,
დაგროვდა პიანინოში მუსიკა
და როცა კლავიშებს მზერით გადავუვლი,
ისინი გუგუნებენ
და ჩემს ხსოვნაში აღსდგება ხოლმე
ნაირ-ნაირი მელოდიები.
ველარ ვუკრავ
და ჩემი პიანინო, როგორც შავი გედი
დაცურავს იდუმალი მუსიკის ზღვაში
და თან დაჰყვება ჩემი მოგონებები
იმ დროზე, როცა ჯერ კიდევ ვუკრავდი
და როცა ჯერ კიდევ შემწევდა ძალა,
მოწოლილ მელოდიებს გავმკლავებოდი.
ველარ ვუკრავ, მაგრამ არ დუმს პიანინო,
როგორც სკაში ფუტკრები
ზუზუნებენ ბგერები — თაფლის მუსიკა შემოაქვთ
და ასე მგონია, ერთხელაც მივუჯდები პიანინოს
და ყველაფერს ერთად დავუკრავ,
რაც გამოვტოვე.

* * *

ჩემს საკრმელთან მოცუნცულდა კატა,
ჩამოჯდა და მოიკეცა კუდი.
ვუმზერ, ვტკბები, დილას გემოს ვატან,
არაფერი მაგონდება ცუდი.

მზე ამოდის, მზე სიცოცხლის მგვრელი,
ლამაზია ეს აპრილის დილა
და ღრუბლების სვლა იწყება ნელი,
გადამფრენ ჩიტს მოჰგავს ღრუბლის ფთილა.

სიმშვიდეა, სიწყნარეა ირგვლივ,
ვიღებ ფანქარს, გულმოდგინედ ვხატავ.
დგას ფანჯრის წინ ყვავილების რიგი
და უხდება ხეებს თეთრი კატა.

დრო გაჩერდა და მოვწყვიტე წამი,
carpe dium — როგორც ძველებს უთქვამთ.
და ჩემს თვალში გაიყინა ნამი
და ვიგრძენი გაზაფხულის სუნთქვა.

ჩემს სარკმელთან ჩამოსკუპდა კატა,
კატას ვხატავ, სიოს ღიღინს ვყვები.
ეს ერთი დღეც როგორ მომემატა,
მომემატა, თუ — მომაკლდა წლები?

* * *

ლექსს როცა ვამბობ, ფეხზე ვდგები,
რათა ღმერთმა უკეთესად დამინახოს,
როგორც ხე, რომლის კენწეროც ცას მიბჯენია
და მაქვს ფესვები ლექსში გადგმული.
მე დავიბადე ნოეს კიდობანში
წარღვნიდან ცხრა თვის შემდეგ
და კოჭლმა ირემმა მაწოვა ძუძუ
და როდესაც კიდობნიდან გამომიყვანეს,
ლექსად გამოვთქვი ადამიანთა მომავალი —
დაბადება — ეს უდრის სიკვდილს,
ნოეს კიდობანში უკან ველარავინ დავბრუნდებით.
მე ლექსში ვზივარ, როგორც მზეთუნახავი — კოშკში,
დრო — გველეშაპი — ამ კოშკს ირგვლივ შემოვლებია
და მხოლოდ ზღაპრის გმირი მიხსნის გასაჭირიდან
სიყვარულზე ლექსის ფასად.
ლექსს როცა ვამბობ, ფეხზე ვდგები,
რათა ღმერთს ჩემი ხმა მივაწვდინო
და დავინახო, უფლის თვალი
როგორ ბრუნავს ლექსის ყანაში
და მადლობა გამოვთქვა სიცოცხლისათვის.

დავით წერედიანს

მიმწუხრის ჟამმა დაივანა სულის უბეში,
მზე ჩამავალი რძიან ღრუბლებს ეალერსება.
სიკვდილისაგან ხსნა არ არის და არც — ნუგეში,
მაგრამ ყოველი გადაფარეს მქრქალმა ლექსებმა.

ო, რა ძნელია სიცოცხლესთან გამოთხოვება,
მინდა ათასჯერ დავიბადო და ავყვავილდე.
მარადიული დღე დაღამდა, ღამეს მოება,
მინდა, არ მოვკვდე და ზეცაში ცოცხლად ავიდე.

ერთ სიცოცხლეში მე ვერ ვხედავ ბედნიერებას,
ათას სიცოცხლეს გისურვებდი და უფრო მეტსაც.
მზეს შეგავედრებ, ვგრძნობ, სიკვდილი ვერ მოგერევა
და საახალწლო ხმამაღალი გუგუნებს მესსა.

ჩემს ბებიებს

ჩემი ანასტასია,
მარიამ და ბარბარე
უკვე დიდი ხანია,
რაც მიწას მივაბარეთ.

ჩემი სამი ბებია,
ჩემი სამი ნუგეში,
ზეცას შეჰფარებია,
არის ზეცის უბეშიც.

ლამაზი და ჭკვიანი
ჩემი სამი ბებია...
ათბობთ შუქი გვიანი,
ჩამავალ მზით თბებიან.

მაგონდება ბავშვობა,
ბებიების ალერსი,
გართობა-თამაშობა
და გარევა ქალებში.

მათი სული აცხონე,
ღმერთო, ღმერთო მაღალო,
ცოდვა-მადლი აწონე
და ლოცვით არ დამღალო!

ჩემი ანასტასია,
მარიამ და ბარბარე
სამი ოქროს თასია
და ცხვარი მომთაბარე.

დააყენე ნათელი,
ღმერთო, და გაანათლე
და ამ სამი სანთელით
მათი გზა გაანათე!

აბლატივუსი

მიზიდავს აბლატივუსი —
მოქმედებითი ბრუნვა.
მჭირს სიყვარულის ვირუსი
და სიყვარულზე ზრუნვა.

ვმოქმედებ, ანუ ვარსებობ,
უფლის წყალობას ველი
და, ვარსკვლავების დასებო,
თქვენი შუქით ვარ სველი.

მაბრუნებს აბლატივუსი,
მოქმედებს ჩემი ხელით.
უბერავს თან სირიუსი,
ცვივა ფოთლები ხმელი.

თენდება, ისევ ღამდება
და მოქმედ დღეებს ვყვები.
გაჯერდა წინადადება
აბლატივუსის ქებით.

აბლატივუსი დამჩემდა,
ძალიან ხშირად მმართავს.
ყველა სხვა ბრუნვა გაჩერდა,
მხოლოდ ის ამბობს მართალს.

მიზიდავს აბლატივუსი
და მეც ვბრუნავ და ვბრუნავ,
ვმოქმედებ — არ მჭირს მინუსი
და სიყვარულზე ვზრუნავ.

გიორგი შერვაშიძე

ჩანახატ-პოსტები

შავ-თეთრი ფოტო

ბავშვობის სახლში ერთი პატარა „ჩულანი“ გვქონდა. სათავსო იყო, რა, საერთო აივნის ბოლოს. სულ ოთხი კვადრატი თუ იქნებოდა, თუმცა, იმდენ რამეს იტევდა, რომ... აურაცხელს... ჯერ მარტო ფოტოფირის გამჟღავნებისა და შემდგომ დაბეჭდვის მოგონებები რად ღირდა?! ეგ ამბავიც, ფოტოების გამჟღავნება-დაბეჭდვისაც, ხომ იქ, „ჩულანში“, ხდებოდა?! წითელი ნათურა, კონუსური ფორმის არამიწიერი წარმოშობის „საბეჭდი დანადგარი“, რამდენიმე ქიმიური ხსნარით სავსე ლანგარი და თოკზე „გაფენილი“ შავ-თეთრი ფოტოები...

ყველაფერი კი იმით იწყებოდა, რომ მამა იღებდა ფოტოაპარატს, გადიოდა შემოსასვლელში, რომელსაც ფანჯრები არ ჰქონდა, ხოლო შუქსაც თუ ჩააქრობდი, ნამდვილი უკუნი იდგა და იწყებდა ფოტოაპარატიდან ფირის ამოღების ოპერაციას. მსგავსი მისტიკური ამბავი ცოტა თუ მახსოვს. საათობით შეეძლო იქ, შემოსასვლელის უკუნში, ჯდომა. ნეტავ, ამდენხანს რას აკეთებდა? არასდროს მიკითხავს, თუმცა ფირის ამოღებას და უკან ბუდეში მოთავსებას ამდენი დრო ნამდვილად არ სჭირდებოდა. ალბათ ჩვენგანაც ისვენებდა.

მე ამის უფლება — შემოსასვლელის უკუნში განმარტოებისა და ფირის თავის ბუდეში „უკუდახვევისა“ — არასდროს მქონია. ეს მამას საქმე იყო; მოწოდება, მისია, რომელსაც არავის დაანებებდა. ტყუილია, რომ ამბობენ, კაცის საქმე ხორცის დაჭრააო. ფოტოაპარატიდან ფირის ამოღებაა ნამდვილი მამაკაცის საქმე. და თან მთელი საუკუნე იმ მისტიკურ წყვდიადში ჯდომა.

მერე კი იწყებოდა გამჟღავნებისა და ბეჭდვის პროცედურები. აქ განდობილთა წრე უფრო ფართე იყო და ხანდახან რომელიმე ჩემ მეგობარსაც კი დავისწრებდით ხოლმე. ჩემთვის ბეჭდვის რიტუალი იყო ყველაზე მეტად შთამბეჭდავი, რადგან ამ დროს სასწაულიც უფრო ხილული გახლდათ, ვიდრე ფირის გამჟღავნებისა თუ უკუნის მეტამორფოზებისას. ალბათ, ვისაც არ უნახავს, თეთრ ფურცელზე როგორ ჩნდება მკრთალი გამოსახულებები, რთულად ირწმუნებს შავ-თეთრი ფოტოს ღმერთს. არადა, მსგავსი სასწაული არც ისე ბევრია... გიჭირავს პინცეტით ქაღალდის თეთრი ნაგლეჯი და ქიმიურ ხსნარიან ლანგარში, „ვანჩკაში“ ავლებ. ჯერ ერთში, „პრაიავიტელიანში“, მერე მეორეში, „ზაკრიპიტელიანში“, მერე მესამეში, წყლიანში და, ამასობაში, იქიდან, ქაღალდის ნაგლეჯიდან, უკვე ვიღაც გიყურებს, გიღიმის, ხელს გიქნევს... ფაქტობრივად, ახლიდან დაბადების მომსწრე ხარ. გამოსახულების დაბადებისა...

ერთხელაც დავხედე ახლადგამომცხვარ ფოტოს და ელდა მეცა... წინა პლანზე ჩემი უმცროსი ძმა დგას გაბადრული სახით, უკან კი მე ვზივარ ღამის ქოთანზე. კარგი თუჯის, ლურჯი, ემალირებული ქოთანი იყო. აი, ისეთი, სამ თაობასაც რომ გაუძლებს და კომბოსტოსაც რომ ჩააწნილებ. არადა, საერთოდ არ მახსოვდა ეს ეპიზოდი და კადრშიც აშკარად შემთხვევით მოვხვდი. საოცარი ფოტო კი გამოვიდა. თან ქოთანზე ვზივარ, თან გავრბივარ და თან მოსახვევში კიდეც ვდრიფტაობ. მოკლედ, მაგარ გაწამაწიაში ვარ და უცებ, ოპა, კადრში არ მოვხვდი?! ეს ფოტო, ალბათ, ერთი შვიდჯერ მაინც დავხიე და დედაჩემმა რატომღაც ისევ აღადგინა, გადააწებ-გადმოაწება. თანაც სულ თან დაჰქონდა და ბლოკნოტშიც ინახავდა. ნეტავ, რა მოსწონდა ამ ჩემს ქოთნის ფორსაჟში?

მე — მწერალი

ადრე მიმტკიცებდნენ, მწერლისთვის საუკეთესო სამუშაო ადგილი სასტუმრო და/ან ბორდელიაო. ჰო, მაშინ სასტუმროში ვმუშაობდი... ზუსტად არ მახსოვს, ვისი სიტყვები იყო, თუმცა, ეს ფრაზა რომელიღაც დიდ მწერალს რომ ეკუთვნოდა, ეგ კარგად დამამახსოვრდა. თან ისეთ დიდს, აი, ტყუილიც რომ დაეჯერება...

მე კი სასტუმროში სამსახურმა სრულიად არ მომხიბლა. ვხვდებოდი, ამ სიტყვებში, სასტუმროში მუშაობაში, რაც იგულისხმებოდა, რადგან დღის განმავლობაში იქ იმდენი რჯულის ადამიანი ირეოდა და ღამით კიდევ ისეთი გასაოცარი ამბები ხდებოდა, ერთ ტრილოგიას კიდევ ეყოფოდა, თუმცა ყოველივე ეს ჩემამდე რატომღაც არ მოვიდა. ჩემგან შორს დარჩა... ეტყობა, ამპარტავნებამ არ გამიშვა, რათა მომსახურების სფეროს ბოლომდე შევრწყმოდი და იქაურ კლიმატსაც შევგუებოდი.

ბორდელში არასდროს მიმუშავია და, შესაბამისად, წარმოდგენა არა მაქვს, იქ რა ამბები ხდება. არა, კი ვიცი, რაც ხდება, მაგრამ მწერლისთვის სასიკეთოზე ვერას გეტყვით, შემოქმედებითი თვალსაზრისით მაინც... ან კი იქ რად უნდა იმუშავო ბორდელში? ელექტრიკოსად? მე მეტი ფანტაზია არ მყოფნის და არც ელექტროობისა გამეგება რამე. ასე რომ, ბორდელში ჩემი დასაქმება და შემდგომ იქ შთაბეჭდილებების შეგროვება თავიდანვე გამორიცხული იყო.

აი, რაც ნაღდად შთამაგონებს და წვას მაძლევს, ეს მოგზაურობაა. სწორედ მოგზაურობისას შეძენილმა განწყობებმა, შთაბეჭდილებებმა და მოგონებებმა განადავიმორცხვე. შეგნებული ხალხი აღმოჩნდა და მალევე მიხვდა, არაფრის არსად წამღები რომ არ ვიყავი. დამეხსნენ. აი, მერე, კი, როდესაც ეკლესიიდან გამოვედი და გავაცნობიერე, უარი რაზეც ვუთხარი, ძალიან გამიტყდა. მეტი რომ არ შეიძლება, ისე გამიტყდა. განა, ისეთი რა მთხოვეს, ეგზომ რომ დავიზეთე და უარი ვუთხარი-მეთქი?! მივბრუნდი და დიდხანს ვეძებე, თუმცა უშედეგოდ, ველარსად მივაკვლიე.

აი, სწორედ ამ უწყინარმა ამბავმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ შემდეგ რომანშიც კი დაიმკვიდრა ადგილი და მეორე ხაზსაც ჩაუყარა საფუძველი. ოღონდ, ცოტა სახეშეცვლილად, შელამაზებულად... შესაბამისად, პლატონ ანჩაბაძემაც, ჩემგან განსხვავებით, მონაზვნებს დახმარებაზე უარი არ უთხრა და, პირიქით, პირობაც მისცა, რომ მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ საუკუნოვან მოხუცს, სახელად აღაპეს, რომელსაც სისხლში ისეთი ნივთიერება ჰქონდა, რომელიც სიმსივნეს ამარცხებდა და რომელზეც იმხანად ფარმაცევტები ნადირობდენ, ბუდაპეშტში უვნებლად ჩააყვანინებდა და...

შობა

არ ვიცი, როგორ და რანაირად მოხდა და მოეწყო, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ მთელი ბავშვობა თავთან მუდამ „შობის ვარსკვლავი“ მეკიდა. უფრო სწორედ კი ნაკლებად ცნობილი მხატვრის ბეჭდური რეპროდუქცია... უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ფერადი პოსტერის წინაპარი, ბანერ-პიონერი... მოკლედ, თავთით უშველებელ ჩარჩოში ჩასმული „შობის ვარსკვლავის“ ფერადი ასლი მეკიდა... მთავარი ამ ამბავში კი ის გახლავთ, რომ სწორედ ეს ნახატი შეიქნა ჩემი შემდგომი მრავალი შთაგონების წყაროდ.

ზუსტად ისიც კი აღარ მახსოვს, ზედ მწყემსები იყვნენ გამოსახულნი თუ მოგვნი, თუმცა მანათობელი ვარსკვლავისკენ ხელგაშლილი ფიგურა მკაფიოდ დამამახსოვრდა. ისე, ცოტას ვმეტიჩრობ, რადგან ეს სურათი ახლაც კედელზე კიდია და ახლავე შემიძლია, ავდგე და ვნახო, თუმცა მერე ამ აქტს ჩემს წარმოსახვებთან და მოგონებებთან საერთო უკვე აღარაფერი ექნება.

ასე იყო თუ ისე, მაცხოვარი მაინც იშვა... იშვა იმ წელსაც, როდესაც მე გავაცნობიერე, თავთით რა სურათი მეკიდა და იშვა მაშინაც, როდესაც მივხვდი, რომ იმავ ოთახში პორნოგრაფიის ყურება არ ღირდა. სხვა კიდევ ბევრ რამესაც მივხვდი... ამას წლებიც კი დასჭირდა თუ არა ათწლეულები, თუმცა რაღაც ჭეშმარიტებები ჩემამდეც დავიდა.

ძალზედ უცნაურია, მაგრამ ხშირად ისეც ხდება ხოლმე, რომ გინდა აკეთო ის, რაც არ შეგიძლია, გინდა იმეგობრო მათთან, ვისთანაც არაფერი გაქვს საერთო და, ზოგადად, გინდა იყო ის, ვინც ვერასდროს იქნები. და განა იმიტომ, რომ ამას ვერ შეძლებ?! არა, უბრალოდ, ეს შენი არაა და თანაც შეუძლებელია, რომ ყველაფერი ერთდროულად გეძლეოდეს... ამის მიხვედრა კი არც ისე ადვილია.

არადა, ყველაფერი ბევრად მარტივად არის მოწყობილი. შენ ცხოვრობ იმ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ შენია. შენ მეგობრობ იმ ადამიანებთან, ვინც შენთან ყველაზე მეტად ახლოს დგანან და შენ ხარ ის, ვინც თავად შექმენი... და რა შექმენი, ეს უკვე შენი პასუხისმგებლობაა.

კიდევ იმას მივხვდი, რომ ამ მოვლენაში, შობაში, მე წვლილი ნაკლებად მიმიძღვის, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მართლა მჯერა ამ საოცარი ამბისა... ყველაზე მაგარი და შთამაგონებელი ამბისა. ამბავთა ამბისა, რომელმაც მხოლოდ მე კი არ შთამაგონა და ამაღელვა, არამედ, მთელი შუა საუკუნეების რენესანსის ეპოქაც კი შექმნა, თუმცა, ჩემი, შენი და ჩვენი რწმენის გარეშე, არც არაფერი გამოვიდოდა და გამოვა...

რისი თქმა მინდა და იმისა, კარგია, მე თავთით სწორედ ეს სურათი რომ მეკიდა. აბა, მერე ღმერთმა იცის, რა სურათს დამიკიდებენ თავთით... დამიკიდებენ კი აუცილებლად... თუმცა სანამ „დამიკიდებენ“, მე მუდამ მემახსოვრება „შობის ვარსკვლავი“ და ის საოცარი ისტორია დასაბამისა, რომელმაც ძალიან ბევრ ადამიანს „ორთავ სამყაროში“ შვება მოჰგვარა და იმედი ჩაუსახა.

და ძალიან დამწყდება გული, თუ ეს დღესასწაულიც გაქრება... და ჩემ კედელზე დაკიდებული შობის გარსკვლავიც ჩაქრება... და ეს კი აუცილებლად მოხდება, თუ დაიკარგება რწმენა. არადა, ამ ამბის დაჯერება უმარტივესია და ეს ყველას შეუძლია. მეც, შენც და იმათაც კი, ვისაც ჰგონია, რომ ამის რწმენა შეუძლებელია. ეს შესაძლებელია... შობა ხომ ყველასია...

ახალი წელი

თოვლის ბაბუის ისე ძლიერ მჯეროდა, რომ ერთხელ კიდეც დავინახე. დიახ, ჩვენი დიდი სასადილო მაგიდის ქვეშ იმალებოდა. ჩემსკენ ზურგით იჯდა და მეც მკაფიოდ მხოლოდ მისი წითელი ბოხჩის გარჩევა მოვახერხე. სახე არ დამინახავს. თუმცა, რწმენის გასაძლიერებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მერე კარგა ხანს მჯეროდა, რომ ის ნამდვილად არსებობდა და ცოტა კიდეც მწყინდა, ჩემი კლასელები ასევე რომ არ ფიქრობდნენ. ეს მამაჩემი არ ყოფილა. მართლა მომეჩვენა. ეგრეც ხდება ხოლმე, როდესაც რაღაცის ძლიერ გწამს და გინდა, კიდეც მოგეჩვენება ხოლმე...

მერე, ერთხელაც, გამოვაღე კარადის კარი, სწორედ იმ მაღლისა, რომელსაც წესით ვერ უნდა შევწვდომოდი და, ჰოი, საოცრებავ?! ჩემი კლასელები არ ტყუოდნენ... სწორედ იქ არ დამხვდა ის პატარა წითელი ბოხჩა, რომელიც ჩვენ თოვლის ბაბუას ყოველ წელს დაუყვედრებლად მოჰქონდა ხოლმე?! აბა?! ჯერ მეწყინა და მერე კი გამიხარდა. ხასიათი ბოხჩის გახსნასთან ერთად მეცვლებოდა. შემდეგ უკვე ჩემს უმცროს ძმასაც ძალიან გაუხარდა. იმას ჩემზე მეტად უყვარდა კანფეტები. რაღას ვიზამდით?! ჩემთვის ყველაფერი ცხადი და ნათელი შეიქნა. ჩემი ძმისთვისაც... ის კანფეტები ახალ წლამდე ვერ მიატანდნენ. ეგრე აგიხდეთ ყველაფერი კარგი...

იმ წელს ჩვენთან თოვლის ბაბუა ორჯერ მოვიდა. ერთხელ კარადაში ახალ წლამდე ორი კვირით ადრე და ერთხელაც, როგორც ჩვეოდა, ოცდათერთმეტში ნაძვისხის ქვეშ. ჩვენ, უმცროსებს, ძალიან მოგვეწონა ეს ამბავი. უფროსებს — არც ისე. განსაკუთრებით ის არ ესიამოვნათ, სათამაშოებიც რომ გადამუშავებული დახვდათ. წითელი ბოხჩა სათამაშო მანქანების გატეხილი დეტალებითა და დაღრღნილი თვლებით სავსე დახვდათ. რაღას იზამდნენ?! საიდუმლოს გათქმა არ გამოვიდოდა. ალბათ, ისევ ჩემი უმცროსი ძმა დაინდეს და თან თოვლის ბაბუასაც ნამუსი შეუნახეს. არაფერი შეიმჩნიეს, ვითომც, არაფერი მომხდარაო, მხოლოდ ერთმანეთს რაღაცნაირად უნდობლად გადახედეს და სამალავი შეცვალეს...

ამასწინათ, ჩემ პატარა გოგოს ვეუბნები, მამა, მე როცა შენხელა ვიყავი, თოვლის ბაბუა დავინახე-მეთქი და მართლაო, გაუნათდა თვალები. კი, მამა, მართლა-მეთქი. აუ, რა მაგარია, მარტო შენ რომ გყავს ნანახი თოვლის ბაბუაო. ეტყობა, მწერალი რომ ხარ, მაგიტომაც დაგენახაო. ეტყობა-მეთქი...

ყველას გექნებათ თქვენი საახალწლო ისტორია. მოიგონეთ, არ დაიზაროთ და მოუყევით ისინი პატარებს. ახალი წელი

ხომ მათია?! ამ ყველაფრისა ხომ ყველაზე მეტად მათ სჯერათ და ეს ყოველივე ხომ ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ?! თუმცა, არა... მეც მჯერა და მეც ისევე მჭირდება, როგორც შენ, თქვენ და ყველას...

ძაღლი

აი, უკვე, მერამდენე წელია, რაც ბავშვებს სახლში ძაღლის მოყვანას ვპირდებით... ხან დაბადების დღეებსა და ხანაც ახალ წელს. მგონი, უფრო ახალ წელს. ეს ახალი წლები კი ერთმანეთს მისდევენ და ნანატრი ოთხფეხა მეგობარი მაინც არსად ჩანს. უკვე ცოტათი ჩვენც, უფროსებიც, შევწუხდით ამდენი უძაღლობითა თუ ტყუილი დაპირებებით (ნეტავ, სხვებიც ასე წუხდებოდნენ ტყუილი დაპირებებით) და, ალბათ, წელს თოვლის ბაბუა არა XBOX, IPHONE და ან ტექნიკის რამე სხვა საოცრებას მოიტანს, არამედ, წელს მოყავს ლაბრადორი. ბავშვებს ძალიან უხარიათ და მე კი გული მიწუხს. და, განა, იმიტომ, რომ ცხოველები არ მიყვარს, არა, პირიქით, ძალიანაც მიყვარს და მთელი ცხოვრება სახლში პატარა ზოოპარკიც მქონდა. უფრო კი ვეტერინარული კლინიკის მსგავსი დაწესებულება, რადგან თუ სადმე წელმოწყვეტილ კატას, ფრთამოტეხილ მტრედს და ცალყვერა ძაღლს წავაწყდებოდი, უკლებლივ ყველა სახლში მიმყავდა. მერე დიდხანს ვკურნალობდი, ვუშუშებდი იარებს, ვაფრთიანებდი და... მხოლოდ ცალყვერებს ვერაფერს ვშველიდი... და შემდეგ მათ ადგილს სხვა ცხოველები იკავებდნენ. ისინი, ძველები კი, სად მიდიოდნენ, აღარ მახსოვს. ალბათ, ჩემი გადამეტებული ყურადღებით წუხდნენ და გარბოდნენ...

ჰოდა, გადაწყდა, რომ თოვლის ბაბუამ ძაღლი უნდა მოიყვანოს. ყველას ძალიან უხარია. ვატყობ, ჩემი მეუღლეც კი მოლოდინის რეჟიმშია, თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღება, ალბათ, ყველაზე მეტად მაინც მას გაუჭირდა, რადგან ოთხფეხა მეგობართან მასაც თავისი ემოცია და მოგონება აკავშირებს. თურმე, ბავშვობაში მასაც ჰყოლია ძაღლი, რომელიც მის თვალწინ მანქანას გაუტანია და მორჩა... ძაღლი გაქრა და მისი ადგილი ტრავმამ დაიკავა. კარგი, ჯანდაბას ჩვენი თავიცა და მოგონებებიც... მთავარია, ბავშვებს უხარიათ. თოვლის ბაბუას წერილებსაც სწერენ და, ალბათ, უკვე ძაღლი კიდეც ესიზმრებათ. მეც მესიზმრება უშველებელი ლაბრადორი. ძალიან კეთილი სახითა და... მერე უკვე მხოლოდ მის უშველებელ კუკუს ვხედავ, რომელიც ხელზეპარკწამოცმულმა უნდა ავიღო. ცივი ოფლი მასხამს და მეღვიძება. ძალიან არ მინდა ხელზე პარკის წამოცმა და უშველებელი, თბილი კუკუს ხელში აღება. არადა, ზუსტად ვიცი, ეს ჩვენი ლაბრადორი ძალიან მალე ყველას მობეზრდებასავით, რადგან ორკვირიანი თამაშის შემდეგ, როდესაც პასუხისმგებლობის აღების მომენტი დადგება, ეს ამბავი სახალისოდ აღარავის მოეჩვენება. შესაბამისად, ძაღლიც ჩემი მისახედი გახდება. არა, კი არ ვწუწუნებ, მაგრამ... ისიც ვიცი, რომ ეს, ანუ ცხოველებთან ურთიერთობა და ამბები, ბავშვებისთვის აუცილებელია, უფროსებისთვისაც სასარგებლო გახლავთ, მეც მალევე შევეჩვევი ოთხფეხა მეგობარს და აღარც მისი კუკუს პარკში გახვევა დამტანჯავს ეგზომ, თუმცა... ერთს ვიხვეწები, თოვლის ბაბუას ცოტა პატარა ძაღლი მაინც დააბარეთ-მეთქი, მაგრამ არ შვრებიან... თითქოს, ჯიბრზე, ათასი პატარა თუ დიდი წყენის სანაცვლოდ, დიდივე ძაღლი უნდათ, რათა მერე იმან დიდზევე... უხ, თოვლის ბაბუ, მე რომ შენი...

კოწია

ჩვენთან, უბანში, სულ ძველი „იტალიური სახლები“ იდგა. ზოგი საუკუნისა და ზოგიც კიდევ მეტის... გარედან სულ კოხტა და წითელი აგურისა, შიგნიდან კიდევ ბროწეულივით ათასი... ჰო, მართლა ათასი, რადგან ამ „იტალიურ სახლებში“ იმდენი სული, ოჯახი თუ ადამიანი ცხოვრობდა, რომ უთვალავი... ერთიც მაგდენი კიდევ მიწის ქვეშ, სარდაფებში... მოკლედ, შეხედავ და სახლია, რა, თავისი რიკულებით, აივნებით, ჩუქურთმებითა და ამბებით... შიგნით კიდევ ხალხი ცხოვრობს, გასაოცარი...

ერთ-ერთ ასეთ სახლში ცხოვრობდა კოწია. კი იყო ჩემზე, ალბათ, ასე 30-35 წლით უფროსი და შეიძლება, მეტითაც, მაგრამ ეგ სულაც არ გვიშლიდა ხელს ურთიერთობაში. ან კი როგორ შეგვიშლიდა, როდესაც საქმე უბანს ეხებოდა. უბანში კიდევ ხომ არც ასაკს, მრწამს, რჯულს და არც სხვა რამ განსხვავებას აქვს მნიშვნელობა?! უბანი უბანია, თავისი წესებით, პატივისცემებით, ჩათლახობებით და დაუფარავი ამბებით... ჰოდა, ეს კოწია ის კაცი იყო, რომელსაც რომ ჯიბგირი ერქვა და ეს სახელიც სწორედ მისთვის მოეგონათ. ერთი ძველი ჟიგულიც ჰყავდა, სულ ჟანგისგან შეჭმული და თეთრი. დააგრიხინებდა ამ თავის ავტოს წინ და უკან და კაცი ვერ მიხვდებოდა, რისთვის და რატომ. ისე, ეს სხვა ვერ მიხვდებოდა, თორემ ჩვენ, ჩემხელა ბიჭებმა, სულ ზუსტად ვიცოდით, სად და როგორ... კოწია მთელი დღე ქალაქში დაძრწოდა და მანქანის აკუმულატორს, საბურავებს, მაგნიტოფონებს, სარკეებს და ყოველივე იმას იპარავდა, რაც ადვილად მოხსნას ექვემდებარებოდა. თვის ბოლოს კი რომელიმე კუნაპეტ ღამეს მოაყენებდა სახლის სარდაფს მოზრდილ ფურგონს, გაავსებდა მთელი თვის ნაძარცვით და გააქროლებდა სადღაც შორს, შეიძლება საზღვარგარეთაც... სად, ზუსტად არ ვიცი, არასდროს მიკითხავს, რადგან დიდად არც მაინტერესებდა. მე უფრო სხვა რამეები მაინტერესებდა. აი, ის, რაც მერე იქიდან, შორეთიდან, მობრუნებულს მოჰქონდა ხოლმე...

ერთხელაც ვდგავარ უბანში მარტო. ზაფხულია და ცხელა. ქალაქში აღარავინ არის, მარტო მე შემოვრჩი. მოწყენილობისგან ლამისაა წიგნების კითხვა დავიწყო, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერსად ვიტყვი. ჰოდა, მოდის ეს კოწია და წამო, რაღაც საქმეზე გამომყევიო. მეც, სხვა რა მინდოდა, ოღონდ, ვინმეს ეთქვა, სადმე გამომყევიო და სად, რა მნიშვნელობა ჰქონდა?! ხოლო, როცა ამას კოწია გთხოვდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ხეირი არ აგცდებოდა... მეც გავყევი. ფეხით ვიარეთ. კოწია მომცრო ტანისა იყო და ხვლიკივით სწრაფად დაძვრებოდა. ალბათ, ასე 55 წლისა იქნებოდა. ნახევარი ცხოვრება ციხეზე გაეტარებინა და მეორე ნახევარი ჩვენთან უბანში. შესაბამისად, ბევრად უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა და თან ისე, რომ თუ კოხტად ჩაიცვამდა, პროფესორისგან ვერც კი გაარჩევდი.

იმ დღეს ეგრე არ ეცვა და ნეტავ, სცმოდა. თურმე, ეს კოწია იმხანად ყალბი ოქროს ძეწკვების გასაღებით იყო დაკავებული. სახლში მცირე რამ საამქრო მოეწყო და „ლატუნი ცეპებს“ ისე „აოქროვებდა“, რომ ნამდვილისგან ლომბარდშიც კი ვერ ასხვავებდნენ. ასე და ამგვარად, თურმე, მთელი დღე დავდიოდით, ვაბარებდით, ვყიდდით ამ „ლატუნი ცეპებს“, ვითომცადა, ნამდვილი ოქროსი ყოფილიყოს და მე კი არაფრის აზრზეც არ ვიყავი. ნაღდი ხბო... ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როდესაც პლეხანოვზე ერთი უშველებელი ტანის კაცი გადაგვიდგა წინ და ისეთი დაიზმუვლა, ჩაფსმა ვერ მოვასწარი... ეს რა არისო, დაიღრიალა და ცხვირწინ ძეწკვი დაგვიტრიალა, რომელიც სულაც აღარ იყო ისეთი ოქროსფერი, რომ ნამდვილი გგონებოდა. თურმე, კოწიას ალქიმიას ვადა ჰქონია და მოოქროვილი ძეწკვებიც კვირის თავზე კონკიას ეტლივით კვახებად იქცეოდნენ...

ეგრევე მივხვი, რაც მოხდა და სიმწრისგან თვალები დავხუჭე. მეგონა, ჯერ მაგრად გვცემდა და მერე, ალბათ, კიდეც დაგვიჭერდა... მე რატომღა? რისთვის? უბნელობისთვის?! თვალები რომ გავახილე, ის ვეებერთელა კაცი ძალიან დარცხვენილი სახით იდგა, ხელებს ზურგს უკან უხერხულად მალავდა და კოწიას ებოდიშებოდა. ვერაფერს მივხვდი... გავხედე და სადღაა კოწია? ჩემს გვერდით ვიღაც ხეიბარი კაცი დგას, რომელსაც სახის ჩათვლით სხეულის ნახევარი პარალიზებული აქვს და თვალებს ისე ატრიალებს, გული დაგეწვება. იმ კაცმა ვეღარ გაუძლო ამ საცოდაობას, უკაცრავად, შემეშალაო და გაგვეცალა. იქ აღარც მე მესაქმებოდა და უკვე წამოსვლას ვაპირებდი, როდესაც კოწიამ მომაძახა: რა ქენი, ბიჭო, ხომ არ ჩაისვარეო? ის ხეიბარი კაცი, იმ ვეებერთელა კაცს რომ კოწია ეგონა, ახლა ისევ კოწია იყო. ესეც შენი მეტამორფოზა. ჩავისვარე, კოწია, აბა, რა, ვქენი, მე რომ შენი...

მეტრონომი

პრაღა რომ ლამაზია და კოხტა, ეს უჩემოდაც ცნობილია. იქ სანახავი და დასამახსოვრებელი მართლაც რომ ბევრია, მაგრამ მე რატომღაც მთის წვერზე ლეტნა პარკში განთავსებული გიგანტური მეტრონომი დამამახსოვრდა რაღაცნაირად განსაკუთრებით. ის სწორედ იმ ადგილზე გახლავთ აღმართული, სადაც ადრე ძია სტალინის მონუმენტი იდგა. ამ ღირსშესანიშნაობის ისტორია და შინაარსი კი მიახლოებით შემდეგია: მეტრონომი ითვლის ტემპს, რომლითაც ჩეხები უკან ტოვებენ წარსულს და მიისწრაფიან მომავლისკენ. რა თქმა უნდა, უკან არის საბჭოთა კავშირი კომუნიზმითურთ და წინ კი ევროპა, დემოკრატია... ჩეხებს ძალიან არ უყვართ საბჭოთა კავშირის გახსენება და, შესაბამისად, არ უყვართ რუსებიც. ნეტავ, რატომ?!

ასეთ სიმბოლურ მეტრონომს დიდი სიამოვნებით თბილისშიც დავდგამდი... მით უმეტეს, ლამაზიც არის, სიმბოლურიც და ყურადსაღებიც, თუმცა ვერაფრით ჩამოვყალიბდი, ჩვენს შემთხვევაში, რისი ტემპი უნდა დაითვალოს? წარსული რომ დატოვო და მომავლისკენ გადადგა ნაბიჯი, ჯერ ისევ წარსული უნდა დატოვო. აი, აქ კი, მგონია, რომ სწორედ ის ძირეული პრობლემაა, რომელიც სნეულებად გვექცა. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. დიახ, არ შეგვიძლია წარსულის დატოვება და მომავლისკენ მოძრაობა. ჩვენ მხოლოდ უხილავ წრეზე ტრიალი გამოგვდის კარგად. მგონი, მართლა ვიღაცამ დაგვწყევლა, ვერასდროს დალაგდეთო და ჩვენც ვართ ასე, უსაშველოდ არეულები...

რაც თავი მახსოვს, ვუყურებ რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციებსა თუ მიტინგებს. ყოველთვის ორი მხარე დაობს. ძირითადად, ორივე ჩვენი საზოგადოების ნაწილი. ორივენი ჩვენები, ქართველები... თუმცა ისე ფიცხად დაობენ და ერთმანეთსაც ისე დაუნდობლად ლანძღავენ, რომ მტერს შეშურდება... ასე იყო ათი, ოცი, ოცდაათი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი წლის წინათაც. ჩვენ არასდროს გვყვარებია არც სამშობლო და არც ერთმანეთი ისე ძლიერ, რომ ერთი, საქვეყნო, იდეური ხაზი გაგვეტარებინა თაობიდან თაობაში. ერთი მიზნისა თუ მისწრაფებისთვის გვეცხოვრა რამდენიმე თაობას. მეტრონომის იდეა სწორედ ტემპშია. ტემპი კი სივრცესა და დროს განაპირობებს. ჩვენთან ყველაფერი უნდათ და მინდა დღეს და ახლავე... ჩვენთან დროსა და სივრცეს პატივს არ სცემენ... ჩვენთან ყოველთვის უბრალოდ ერთმანეთს ცემენ...

ეტყობა, ჩვენი შინაგანი მეტრონომი არის მოშლილი და გაფუჭებული. ჩვენ ვერ ვტოვებთ წარსულს და ვერ მივდივართ მომავლისკენ. რატომ? ნაღდად არ ვიცი, ალბათ, ისევ მეტრონომის ბრალია. შეკეთება გვჭირდება...

ჩემი ბებო

ყველაზე აბსურდულ იდეასაც აქვს არსებობის უფლება? დიახ, აქვს და აგიხსნი, რატომაც...

აი, მაგალითად, აბსურდია, მაგრამ, წარმოიდგინე, რომ 20 წლამდე ცხელი თევზი არ მქონდა ნაჭამი. გეცინება ხომ? აი, ბებიაჩემს კი არ ეცინებოდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ თევზის ცხლად ჭამა ყოვლად დაუშვებელი რამ გახლდათ. შესაბამისად, თევზი ჭირივით მეჯავრებოდა და დღესაც არ ვცემ პატივს ცივად... აი, ცხლად კი, იცოცხლე... ზოგი რამით ტკბობა, მართლაც, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. კარგია, რომ ცხოვრებაში ცხელი თევზის გასინჯვის საშუალება მაინც მომეცა.

ასევე არანაკლებ მტკიცედ სჯეროდა, რომ ნაყინის ცივად ჭამაც არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა. დაგეთანხმები, რომ მოხუცს, აშკარად, თავისებური შეხედულებები ჰქონდა ცხელსა და ცივზე, თუმცა, არცთუ უსაფუძვლოდ. კი, არგუმენტიც ჰქონდა მრავალი... სულ შეუვალები და ფოლადისგან ნაჭედი... შედეგად, მთელი ბავშვობა ჭიქაში გათქვეფილ ნაყინს გეახლებოდი, უფრო კი ვსვამდი და ეს უკანასკნელიც, გაყინულ მდგომარეობაში, ასევე 20 წლისამ გავსინჯე. ისე, ნაყინთან საქმე დღემდე ვერ არის მთლად კარგად, რადგან ბავშვებსაც ძალიან უყვართ და მე კი ზუსტად ვიცი, რომ მისი ცივად ჭამა არაფრისდიდებით არ შეიძლება. ამიტომაც, ეჰ... ძალზედ იშვიათად გეახლებით ნაყინს.

აბსურდულ მოსაზრებათა კულმინაცია, ალბათ, მაინც სოსისის ამბავი არის. ეს გასტრონომიული შედევრიც პირველად რომ დავაგემოვნე, უკვე იმხელა ვიყავი, სიგარეტსაც ვეწეოდი, არაყსაც ვსვამდი და... აღარ დავწვრილმანდები... თუმცა, კარგი, ჰო, რამე უხეირო რომ არ იფიქრო, გეტყვი, ულვაშსაც კი ვიპარსავდი. სოსისის ჭამა კი იმიტომ იყო დაუშვებელი, რადგან ადრე ბებოს ვიღაც ნაცნობი სწორედ მოწოწნიკით მოწამლულიყო და ბოტულიზმით გარდაცვლილიყო... მიდი ახლა და ამ არგუმენტს შეეწინააღმდეგე?! მგონი, დაფიცებულიც კი მქონდა, რომ ამ ცოდვაში ფეხს არასდროს ჩავდგამდი და სოსისს არასდროს გავეკარებოდი. არა, ახლა ხატთან ნაღდად არ დამიფიცია, თუმცა ნარდზე დაფიცებამ მაინც მომიწია. აბა, რა უნდა მექნა?! დაიფიცე, რომ სკოლის ბუფეტში სოსისს არ შეჭამ, თორემ ნარდს აღარ გეთამაშებიო და მეც დავიფიცე... მერე კი კარგა ხანს ვმალავდი, სოსისი რომ გასინჯული მქონდა. თან ისე ძალიან ვმალავდი, რომ საკუთარ თავსაც კი არ ვუტყდებოდი.

ამსტერდამი

ამსტერდამში რომ ჩავედი, მეგონა, დიდი ცოდვა ჩავიდინე და აუცილებლად მეხი დამეცემოდა. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, ყოფილიყო, როდესაც იქ ცოდვა ჰქონდათ დაკანონებული და ყოველი უწმინდურობაც ხელმისაწვდომი გაეხადათ. დიახ, იქ მარიხუანა მაღაზიაში იყიდებოდა, შიშველი ქალები ვიტრინაში აეროგრილის ქათმებივით ბრუნავდნენ და ხელჩაკიდებული კაცებიც ძალზედ მოურიდებლად სეირნობდნენ.

პირველ დღეს მეხი არ დამცემია. არ ვიცი, დედაჩემის ლოცვის შეწევნით თუ სხვა რამ სასწაული ძალის გამოისობით, მაგრამ, ფაქტია, გადავრჩი. არც მეორე დღეს მოღრუბლულა ჩემს თავს... მეც ცოტა გავთამამდი და სულ პატარა ეჭვი შევიტანე იქაური გარყვნილობის ხარისხში. მომეჩვენა, რომ იქაურობა არც ისე ძალიან წამხდარი იყო, როგორც ეს ჩემთან ეგონათ. თან გასაოცარი ის იყო, რომ დიდად შესაშფოთებლად არც ეს ხელმისაწვდომი მარიხუანა მომჩვენებია, არც ეს წითელი ლამპიონების უბანში გამოფენილი მოწყენილსახიანი ტიტლიკანა ქალები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტათი ტოლერანტულიც კი აღმოვჩნდი... კი, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ, აბა, ამას ხმამაღლა როგორ ვიტყოდი და არსებულ სტერეოტიპებს როგორ დავუპირისპირდებოდი?! მეც გავჩუმდი, არაფერი მითქვამს და ჩემი უხამსი ფიქრიც მდინარე ამსტელს გავატანე, რომელმაც ის ჯერ იქვე დაატრიალა, შემდეგ მთელი ქალაქი მოატარა და ბოლოს ზღვამდეც ჩაიტანა...

ჩემი უხამსი ფიქრი კი იმაში მდგომარეობდა, რომ, სადღაც გულის სიღრმეში მათი, ამსტერდამელების, სილაღისა და თავისუფლების კიდეც შემშურდა. მომეჩვენა, რომ იქ, წითელი ლამპიონების უბანში, არავის ჰყავდა ბოზი მამიდა და ერთმანეთსაც სწორედ ამიტომ არ განიკითხავდნენ. კიდევ მომეჩვენა, რომ არც ბარიგა ბიძა ეგულებოდათ სანათესაოში და მარიხუანასაც ამიტომ ჰყიდნენ მაღაზიაში... და სულ ბოლოს ისიც კი გავიფიქრე, რომ ეს მათი ტოლერანტობაც უფრო, ზოგადად, ადამიანის პატივისცემას ჰგავდა, ვიდრე იმ ფასადურ თუ ნაძალადევ თანადგომას, რომელიც ჩვენშია... ჩემშია... შენშია...

ისე კი, კიდევ ერთ რამეს მივხვდი: ეს ყოველივე ძირითადად ტურისტების საგულისხმო იყო, თორემ თავად ამსტერდამელები არც ამ მარიხუანის წევით იკლავდნენ თავს (მით უმეტეს, ბოთლებით), არც წითელი ლამპიონების ქუჩაზე იდგნენ ცოცხალ რიგში და არც ეს გადაჭარბებული ტოლერანტობა ეხატებოდათ დიდად გულზე. ყოველივე ეს უფრო საფირმო მარკას, ბრენდს, ტრენდს ჰგავდა, რომელიც კარგად იყიდებოდა და არა მსოფლმხედველობასა თუ იდეოლოგიას, რომელიც უპირობოდ უნდა გეწამა.

ვანო ჩხიკვაძე

ჭაღი

ათწლიანი (თუ უფრო მეტი) რემონტით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ადგილობრივ ხელისუფლებას თეატრის დიდი დარბაზის მკვდრეთით აღდგენა უპატაკეს.

გახსნის დღეს სარეკვიზიტოდან დახვეული ხალიჩის ვიწრო ლიანდაგი გამოიტანეს, გაფერთხეს, გაანიავეს და თეატრის მთავარი, საპარადო შესასვლელის წინ გაჭიმეს.

მართალია, ხმარებისაგან ალაგ-ალაგ გაცვეთილი და მღრღნელებისაგან გვერდებგამოჭმული ზეიმის ერთ-ერთი მთავარი „ატრიბუტი“ მთლად გულმისავლად ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ შებინდდება და მკრთალი განათება ამ ნაკლს ადვილად შენიღბავსო.

თანაც, როგორც ორგანიზატორები გულში სამართლიანად ვარაუდობდნენ, საპატიო მსვლელობის მონაწილეთა შორის ისეთებიც აღმოჩნდებოდნენ, ვისთან შედარებითაც ხალიჩას თავისი სიძველის, წარსულის და „ნახმარობის“ არამც და არამც არ უნდა შერცხვენოდა.

ხალიჩის გასწვრივ, ორივე მხარეს, თოკებიც გაჭიმეს და ბოლოში გასაჭრელი წითელი ლენტიც გააბეს.

მართალია, თოკებიც რამდენიმე ადგილას იყო გადაბმული, მაგრამ ესეც არაფერი, ფოჩიანი ნასკვები მთელ ამ ანტურაჟს შვენოდა კიდევაც.

ვიდრე თეატრის სვეტებიანი შესასვლელის პარმაღზე დადგმული ვეებერთელა დინამიკები ახრიალდებოდნენ და მენდელსონის უკვდავი მარშით საზეიმო მსვლელობის დაწყებას გვაუწყებდნენ, განახლებულ სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლის ნაწყვეტები წარმოადგინეს.

ამფითეატრის საპატიო პირველ-მეორე რიგებთან მიახლოება უბრალო მოკვდავთათვის იკრძალებოდა. დარბაზის მომსახურე პერსონალს, ერთნაირად ჩაცმულ, მაღალქუსლებიან, მინი-ქვედაბოლოიან გოგონებს, ევალებოდათ, თვალყური ედევნებინათ, რომ ამ რიგების სკამებზე, ქალაქის ხელმძღვანელობისა და საპატიო სტუმრების გარდა, არამკითხეები არ წამოსკუპებულიყვნენ.

საქართველოში რა დაწყებულა დროულად — ეტიკეტისა და სუბორდინაციის სრული დაცვით დაკომპლექტებულ საპატიო პირველი რიგის შუაგულში ორი სკამი მესამე ზარის შემდეგაც კაი ხანს ცარიელი იყო.

უკმაყოფილების (ნახევარი საათი რომ გადააცდინეს) გამოხატვა რადგან ტაშითაც შეიძლება, ვიღაც გამბედავმა წამოიწყო, რომელსაც ჯერ კანტი-კუნტად აჰყვნენ და მერე პარტერსა და ამფითეატრს რამდენჯერმე მოსწყდა მრისხანე ოვაცია — რაღას ელოდებით, დაიწყეთ, თქვე დედააფეთქებულებო, ღამისთევით კი არა ვართ მოსულებიო!

როგორც იქნა, ქალაქის მთავარი „გვირგვინოსანიც“ გამოჩნდა — დარბაზის გვერდითი კარიდან ჯერ ქერა, ახალ თმააბულულებული ქალბატონი-თანამეცხედრე შემოგოგმანდა, მერე წითელჰალსტუხიანი, თავადაც ცეცხლზე გავარვარებული ცარიელი ტაფის ძირივით სახეალანძული გამგებელი.

მისი შემხედვარე საქმეში ჩაუხედავი იფიქრებდა, მოსიყვარულე მეუღლემ, ალბათ, ვერ მოზომა და ჰალსტუხი ზედმეტად გაუჭირაო... არა, დახრჩობით ვინ დაახრჩობდა, ჯერ ძალიან სჭირდებოდათ თანამეცხედრეს, თანამეცხედრეს მშობლებსა და დანარჩენ ცოლეურებსაც, ამათ გარდა, თავისებიც ხომ ჰყავდა — ცალი ხელი იმათკენაც ხომ უნდა ჰქონოდა გაწვდილი... ადამიანს სულ ორი ხელი აქვს და წინასაარჩევნო დაპირებებით გაბრუებულ ქალაქს რაღას გაუშვერდა, ვერ გეტყვით, აი, იმათ, მარჯვნივ და მარცხნივ, ქვემოთ და მაღლა, მრავალწლიანი მოლოდინით გულგაწყალებულები რომ შეჰფენოდნენ რიგების ქანდარებს და რას ფიქრობდნენ დაგვიანებულებზე, ამის მიხვედრა, ამოცნობა, მათი გამომეტყველებიდან თუ ტუჩების მოძრაობიდან გამომდინარე, ძნელი სულაც არ გახლდათ.

მაგრამ ამასაც რა მნიშვნელობა აქვს!

მოქალაქეების გულისთქმის გამოცნობა საარჩევნო ყუთებთან, მოფარებულში რომ შევლენ და კანდიდატთა სიას ჩახედავენ, მაშინ არის საინტერესო, თორემ, მერე...

ასე თუ ისე, ასრე მოსულმა „პირველრიგელებმა“ ქალაქის თავთან სალამ-ქალამი მოამთავრეს, დალაგდნენ და შუქებიც ჩაქრა — ახალდაკიდული, ვეებერთელა ჭაღი პირდაპირ გამგებლის თავზემოთ რომ ეკიდა, თანდათან გაფერმკრთალდა და ბოლოს სიბნელეში ჩაიძირა.

მანამდე გამგებელმა რამდენჯერმე დაეჭვებულმა ახედა „დამოკლეს მახვილს“, გაახსენდა თეატრში გაჭიანურებული, უხარისხო რემონტის გამო ატეხილი ალიაქოთი და შეშფოთებულმა გაიფიქრა, აქ, ახლა, მე კი არა, გამოსაცდელად ვითომ ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიის გენდირექტორი უნდა იჯდესო.

გენდირექტორი ახლა აქედან შორს იყო ჩატარებული სამუშაოების დადებითად შეფასების ხელმოწერილი დოკუმენტაციით და ცალ ფეხზეც არ ეკიდა, რას ფიქრობდა თითქმის სამასკილოიანი ჭაღის ქვეშ გულათრთოლებული, კურდღელივით განაბული გამგებელი?! ჭაღი კი არა, მთელი დაკიდული ჭერიც რომ წამოვიდეს და



დარბაზს დაემხოს, ან ეს ვიღას გაუკვირდება — ხარვეზები იყო და იქნება, დღესაც და, სამწუხაროდ — მომავალშიც. უნაკლოდ რაღა კეთდება თავისუფალ საქართველოში...

ასეთი მდგომარეობა იქნება მანამ, სანამ გაყალბებულ დოკუმენტაციას, ბრმად (?) თავისი ფაქსიმილეთი დაამშვენებენ პასუხისმგებელი, სახელისუფლო „მამები“...

გამგებელმა, როგორც იქნა, გულისყური მოიკრიბა და ავანსცენაზე გადმომდგარ პერსონაჟებს ყური მიუგდო:

„კაცს თვალები იმიტომაც აქვს, რომ ხანდახან მაინც დახუჭოს“...

„სულ რომ ეხუჭოს?“

„მე მკვდრებზე არ გელაპარაკები, ბრიყვო!.. მით უმეტეს, თუ ამ თვალის მოხუჭვაში გვარიანად იძლევიან!“

„როგორ, ბატონო, თან „იძლევიან“, თანაც იხდიან? ასეთ პირობაზე ჩვენი ფოლორცის უკანასკნელი მეძავებიც არ იქნებიან თანახმა!.. ვინ არიან, მისამართებს ხომ ვერ გვიბოძებთ?.. ოღონდ, სული არ წაიწყმიდონ და ვენერიულით არ გამაბედნიერონ!“

„ვენერიული არა, მაგრამ ციხის გისოსებიდან შეიძლება, გამოგახედონ!“

„მაგას კიდევ ათაშანგი მირჩევნია, იმკურნალებ და საყმაწვილო სენივით მოიხდი!..“

არა, დარბაზის გახსნაზე „პირველი ღამის“ უფლებით ჯერ მშენებლები უნდა დაგვესვაო, სცენას მოწყვეტილი მზერა გამგებელმა ისევ ჭერისკენ გააპარა და მოეჩვენა, კაუჭის კინკიბურაზე დაკიდულ ჭაღზე სკვინჩა ჩიტიც რომ შეფრთხიალებულიყო, ორი საპატიო რიგის ნახევარს მაინც იატაკქვეშა სიცარიელეში, ძველი, მწყობრიდან გამოსული, გათბობისა და საკანალიზაციო სისტემებით ამოვსებულ სარდაფში ჩაიტანდა.

მისი „თვალის დახუჭვა“ ნამდვილად არ ღირებულა ასეთ ნერვიულობად — ოთხად გადაკეცილი ცხვირსახოცით დაცვარული შუბლი როგორც კი მოიმშრალა, გადმოხრილმა ცოლმა წასჩურჩულა, ხვალიდან რომეო უნდა დაგიძახოო.

ცხელმა სუნთქვამ სახეზე ბიბილო გაუხურა, გაეხსნა ჭაღის ემოციით დახშული ყურის სარქველები და, როგორც სჩვეოდა, მაშინვე დაეთანხმა, ეგრე მოიქეციო, თუმცა ვერ მიხვდა, თანამეცხედრე სახელის შეცვლას, მაინცდამაინც, რომეოთი რად უპირებდა, თანაც, თუ ამის აუცილებლობა იყო, რატომ ხვალიდან და არა ახლავე, ამ წუთიდან...

რა ერქვა სამშენებლო კომპანიის გენდირექტორს? — ჩაებღაუჭა ცოლის ნათქვამს — მგონი, რომა, რომანოზი თუ რაღაც ამის მსგავსიო, მოისრისა საფეთქლები.

სცენამ მაგნიტივით მიიტაცა გამგებლის ყურადღება.

„პური მაშინ უნდა ჩააკრა, მანამ თონე ცხელია... დანებდი, ჯულიეტა, დანებდი, ვიდრე ტროროლებს გაუღვიძიათ და შინაურებს შენს საწოლში მამაკაცი უნახავთ!“

„მაგას რად მეუბნები, ძვირფასო გამზრდელო, მე ხომ...“

„აგერ, კედელზე ვიღაც მოებღოტება!.. რომეოს გარდა სხვა ვინ იქნება!.. ჩემო უცოდველო გვრიტო, ჯერ შენ სიყვარულით გამოსულელებული კაცების, აბა, რა გაგეგება, დროზე თუ არ ჩაებღაუჭე, ხვალ რა იცი, რა ჭკუაზე დადგება!.. აგერ, არ გესმის აივანზე ამოსულის ფეხის ჩქამი და გულისცემა!.. სანთელს ვაქრობ და მე გავდივარ!.. დაეწაფე თაფლის კასრს, ჯული!..“

ვიღაცამ გამგებლის უკან ტაში შემოჰკრა:

„ბრავო, რეჟისორო, ბრავო!.. შექსპირისეული ვერსიის როგორი ახლებური ხედვა, არაორდინარული, საინტერესო გადაწყვეტაა!.. ახალი სიტყვა ქართულ სცენოგრაფიაში!..“ — არ ცხრებოდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეატრმცოდნე.

„ოჰო, მატრაკვეცა!.. არაორდინარულს განახვებს, თავზე თუ დაგვემხო“ — თვალის ერთი გადავლებით გათვალა პარამეტრები, ჭაღის სამოქმედო არეალი და, სტუმარ-მასპინძლებიდან მაღლა თითქმის არავის დაგვტოვებსო, დასკვნა უცებ „დადო“.

გამგებლის სავარძელს რომ ეკურკურება, პირველი მოადგილეც ახლოს უნდა დაესვა, ეს კომპანია მაგან შემოტენა!

გაბოროტებულმა კბილები დააკრაჭუნა და სახე კიდევ უფრო მუქ-წითლად აუბრდღვიალდა.

მეუღლე მოსიყვარულე ოჯახის იმიჯზე ზრუნავდა — მხართან მიჭუჭკული დარბაზისათვის „თამაშობდა“ — იმათთვის, ვისაც ახსოვდა, ამ ზედმეტად კეკლუცმა, ენაწყლიანმა ქალბატონმა თავის დროზე პირნათლად რომ შეასრულა „გამზრდელის“ შეგონება და, აჰა... ვიღა გააშვებინებს თავის რომეოს...

გაიწელა წარმოდგენა. ცალკე მეუღლის გაუთავებელმა ტუტუნმა, ცალკე შიშმა და გაურკვევლობამ დაქანცა.

დარბაზის ოვაციას თუ ამჯერად გაუძლო ჭაღმა და გადარჩა, მერე კი იცის, სხვა დროს სად უნდა დაჯდეს.

„არა, ბიჭო!..“

თეატრში წამოსვლამდე მთელი დღის ნაშიმშილარმა, თათბირიდან თათბირზე ჯდომით გაბრუებულმა, საჭმელი უზომოდ მიიყარა და ნაყროვანების თვლემა მოერია.

იდაყვით სავარძლის კიდეს დაყრდნობილმა ნიკაპი მუჭში ჩარგო.

კურდღლებს, სხვებს თავი რომ მოაჩვენონ, ვითომ ფხიზლად ვართო, თვალღიებს ძილი შეუძლიათ — ბედნიერები.

ეს ვიღაც თეატრმცოდნე ხომ, თითქოს ყურში ძუა გაუყარესო, ქალური, განაზებული ხმით ზუზუნებს, განსაკუთრებულად ნიჭიერი როა თავის თაობაში ვიცოდი, მაგრამ ასეთ ნახტომს მაინც არ ველოდი და არ ველოდიო.

შენ არც იმას ელოდები, მოსაწყვეტად რომ ქანაობს და, ზოგი მერე იძახე, არაორდინარულად თუ გამოეთხოვები წუთისოფელსო — დაემუქრა კომენტარებით გაბეზრებული გამგებელი.

თვლემამ უცებ გაუარა, შენოტიებული ხელისგულები ერთმანეთს შეამშრალა.

არა, როგორც ეტყობა, ჭაღი ამის ოჯახისთვის ბედისწერაა.

ახსოვს, ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, მშობლები ტურისტულ ჯგუფთან ერთად ეგვიპტეში რომ წავიდნენ.

ამ გრძელი გზისთვის ისინი პირამიდების ნახვის დაუოკებელ წყურვილს ან სფინქსისა და ეგვიპტის მუზეუმების, ღვთის რჩეულთა სამაროვნების ხილვის ინტერესს როდი გაუყენებია.

გიდი თავისას მიერეკებოდა, ეგვიპტის ისტორიის დრამატული ეპიზოდების გაზეპირებულ ვერსიებს ჩაარაკრაკებდა ხოლმე და ბოლოს თვალს მოავლებდა შემოხვეულ ჯგუფის წევრებს, რაიმე კითხვა ხომ არ გაქვთო.

ჯგუფი, რომელიც შრომის წარჩინებულებით, მოწინავეებით, ორდენოსნებით და ვინ მოთვლის, კიდევ ვისით აღარ იყო დაკომპლექტებული, გაყუჩდებოდა... არა იმიტომ, რომ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ტუტანჰამონზე, ნეფერტიტზე ან იმ გველხოკერას წარმომავლობაზე, ლეღვის ჯამში ჩამალული კლეოპატრას მაჯას რომ ჩააკვდა და სისხლში შხამი შეუშვა... არამეთქი...

კითხვებიც ჰქონდათ, როგორც თეატრმცოდნე იტყოდა, არც მაინც და მაინც არაორდინალური, ზედმეტად ჩვეულებრივი და ბანალურიც კი — სად, ქალაქის რომელ უბანსა თუ რაიონში შეიძლებოდა, აქედან ჩატანილი „რაღაც-რაღაცების“ სარფიანად რეალიზება და ამის შემდგომ ოჯახის საჭიროებისათვის სხვადასხვა ნივთის იაფად შეძენა.

იმ წლებში საქართველოში ეგვიპტური ჭაღების ნამდვილი ბუმი აგორდა. ამათაც ერთი კი არა, ოთხი წამოიღეს. დეკლარაციების შევსების, დაღლა-წვალების თუ დამცირების, გამსვლელ-გამომსვლელ პუნქტებში ჩხრეკვა-შემოწმების შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს, ოჯახში ჩამოიტანეს.

ორი ჭაღი ახალმიღებულ ბინაში ჩამოჰკიდეს, ორიც, სასწრაფოდ, მოგზაურობის დანახარჯი რომ აენაზღაურებინათ, გაყიდეს.

მაშინ როგორ ხარობდნენ, როგორ შესციცინებდნენ ბრინჯაოს „კარკასზე“ ასხმულ ხელოვნური ბროლის შუშებში აციმციმებულ ნათურებს.

ერთადერთ ასატან უხერხულობას ჭერდაბალი ოთახები ქმნიდნენ, სადაც საშუალოზე ცოტა მაღალი კაცი თავის დაუხრელად ვერ გაივლიდა.

სასტუმრო ოთახში ჭაღქვეშ მაგიდა დადგეს და ასე თუ ისე ჭაღიც დაცული იყო, სტუმარიც და ოჯახის წევრებიც, მაგრამ საძინებლიდან ნასვამი მამის ხუთსართულიანს და ბროლების წკარუნს თუ გაიგონებდნენ, მაშინვე ხვდებოდნენ, რომ ეგვიპტურმა „სუვენირმა“ თავისი წაწვეტებული ბუნიკით საწოლისკენ წაბანცალებულ მა-

რჩენალს „ყიფლიბანდის“ მიდამოებში მწარედ ჩაუნისკარტა.

„ჩემო ბატონო, სიბრძნისა და კეთილშობილებისა არა სცხიათ რა, ანდა რაში სჭირდებათ, ორივე სატარებლად საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთია, სამაგიეროდ, იმდენი ვირეშმაკობა ებოძათ, თავი მოჭირნახულე ღირსების მქონეებად შემოგვასაღონ და სამეფო მოხელეთა მაღალზურგიან სკამებზე აცოცდნენ, მაგრამ ჩვენ თუ არა, თვითონ ხომ კარგად იციან, რა ლაქუცა-ფინიებიც ბრძანდებიან — ქვეშევრდომებიც ასეთები უნდათ ჰყავდეთ, უკეთესზე უარესები... ეს გამოურწყავი, გამძლე მუწუკები, ათადან და ბაბადან მოყოლებული არც ფერს იცვლიან და არც ზნეს — მით უმეტეს... უფრო სიმართლესთან ახლოს ვიდგებით, უზნეობას თუ დავარქმევთ...“

„ადრე ამბობდნენ, მაგის კაცობა ვინ თქვა, ჩირის ფასიც არა აქვსო!.. ახლა ჩირს ეშველა, ნახე, როგორი ფასი დაედო!.. კაცს კი — რა მოგახსენო...“

„რატომ გიკვირს, ერთმა ქალაქმა ერთ დღეს შვიდი გამრთობი, შვიდი ყბადაღებული ქუჩა-ქუჩა მოწანწალე სულელი დაკარგა, მაგრამ, როგორც გაირკვა, თურმე სხვებიც იმდენი ჰყავდა, რომ შვიდი სულელის გაქრობა არც უგრძნია და არც დასტყობია!..“

„მინიშნება ვის ქალაქზე გაქვს, ჰაა? ვერონამ ვითომ სულელი მერკუციო მოისაკლისა, მაგრამ იმნაირი ბრძენი, ნეტავი, მე და შენ ვიყოთ!“

„მერკუციოზე მეც არ მოგახსენებ... ის ჭკუათმყოფელები მყავს მხედველობაში, თავიანთი გაიმასქნობით ნებისმიერ ქალაქში ყველაზე პატივცემულთა ლოჟაშიც რომ უნამუსოდ შეიძლება, წამოსხდნენ!“

„ნებისმიერ ქალაქშიო, რომ ბრძანებთ, ნუთუ ასეთები ახლომახლოც გეგულებიან?“

საპატიო რიგი შეიშმუშნა, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდეს, რომ თეატრის ერთადერთი ლოჟა ქალაქის ხელისუფალთ კი არა, სცენის გასანათებელ აპარატურას და ელექტრომექანიკოსს ჰქონდა დაკავებული.

„ბატონებო, განა, არ იცით, რომ მრავალ უკეთურობასთან ბრძოლა ადამიანმა, უპირველესად, სირცხვილის გრძნობის დეფიციტის აღმოფხვრით უნდა დაიწყოს?.. თორემ ხომ ხედავთ, იმის მაგივრად, რომ მშობელს დაემგვანოს, დაწინაურებულ ვირეშმაკას, ცხოვრების წესად ქცეული უსირცხვილობა, სახელისუფლო სალაფავის ნებიერ ღორს ამსგავსებს!“

„რასაც შენი ენა არ იტყვის!.. ხმადაბლა, მაესტრო, ნუ გავიწყდება, დღეს ფოთლის ნაცვლად ხეებსაც დამსმენის ყურები აქვთ გამოსხმული!..“

„ჩემი ენა რა შუაშია, სარკესავით რასაც ხედავს, იმას ირეკლავს!..“ ანდა ჩემმა ნათქვამმა ასე ძალიან რატომ გაგაოცა და გაგაკვირვა, უსირცხვილობის ხორველა დღეს და გუშინ ხომ არ შეგვყრია!.. სხვებს თავი რომ დავანებოთ, განა შენ კი კედელთან მისაყენებელი ის კაცი არა ხარ, სამშობლოს ყველაზე დიდ გულდამწვარ ჭირისუფალს ტყვია რომ ესროლე, ყველაზე სახელოვან მხატვარს კიბისქვეშ ამოხადე სული და მისი საფლავის ადგილიც არ დაიმახსოვრე, ფარცხისთან მირონცხებული გაწირე, დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ძმათამკვლელი ომი გააჩაღე, ქედს იქით გადახვეწილი დამპყრობელი უკან მოაბრუნე, ხელახლა შემოუძეხი და შენი სამშობლოს ისტორიული, მრავალ ჭირნახული მხარეები დაანგრევინე და წააშლევინე?!.“

„გეყოფა, გეყოფა, გასკდა თავი!“

„ეგ თავი მანამ უნდა გამსკდარიყო, ვიდრე...“

„ახლა ის ჩამოგითვალო, რაც სიკეთე მიქნია?“

„ჰმ, სიკეთეო!“

„ჰო, ჰო, ჩამოვთვალო?“

„ეჰ, ჯანდიერო, ჯანდიერო, ბოლოს ქერიმ-ხანს კი უღალატე, მაგრამ მანამდე ხომ მე გადამაგდე!..“

„მაშ, სამუდამოდ ღამდება ვერონაში?“

„ანუ ფარდაც ეშვება!“

„ჰო, სადაც არის, სასახლეში ჭაღებს აანთებენ!..“

„ჩვენს დარბაზშიც!..“

„რა თქმა უნდა!..“

„ვიცეკვოთ, ჯული?..“

„ეჰ, რომეო, რად ხარ რომეო?“

თანამეცხედრე კიდევ ერთხელ გადმოიხარა, მაგრამ გამგებელმა ბიბილომდე აღარ მიუშვა, წამოდგა, ტაში დასცხო და სხვებიც აიყოლია.

ღვთის წყალობით, თუ ხერხემალზე ამოჩქეფილ სიმწრის ოფლს არ ჩავთვლით, ყველაფერი ამ ჯერზე მშვიდობიანად დასრულდა, საზოგადოების შეძახილებსა და ოვაციებს ჭერმაც გაუძლო, ჭაღმაც და გამგებელმაც.

დარბაზი დაიცალა. ფოიეში გამოფენილ დასს ნორმალური ჩასაცმელი, რაც კი ჰქონდათ გარდერობში, რეკვიზიტის საწყობში, ყველაფერი გამოეტანა, ტანზე მოერგო. დედაქალაქელი თეატრმცოდნეები მთავარ რეჟისორს მხოლოდ რეპერტუარის სპექტაკლების კოლაჟს კი არა, თეატრის გახსნის ზეიმის ორიგინალურ გადაწყვეტასაც უწონებდნენ.

ყველა ეზოში გამოლაგდა, მაყურებელიც და ისინიც, ვისაც თავისი მსვლელობით წითელი ხალიჩა უნდა გაებედნიერებინა.

თანდათან ახლო-მახლო ქუჩებიდან დაძრულმა მოქალაქეებმაც იწყეს დენა, როგორც გახრიოკებულ კალაპოტში დიდი ხნის მონატრებულმა წყალმა — ჯერ კანტი-კუნტად, მერე ჯგუფებად.

ეზო თითქმის გაივსო ძველი თუ ახალი თეატრის ტრფიალებით და უბრალოდ სეირის მოყვარულებით.

მალე დაჰკრავდა დათქმული წამი, როცა ისევ გაიხსნებოდა თეატრის მთავარი შესასვლელები, გაბრდღვიალებულ, სვეტებიან ფოიეში გამოჩნდებოდა ნახევარმთვარისებურად განლაგებული სალანჩე მაგიდები. ერთი დედის ნაშობებივით, თეთრ პერანგზე მოცმული შავი ჟილეტებით, სტუმრების მომლოდინე სუფრის მომსახურე პერსონალი...

ვიდრე მსვლელობა დაიწყებოდა, უმეტესობა შვიდ მოულოდნელად გაუჩინარებულ ქალაქის ჭკუასუსტ „კოლორიტზე“ ლაპარაკობდა, ჯგუფურად განზე მიმდგარი უფრო ასაკიანი ჭაღაროსნები კი ძველ, ბედნიერ დროს, საამაყო მსახიობებს, სპექტაკლებს და თეატრთან დაკავშირებულ კურიოზებს იხსენებდნენ.

ეტყობოდა, მთელი დღე კარგი დახლი ედგათ ქალაქის პარიკმახერებს, სტილისტებს, თმისა და სახის კორექციის ოსტატებს — შეღებილი, დახუჭუჭებული თუ თმადაგრძელებული ქალბატონები დანარნარებდნენ და საუბრისას კისრისკენ წაღებულ ხელს ისე კეკლუცად აჭკრავდნენ ხოლმე აბულულებულ ვარცხნილობას, რომ იგრძნობოდა, გენდერული „უთანასწორობის“ მომხრე მამაკაცებისაგან მათი უფლებების აღიარებას და საბოლოო კომპლიმენტს ითხოვდნენ.

კაცები კი:

„სილამაზის სალონებზე რეკლამები როა, თმას ვაგრძელებთო, ენას ვამოკლებთო, რატომ არსად წერია, იქნებ ამის მსურველი ქალბატონებიც გამოჩენილიყვნენ?“

„რას ამბობ, მაშინ ხომ საქართველოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა!“

„უნდა გაიხსნას ასეთი სალონები, ოღონდ კაცებისათვის, რადგან, სხვაგან არ ვიცი და, ჩვენს ქალაქში ჭორიკნობით ქალებს კარგახანია, გადააჭარბეს...“

გაბმული ლენტის ვენების გადაჭრის მოლოდინსა და მხიარულ ხორხოცში თვალს აპაჭუნებს ათეულობით აპარატი, მობილური, იხსომებენ, აფიქსირებენ წარმავალ წუთისოფელს წაგლეჯილ საზეიმო წამებს. განა, ასეთი რამ ხშირად ხდება ჩვენს სიხარულისაგან მივიწყებულ ქალაქში? უკან ადევნებული ვიდეოკამერიანი ბიჭებით ქალაქის „სახეებზე“ ნადირობენ მიკროფონიანი ჟურნალისტები — მესამე ხელისუფლება, მძორის სუნნაკრავი სვავებივით რომ დააცხრებიან ხოლმე საკბილოს.

მათი ძირითადი ადრესატებია ხელისუფალი, დეპუტატი და ამ ორივეზე განაწყენებული ოპოზიცია ან ნებისმიერი უბრალოდ ენააქავებული ავყია, თავის ბჟუტურით სერიალებით გულმოყირჭებულ მდაბიოს გულს რომ მოფხანს.

„ერთი წუთით, თუ შეიძლება...“

„არ შეიძლება!“

„რატომ?“

„იმიტომ, რომ თქვენს ტელევიზიას ინტერვიუს არ ვაძლევ.“

„ქალბატონო, ყველას აძლევთ და ჩვენ...“

„ცოტა კორექტული იყავით და სიტყვები შეარჩიეთ...“

„თქვენ რა იგულისხმეთ?“

„რაც თქვენ!..“

კაცებსაც მივხედოთ — ასე თუ ისე, გამოწყობილან, გამოუმზევებიათ მივიწყებული „საპარადო“ კოსტიუმები, გაუტკეცია ჰალსტუხები, ძახილის ნიშნებივით რომ დაჰკონწიალებთ კისერთან საყელოგაცრეცილ პერანგზე.

„დაჟანგებულხარ, გორდაო...“ — შეკრებილ საზოგადოებაში გამორჩეულ ერთადერთ ჩოხოსანს მივესალმე და სატევარის ტარზე ხელი ჩამოვადე.

რა იცი, რომ დაჟანგებულა? ეს კიდევ იტყვის თავის სათქმელსო, იწყინა კოპებშეკრულმა, სატევარის პრიალა პირი ნახევრად ამოსწია, მერე ხელისგული დაჰკრა და ისევ ქარქაშში მოაყუჩა.

რაო, სათქმელს კიდევ იტყვისო? გიჟია, ოხერი!.. სად, როგორ, როდის ან ვინ ათქმევინებს „ღილაკების“ საუკუნეში, სადღაც კავკასიონს გადაღმა დაკარგულში, დახურულ ბაზაზე საჩვენებელ თითს წითელ „კნოპკას“ რომ დააჭერ და დამასკოს ნახევარ გარეუბანს ცაში აიტან!.. თუ ვუთხარი, მუზეუმს ჩააბარე, ეგებ ორი კაპიკი მაინც გადაგიხადონ-მეთქი, ისეთი ამაყი გულის პატრონია, შეიძლება სატევარს მართლა აასრულებინოს მუქარა და დედამიწაზე ცოდვა დაატრიალოს — აკი ვთქვი, ქალაქს შვიდი ჭკუამხიარული მოაკლდა, მაგრამ არ დასტყობია-მეთქი.

ჰა, არ ვიყავი მართალი?

„ბატონო პოლიციის უფროსო, ერთი წუთით...“

სამართალდამცავმა რომ დააცემინოს, ცხვირს უეჭველად რამდენიმე აბეზარი ტელევიზიის ლოგოს დაჰკრავს.

„რა ისმის მოწყალების სახლიდან დაკარგულების?“

„ჯერჯერობით არაფერი...“

„ამბობენ, მოშიმშილე გაფიცულებს შეუერთდნენო...“

„იქაც გადავამოწმეთ, მაგრამ მოკვლევა ჭირს, იმიტომ, რომ დანარჩენებისგან გამოსარჩევი განსაკუთრებული ამოსაცნობი ნიშნები არ გააჩნიათ... ცდას არ ვაკლებთ და ვნახოთ...“

აგე, ესეც მე ვარ? თვითონ სამართალდამცავების შეფი ბრძანებს, ზღვას წვეთები რომ შეერევა, მიდი და გამოარჩიე საერთო წყლისაგანო!

გიჟები ეძახე და ნახე, თავი როგორ შეინიღბეს!

გამოსავალი როგორ ვერ უნდა მოიძებნოს — მთავარია, ერთ-ერთ „შვიდიანელს“ მაინც მიაგნონ და მერე დანარჩენებზეც დააფქვევინებენ... ისიც კი ვიფიქრე, ეგებ მოქალაქეები ჯგუფ-ჯგუფად თეატრის ჭაღის ქვეშ დავაყენოთ და გამოვტეხოთ, ვინც გამოსატეხია-მეთქი... არა, მესმის, მეტისმეტი სისასტიკეა, მაგრამ... ისე, რა ჩემი საქმეა, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელიო, იტყვის ვიღაც!.. რათა, კაცო, რათა, ჭკვიანებს რომ ვკარგავთ, თავქუდმოგლეჯილები საზღვარგარეთ გარბიან, აქ დარჩენილ ჭკუასუსტებს მაინც ვერ უნდა მივხედოთ და აღვრიცხოთ, ვინ არის, სად არის და რად არის?

ცოტა ვისულსწრაფე, როცა ვთქვი, მალე დაჰკრავს დათქმული ჟამი-მეთქი. როგორც გვჩვევია, წითელი ხალიჩის ანუ საზეიმო მსვლელობის გახსნის ცერემონიალის დაწყებასაც არ დაადგა საშველი.

ვიღაცამ იხუმრა, ლენტის გასაჭრელ მაკრატელს ლესავენ და ამიტომ აგვიანდებათო.

თურმე დედაქალაქიდან სტუმრებს ელოდნენ.

მათ ნაცვლად მესიჯი მოფრინდა — სამთავრობო სხდომა გაგვიგრძელდა, ვეღარ მოვდივართ, თქვენ თავს თვითონ მიხედეთო. მოკლედ, თვითმმართველი ქალაქის მესვეურს ზემოდან უფლება მისცეს, საზეიმო მსვლელობა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა და ლენტისათვის შუაგული იმხელაზე მოეჭრა, რამდენიც სურდა.

ალბათ, აჯობებდა, რომ ვერ მოდიოდნენ, უფრო ადრე ეცნობებინათ, მაგრამ, სულო ცოდვილო, სულ სხვა ტკბობაა, როდესაც „მასას“ ალოდინებ, ალოდინებ იმდენ ხანს, რომ შეიძლება, უენო ნივთიც კი, თუნდაც გაბეზრებული ჭაღი, გამოვიდეს მდგომარეობიდან, ამოვარდეს საკიდიდან და რაც მოხდება, სამშენებლო კომპანიის დღიურ მუშას დაბრალდეს, ვინც კაუჭი დარბაზის სიგანეზე გადებულ სინკარს მიადუღა.

რა მნიშვნელობა აქვს განანყენებულ შეკრებილთაგან ვიღაცები ქალაქის თავს ქოქოლას თუ მიაყრიან, მთავარია, ეფექტი და კმაყოფილება მაღალი გვამისა...

რა ვქნათ, ასე იყო, ასეა და ასე იქნება — ვიმეორებ, ცოდვილია ადამიანი, მითუმეტეს, თუ ეს ადამიანი ხელისუფალიცაა!..

ამჯერადაც შეუნდე, უფალო, შენთვის ხომ ეს სულ ადვილია!

თუ ასეთ წვრილმანებზე გამოგვეკიდები, ვიღა შემოგრჩება, „მეექვსე დღის“ შედეგრით — ადამიანით — რომ თავი მოიწონო!

გამგებელმა ჰაერში შეათამაშა ორთითგაყრილი საკანცელარიო ნივთებს მოყოლილი პლასტმასისტარიანი მაკრატელი და, იწყებაო, ჯგუფებად, კასტებად, ოპოზიცია-პოზიციად თუ უბრალოდ, ერთი სამსახურის ნაცნობებად განმარტოებულები, დროებით მაინც, ერთსულ და ერთხორცად იქცნენ, მიხორხორდნენ ხალიჩის გარეშემო, თვალი შეავლეს გამგებლისა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანლის უკან შეგროვებულ წითელ ხალიჩაზე გავლის უფლებით პატივდებულებს.

თვალი შეავლეს და არცთუ ხმადაბლა ერთ გაოცებულ ქალბატონს წამოსცდა:

„დედა! რატო ქვეყანა არ დაიქცევა, ამ კახპებმაც ხალიჩაზე უნდა გაირონინონ?!“

„ქალებზე ბრძანეთ თუ კაცებზეო?“ — რაღაცნაირი კმაყოფილებით ჩამოივარცხნა თხელი თითებით ჟღალი წვერი ქალბატონის უკან ატუზულმა ჩოხოსანმა და ახლო მყოფთა სახეებზე ღიმილმა გადაირბინა.

გამგებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა მაკრატელს ოთხჯერ მოუნაცვლეს ადგილი — მოჭრილი ლენტის ნაკუწები ყველას დასანახად ჰაერში შეათამაშეს და ხალიჩაზე ფეხი შედგეს. შედგეს და ფოიეს შესასვლელთან, კულისებიდან ჩამოგორებულ როიალზე, ელექტროგიტარასა და ორ ვიოლინოზე, მუსიკოსებმა მენდელსონი „დაისის“ შესავლით ჩაანაცვლეს.

„რა დროს „დაისია?“

„ჩვენს განწყობილებას პასუხობს!“

„მაშინ „თაო ჩემო“ უკეთესი იქნებოდა!“

„ამ საქმეს ვიღაცას, ალბათ, მუსიკალურ გამფორმებელს წააკლავენ!“

„კარგი ერთი, ღადაობ? რომელია მაგათში მენდელსონისა და ფალიაშვილის ერთმანეთისაგან გამრჩევი?“

„გაჩუმდი, თუ ქალი ხარ.“

ჩოხოსანმა ჩაიხიხვინა, მაგრამ ნათქვამისათვის თავისი კომენტარი აღარ მიუყოლებია, ალბათ, თემა ამოწურულად ჩათვალა.

ამასობაში, ტაშმა და მხიარულმა შეძახილებმა გადაფარეს ნოემბრის ქარის გნიასი — ამინდისათვის შეუფერებლად აღკაზმულ, გაცრეცილ თეატრის მსახიობებს, რეჟისორებს, მერე იმათ ასისტენტებს, ტექნიკურ პერსონალს, ყველას მოუხმო წითელმა ხალიჩამ.

შემოგოგმანდნენ წყვილები, ნაზი, ჰაეროვანი ღიმილით დაიძრნენ ტაშისცემის ხეივანში, თან ისეთ სათნოებას, გულმოწყალებასა და უმანკოებას აფრქვევდნენ, ვითომ ჯგუფებად გაყოფილები, ხელფასებით უკმაყოფილოები ერთმანეთს არ ჭამდნენ, არ ღრღნიდნენ, არ გაჰქონდეთ და გამოჰქონდეთ თეატრის „ნაგავი“ გარეთ, რიგით მოქალაქეებამდე თუ სახელისუფლებო კაბინეტებამდე — ჩვენაო, ქვემორე ხელისმომწერლებსაო, ასე გვინდა, მორჩა და გათავდაო, ნათქვამს არ გადავალთ, არა და არაო... თორემაო! — დაიქნევდნენ იმ თავმოსაწონებელ, საჩვენებელ თითებს, თეატრის კიბეზე დავწვებით და შიმშილობას დავიწყებთო (ვითომ აქამდე სულ ყუათიანი დოშითა და ხიზილალით იყვნენ გულმოყირჭებულები).

მეტი გმირობა და თავდადება გინდა? სხვა ვინ წამოწვება რუხი ბაზალტის საფეხურებზე.

თანაც ნოემბერში.

ივლისში კიდევ ჰო...

რას ვიზამთ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.

ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს!

→

დასასრული

აბა, თუ მაგრები არიან, სხვებიც მიუწვნენ, აქ თუ ვერ დაეტევიან, რაში მიცდება მთავრობის სახლის ფილაქანაცვენილი კიბე!..

ახლა ვითომც არაფერი, გეიზერივით ამოხეთქილმა მომჩივნების შვიდპუნქტიანმა არზამ, დედაქალაქიც რომ მოიარა — „ტოჩი-ტოჩად“ თუ არ შესრულდება, რასაც ვითხოვთ, მერე რაც მოხდება, ამის პროგნოზირება გაგვიჭირდებაო...

გესმით? გაგვიჭირდებაო! რა ცოდვის კითხვასაც დავატრიალებთ, თქვენ თავს დააბრალეთ, ჩვენ ხელები დაგვიბანიაო!.. რა ქნა იმ ჩემი ცოდვით სავსე პილატემ, ჰაიჰარად, ისე შეგვაჩვია მიზეზით თუ უმიზეზოდ ხელების გადაბანას!.. გაუშვი ქრისტე ჯვარზე გასაკრავად, გაახელისუფლე დორბლიანი, ყაჩაღი ბარაბა და, რა გენაღვლება, გადაიბანე ხელი... მსუბუქად, უსაპნოდ გადაივლე წყალი... მითუმეტეს, ეს „პროგნოზირება“ და კიდევ რამდენიმე „მაგიური“ სიტყვა, პოლიტიკოსებმა, მასმედიამ, დაქირავებულმა, სულგაყიდულმა ტელეწამყვანებმა რომ ამოიჩემეს და მათი მიბაძვით თეატრის „უპრეცენდენტო“, შვიდპუნქტიანი საჩივარიც იყო გაჯერებული, ხომ ქვას გახეთქავდა!..

გახეთქავდა და გამგებელს და მის „ქვემორე მდგომ ხელისმომწერებს“ გაჩენის დღეს თუ არ დააწყევლინებდა, ჭაღის მოწყვეტას მაინც მოანატრებდა.

ამ ჩვენ ვარაუდს, თუ საჭიროება მოითხოვს, თეატრის გულშემატკივარი ჩოხოსანიც დაეთანხმება და ბრძოლის წადილით შეპყრობილი სატევარს ოჟა ჯურხაის ხმალივით შეაჟღრიალებს.

მერე, ხომ, მერე...

„მოუვლის ბრძოლის წადილი...“

თუმცა, მოვრჩეთ, გვეყოფა, ვიკმაროთ, დავტკბეთ დღევანდელი დღის სასწაულით.

სასწაულია, მაშ რა, ჯადოქარი ხალიჩის წყალობით გვერდიგვერდ მიდიან ვარსქენი და შუშანიკი, ჰამლეტი და ლაერტი, მერკუციო და ტიბალტი, ბერია და ჯავახიშვილი, კეისარი და ბრუტუსი, საჩინო ბარათაშვილი და კახაბერ ყორღანაშვილი და კიდევ მრავალნი და მრავალნი — სცენაზე და ცხოვრებაში მოქიშპენი, ერთმანეთის ანტიპოდები და წითელი ხალიჩის წყალობით აქ შერიგებულნი... ორ ნაბიჯში მომლოდინე ლანჩის „პერსპექტივამ“ შიმშილობის დაწყების წინ ხომ სულზე მოუსწროთ...

ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება.

დასრულდა ზეიმიც, ფოიეში შემსვლელი შევიდა, წამსვლელი წავიდა, გაიკრიფა ეზო და მიიხურეს კაკლის ხის მძიმე, კომუნისტებისდროინდელი ჩუქურთმიანი თეატრის კარი.

დარჩა გარეთ გავლილ-გამოვლილი, ღაფიანი, ტალახიან ფეხშეწმენდილი, ახლა უკვე მთლად გაურკვეველი ფერის ხალიჩა, სადგამებწაქცეული, განასკვული დამცველი თოკები, წაყირავებული სპექტაკლების ბანერები და, რა თქმა უნდა, მოქალაქეებს „დარჩენილი“ ნაგავი.

ქარს უყვარდა ეს ქალაქი (ვიღაცას ან რაღაცას ხომ უნდა უყვარდეს!).

ისტორიულად მაშინ, როდესაც დედამიწის ზურგზე არსად ნიავი არ იძროდა, აქ მაინც თრთოდნენ ჭადრების კენწეროები.

ახლაც ღონივრად დაუბერა, დასავლეთის ნოტიო ქარმა შეცვალა დეკორაცია, ნაგავი დეკორატიულ გაზონს გადააყარა და ახალჩამოყრილი ფოთოლი მოაფინა. მერე მიტოვებული საპატიო ხალიჩის აკეცვაც დაიწყო, მაგრამ ვიდრე დღევანდელი ზეიმის მთავარ სიმბოლოსაც სადმე მიჩურთავდა, საიდანღაც გამოვარდნილმა მანანწალა „დოგმა“ დრო იხელთა, შუაში დაცუცქდა და... ხალიჩაზე ფეკალის მრავალწერტილი დასვა.

მრავალწერტილი როგორც იმედი, რომ ადრე თუ გვიან გაგრძელება იქნება...

წერტილი ჩვენც დავსვათ, ოღონდ გვახსოვდეს, ვიდრე ლანჩის სუფრა ეშხში შედის, კიდევ უფრო მომძლავრებული ქარი აზანზარებს თეატრის სახურავს და ჩაბნელებულ, ცარიელ დარბაზში ქუხილისწინა, ავბედითი დუმილი სუფევს.

გამგებელი ფოიედან გამოსვლამდე, ინსტიქტურად, ერთხელ კიდევ ახედავს ჭერს და გაიფიქრებს, თუ მოსახდენია, იქ, დარბაზში, ახლა მაინც...

ჭაღი...

ვანო ჩხიკვაძე

უდაბნო



გინახავს პარადი უდაბნოში? ირგვლივ ყველაფერი წყურვილისაგან იხრჩობა კეფასავით მოლოპრილ დიუნზე, თმის უკანასკნელი ბუწუწივით ებღაუჭება საქსაული ყვითელ ქვიშას და სამხრეთიდან წითელი ზღვისკენ საქარავნო გზას დამდგარი, დიდვაჭარ ალი-აკბარ-ჯაბარის აქლემები მიიწელება.

ვინ მოთვლის, რამდენი ქვიშიანი ქარიშხალი დალეწილა უდაბნოს კუზიანი, მახინჯი „ხომალდების“ მკერდზე. იმიტომ არიან უხასიათონი და მდუმარენი, მაგრამ თუ ხმა ამოიღეს და აიწყვიტეს...

ქარავანს, პირველად დამგზავრებისას, დასახლებულ პუნქტამდე დიდი გზა აღარ ედო, გრიგალმა რომ გვიყელა — გამოცდილი, დაწალიკებული აქლემები შეჯგუფდნენ, გვერდულად მიწვნენ და გამყოლებმა ერთ-ერთის მუცელთან შემკუჭეს.

მალე მზე და თვალსაწიერი აფრიალებული ქვიშის ზეწარში გაეხვია. მეც მოვიკუნტე, დავპატარავდი. აქლემის თბილი, თახთახა მუცელი თავშესაფრად მექცა.

ქარიშხალი ჩვენ ზემოდან ზმუილით გადადიოდა, გადაჰქონდა ქვიშა და ახალახალ დიუნებს დგამდა.

სტიქია ცოტათი რომ ჩაცხრა, აბუყბუყებულმა აქლემის მუცელმა მონაცვლეობით გრძელი და მოკლე „ზალპები“ გაუშვა.

ცოტა ხანში ახლა მხარი და ზურგი გამითბა — შარდის ბუშტი ზედ დამეცალა.

მაგას რა უშავსო, დამამშვიდა მერე, ნაცნობმა ბედუინმა, კიდევ კარგი კუდქვეშ, დუნდულებთან არ მოხვდი, თორემ ჩემ მტერს, კუჭაშლილი აქლემი, წითელი ზღვაც ვერ გაგრეცხავდა, აბა აქ შენს დასაბანად სამყოფ წყალს ვინ მოგვაშავებდაო!

რაღა გზა მქონდა, შევწირე უფალს მადლობა, ეს განსაცდელი რომ ამარიდა.

უდაბნოს მზემ ზურგი უცებ გამიშრო, მაგრამ ფსიტის სუნად უფრო მეტად ავქოთდი...

როგორ მოგწონს, ალი-აკბარი, კონდიცირებულ სასტუმროს პრესტიჟულ ნომერში ელოდებოდა ქარავანს, მე კი მისი აქლემის შარდში ვბანაობდი...

მას შემდეგ წლები გავიდა.

გამახსენდა ჩემი უდაბნოს ეპოპეა, არეულ და ამღვრეულ შუამდინარეთში გატარებული დღეები, თვეები და ოთახში, ვოლიერში გამომწყვდეული ნადირივით დავბორიალებ. არითმიის წერტილოვანი დარტყმებით გული თავის არსებობას მახსენებს, საფეთქლებში დამსჯელი ვერტმფრენები გუგუნებენ, ჰაერში დაკონწიალებენ სქელლანჩა, ქვიშისფერი სამხედრო ბათინკები. გარეთ ფეხებგადმოყრილი, დაქირავებულის მუხლისთავებზე პანთერასავით გაწოლილი ხელის ტყვიამფრქვევი მიდამოს ზვერავს.

შავი სათვალე ფარავს შემაწუხებელი სიცხით გაწამებულ, ჩაწითლებულ გუგებს და ჭროღა, ზიზღით გაუფერულებულ თვალის კაკლებს.

ალი-აკბარის ქარავნები, ჯერჯერობით, აქეთ აღარ დადიან — დიდვაჭარი მტერსაც უფრთხის და მოყვარესაც, რადგან მათი გარჩევა ერთმანეთისაგან უკვე შეუძლებელია.

გადახრუკულ ნახევარუდაბნოში ქურციკი გარბის, გაურბის მტაცებელივით ადევნებულ ვერტმფრენის ჩრდილს, მაგრამ არ იცის, რომ ფეხებგადმოყოფილ დაქირავებულს ოთხფეხები ამჯერად არ აინტერესებს.

აი, ისიც, წერტილივით გამოჩნდა ჩემი ნაცნობი, ბედისწერას მინდობილი ბედუინი, უდაბნოს ყველგანმავალზე ამხედრებული მიდის და აქლემის რწევას ტანს აყოლებს.

ვერ გრძნობს ბინოკლიდან ცნობისმოყვარე მზერა გაშიშვლებულ კისერზე რომ დააცხრა.

არც ის იცის, როგორ სწყურია ხახაგამშრალ დაქირავებულს — ხაოიანმა ენამ მოილოკა მარილგამოსულივით ამოთეთრებული, გამშრალი ტუჩები.

სისხლი წყურვილს კიდევ უფრო აძლიერებს.

ტყვიამფრქვევს გადადებს და ზურგსუკან მიყუდებულ სნაიპერის თოფს მოიმარჯვებს.

გამადიდებელ ლინზას ხელის გაწვდენაზე მოაქვს ბედუინის კეფაზე დატყეპებული ხალი თუ მეჭეჭი!

მოაქვს კი არა, თითქოს ვინმემ ცენტიანივით ამოაგდო, დაქირავებულის ცხვირწინ ჰაერში აისროლა და, ამანაც, ბაც!

ნაჭუჭივით გადამსკდარმა თავისქალამ ბედუინი აქლემზე პირქვე წაამხო.

აქლემი დაფრთხა.

აქეთ-იქით გაშვერილი ხელები ნავის ხოფებივით უძრავად დარჩა.

საქარავნო გზის რომელიღაც კილომეტრზე, ბედუინის თავიდან გადმოვარდნილი ჩალმა, ეკლიან ძეძვს გამობმული დაშლილი სამგლოვიარო გვირგვინის თეთრი ყვავილებივით შერჩა.

მფრინავმა, ბედუინზე მონადირეს, მოწონების ნიშნად, ცერი აუწია და ვერტმფრენს გეზი უცვალა, იქაურობას გაერიდა.

„უცოდველი სისხლით, დედამიწის ზურგზე, რამდენს შეუძლია პირის გასველება?“

„ალბათ ძალიან ბევრს!“

„ამიტომ ვიცი, მაქვს მიზეზი რატომაც უნდა მძულდეთ, მაგრამ ჩამაფიქრებს ხოლმე წმინდა წერილის შეგონების სამართლიანობა, ვერ ვირწმუნე, ყველა განურჩევლად რატომ უნდა მიყვარდეთ!.. ახლაც ხომ დაინახეთ, სიყვარული როგორი არასაიმედო მეგზურია, არ იცი, სად და როდის გადაგჩეხავს... აი, ბედუინს, სიძულვილის ინჩი-ბინჩი მაინც რომ სცოდნოდა, გაფრთხილდებოდა... სიძულვილი აფხიზლებს ადამიანს, აწესრიგებს ქვეყნების ურთიერთობას... კარგია რომ ამრეზით მიყურებთ, არც მე ჩამქრიხართ გულში, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, სწორედ იმათ წინააღმდეგ საომრად, ვინც ცდილობს სიყვარულის და ერთგულების მარადიულობა დაგვიმტკიცოს... მოკლედ, კახპა ქალივით თავისი ვითომ „უბინობა“ შემოგვატყუოს და შემოგვასაღოს“.

„მაშ სიყვარულის ადგილი აღარ დარჩენილა ცისქვეშეთში!“

„რატომაც არა, წიგნებში, ფილმებში, სიმღერებში... ღამის მარტოობაში, განა გაღიმებულ, ძვირფასი ფაიფურის ქათქათა კბილებზე ვერ გრძნობთ სარკოფაგის სიცივეს?.. აბა, გიშველოს სიყვარულმა!“

„ნუთუ დღევანდელი რომეოს ტუჩებიდან, მიჯნური, აღარ დალევს საწამლავს“...

„დალევს, რატომ არ დალევს, ოღონდ წიგნებში-მეთქი!.. გასული საუკუნეების გაღუღუნებულ ბუხართან, პლედმიფარებული, ჭლექით ფილტვებგამოხრული, ნაღვლიანი სენტიმენტალებისთვის ადვილია სხვათა ტანჯვის განცდა, თანაგრძნობა, მითუმეტეს, როცა ირგვლივ შენი ყველანაირი სურვილის აღმსრულებელი, ლანგარიანი მხევლები, შინამოსამსახურეები დაგოგავენ და ფეხებთან გაწოლილი, ოთახის ბეწვდაბანჯგვლული მონადირე ძაღლები ამთქნარებენ... გარდასული, დაფხავებული ბუტაფორია, თითიდან გამოწოვილი სიუჟეტები!.. გაცივდა გული... დღეს ვის აღელვებს, ვის სჭირდება სიბრალული!.. ყოველ შემთხვევაში, გრძნობებისაგან დაცლილ, გამოწურული ბროწეულის კანივით სიცხისგან ტუჩებგამხმარ დაქირავებულს — არა! ისინი წყურვილს მხოლოდ სიძულვილით და სისხლით იკლავენ... ვის სჭირდება სიბრალული-მეთქი, — სიბრალულში ვინ რას გადაგიხდის? სიძულვილში გიხდიან!.. ვისაც შემოსავ, ხომ იცი, რომ ადრე თუ გვიან, ის გაგხდის, არ დაგინდობს... ძლიერი უნდა გადარჩეს!.. გულაჩუყებული, სიყვარულის ნიადაგზე ველად გაჭრილი გმირების სათავგადასავლო რომანების ტრფიალების დრო სამუდამოდ დასამარდა!.. კაცობრიობამ გულუბრყვილობის ასაკი მოჭამა, ძლიერს დაუნდობლობა გამოარჩევს... ღმერთმა ეს ინსტინქტი ნადირში ჩადო, ნადირისგან უნდა ვისწავლოთ ბუნებრივი გამოხშირვა!..“

„მაშ თანახმა ხარ, როგორც იმ უდანაშაულო ბედუინს, სხვებსაც ვერტმფრენებმა სდიონ და კეფა გაუხვრიტონ, მიუხედავად იმისა, „გამოხშირვის“ დრო დაუდგათ თუ არა?“

„მოდი ერთ რამეში შევთანხმდეთ — რადგან დაიბადე, უკვე დამნაშავე ხარ, ამიტომ უნდა შეეგუო, რომ აქ სასჯელის მოსახდელად გამოგიშვეს... ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კედელთან შეიძლება მიგაყენონ და არც უნდა იკითხო, რატომ!.. მშობელს უხარია, თორემ შობილი ტირილით მოდის და, ვინ დაამტკიცა, რომ მისი პირველი ცრემლები სიხარულის ნაყოფია და არა მწუხარების?.. ანდა მაშინ ვინ იცის, ის პატარა, ფუნჩულა თითი, საწოვარას ნაცვლად ტუჩებში რომ აქვს გაჩრილი, ოდესმე კაუჭივით კაცისმკვლელ სასხლეტს არ გამოედება? ეგ არის სწორედ სიძულვილის არჩევანის მორალი, კოდექსი, სიძლიერე და შეუვალობა, სამართალი, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება!.. განა ვერტმფრენში არ იცოდნენ ბედუინის უდანაშაულობა, მაგრამ ამით სანჯაყებში, სახანოებსა და საფაშოებში მოპარპაშე მოწინააღმდეგეებს აგრძნობინეს, რომ თუ უდანაშაულოს არ ვინდობთ, თქვენ უარესი გელოდებათო“.

„რა ვიცი, სამართლიანობას ვამკვიდრებთო და...“

„პრეზიდენტებმა ეგრე უნდა ილაპარაკონ!.. თეთრ, ქათქათა მანჟეტებს უსამართლობით დაღვრილი სისხლის ლაქები გარეგნულად არ უნდა ეტყობოდეს!.. მათი ცოდვების სიმძიმე შემსრულებლების სინდისმა უნდა ზიდოს... განა ნგრევისა და კაცთა მოსასპობად გათვლილი სამხედრო წარმოების გიგანტები, სამართლიანობისა და სიყვარულის დამკვიდრებისათვის მუშაობენ?.. გაუსროლელ თოფს, რეჟისორები, სცენაზეც კი აღარ აჩერებენ!..“

„ჩემ მეგობარს გასაზრდელი შვილები ჰყავდა.“

„რომ ჰყავდა, განა უფალმა არ იცოდა?.. უმამოდაც გაიზრდებიან და თუ გაბოროტდნენ სიძულვილი სიძულვილს შობს, ჩვენი დროის ამ წყეულ მანქანას უქმად ვინ გააჩერებს!“

რამდენიმე დღის შემდეგ:

„ერთ-ერთ საიტზე წავიკითხე, ბედუინის მკვლელი მეამბოხეებს ხელში ჩაუვარდათ, არაადამიანურად აწამეს და საბელით მოაშთეს — როგორც ვთქვი, სიძულვილმა სიძულვილი უფრო სწრაფად შობა, არ დაელოდა შურისმაძიებელი ბედუინის შვილების გაზრდას... საინტერესო რა არის, იცი, დაქირავებულის უბეში ნაპოვნ, სასტუმროს ქვითრის სუფთა გვერდზე, ქალისადმი გასაგზავნი თუ ტელეფონით სათქმელი რამდენიმე ფრაზა ეწერა:

„ძალიან მომენატრე.

ხანდახან, ჩემს სამსახურებრივ, გაძაღლებულ ყოფაში, რაღაცას თუ ვიღაც უხილავს, შენი სხეულის მონატრებული სურნელი მოაქვს!

მიყვარხარ!

უდაბნოს ბარხანებზე ქურციკი გარბის!

ნეტავი შენც უყურებდე!

ირბინოს, სიცოცხლეა, გაიხაროს!“

„მაგის დამწერმა, ბედუინი, როგორ გაიმეტა?“

„ამან არა, მოძალადე მსოფლიომ გაწირა და გაიმეტა... დაქირავებულია და, რა ქნას, სამსახურშია, დაკვეთას თუ არ შეასრულებს, სხვა „მონადირით“ ჩაანაცვლებენ... ფული კი, რომელსაც სატრფო, ალბათ, საქმროს ხელიდან ელოდება, არც ყარს და არც სისხლის კვალს იტოვებს.“

„შენ ესროდი?“

„სიმართლე გითხრა, არ ვიცი!“

„არც მე!..“

ნუთუ, ამ ცოდვილ სამყაროში, ბოლომდე არავინ არაფერი იცის?!

ანდა, უნდათ კი, რომ იცოდნენ?

ჯერჯერობით ქურციკს არავინ ესვრის — გარბის უდაბნოს ბარხანებზე!..

ოგიუსტ ვილიე დე ლილ-ადანი

იმედით წამება

ბატონ ედუარ ნიეტერს

— *ო! მომეცეს ხმა, რომ დავიყვირო!*
ედგარ ალან პო,
„მთხრობელი და ქანქარა“.

ერთხელ საღამოთი, მზის ჩასვლისას, სახელოვანი პედრო არბუეს დ’ესპილა — სეგოვიის დომინიკელების მეექვსე პრიორი, ესპანეთის მესამე დიდი ინკვიზიტორი fra რედემპტორის (მთავარი ჯალათის) თანხლებით და ორი ფანრიანი ღვთის მსახურითურთ, რომლებიც მათ წინ მიუძღოდა, ჩავიდა მიწისქვეშა საპყრობილეში, რომელიც სარაგოსის ოფიციალის სარდაფების ფსკერზე განთავსებულიყო. გასაღები ხმაურიანად გადატრიალდა მძიმე კარის კლიტეში; მოსულნი აყროლებულ სივრცეში აღმოჩნდნენ; იქ ბინდბუნდი, რომელიც მეორე საკანთან მაკავშირებელი ჭერის ღიობიდან იღვენთებოდა, სისხლისგან გაშავებულ სკამს, მაყალსა და დოქს ლანდავდა. სიბინძურესა და ნაგავში კედელში ჩაჭედილ რგოლებზე მიჯაჭვული, საყელოგამობმული და ძონძებში შემოსილი მამაკაცი იწვა. მისი სახე იმდენად გაველურებული იყო, რომ ასაკი არ ეტყობოდა. ეს ტუსაღი, ვინმე რებე აზერ აბარბანელი, არაგონელი ებრაელი გახლდათ, რომელსაც ბრალად მევახშეობა და მოხეტიალე ბერების მიმართ არასათანადო ქედმაღლობა ედებოდა. სწორედ ამის გამო უკვე წელიწადზე მეტია, მას ყოველდღიურად აწამებდნენ. თუმცა იგი არა და არ უარყოფდა თავის რწმენას და „მისი შეცდომა იმგვარადვე უდრეკი იყო, როგორც მისი კანი“.

იგი ათასწლიანი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ხოლო, როგორც ცნობილია, ყველა ჭეშმარიტი ებრაელი ეჭვნეულად განიხილავს სისხლით ნათესაობას. თალმუდის თანახმად, იგი წარმოიშვა ოტნიელისა და იფსიბოესაგან ამ უკანასკნელი ისრაელის მოსამართლის მეუღლისაგან. თავისი შორეული წინაპრებით სიამაყემ მას სიმტკიცე შესძინა და ეხმარებოდა მრავალი დაცინვის ატანაში.

სწორედ ამიტომ, პატივცემული პედრო არბუეს დ’ესპილა, რომელსაც მხოლოდ ერთი აზრიც კი იმის შესახებ, რომ ამდენად შეუპოვარი სული თავადვე უარყოფს, დაეხმაროს თავის თავს, ცრემლებს ჰგვრიდა, მიუახლოვდა ათრთოლებულ რაბინს და წარმოთქვა შემდეგი სიტყვები:

— შვილო ჩემო, გიხაროდეთ: როგორც იქნა, თქვენი ამქვეყნიერი განსაცდელი დასასრულს მიუახლოვდა. ვინაიდან ვხედავ, რომ სიტყვის გადათქმას არ აპირებთ, მე, ჩემდა სამწუხაროდ, ვალდებული ვიყავი, რომ თქვენ მიმართ გადარწმუნების უმკაცრესი მეთოდი დამეშვა, რამეთუ დარწმუნების ხერხები, რომლებიც ჩემს ახლობელთა ჩასაგონებლად უნდა გამოვიყენო, უსასრულო არაა. თქვენ დაემსგავსეთ ურჩ ლეღვის ხეს, რომელმაც არაერთხელ იუარა ნაყოფის მოსხმა და ამით თავს ხიფათში იგდებს... მაგრამ ოდენ ღმერთს შეუძლია, გადაწყვიტოს ბედი თქვენი სულის. იქნებ მისი უსასრულო გულმოწყალეობა უკანასკნელ წუთებში თქვენთვის გამონათდეს! ვალდებულნი ვართ, გვწამდეს ამის! არსებობს შესაბამისი მაგალითები... იყოს ნება მისი! მაშასადამე, დღეს საღამოთი მშვიდად დაისვენეთ. ხვალ თქვენ auto da fe-ს მონაწილე გახდებით: ეს იმას ნიშნავს, რომ quemadero-ს, ანუ კოცონს დაექვემდებარებით. იგი მოგვასწავებს მარადიულ ცეცხლს; მას ანთებენ — და თქვენთვის ეს ცნობილია, შვილო ჩემო — მსჯავრდადებულთა ირგვლივ, და სიკვდილის დადგომას, უკიდურეს შემთხვევაში, ორი (ხშირად სამი) საათის განმავლობაში უნდა ელოდოთ, რამეთუ ცოდვების გამომსყიდველის თავსა და გულმკერდს ჩვენ წინდახედულად ვახვევთ ცივ წყალში დასველებულ ნაჭრებში. თქვენ მხოლოდ ორმოცდასამნი იქნებით. თავად განსაჯეთ, როდესაც ბოლო რიგში დაგაყენებენ, დრო გექნებათ, რათა ღვთის წყალობაზე ილოცოთ და ევედროთ მას, რომ სულიწმინდას ცეცხლით გაკურთხოთ. იმედი იქონიეთ, რომ გონება გაგინათდებათ და იძინეთ.

საუბრის დასრულებისას დომ არბუესმა მინიშნებით გასცა ბრძანება, რომ ბედკრული ჯაჭვებისგან დაეხსნათ და ალერსიანად გულში ჩაიკრა. შემდგომ fra რედემპტორმა მორჩილად სთხოვა ებრაელს, რომ ეპატიებინა ტანჯვა, რომელიც მონანიების სახელით განაცდევინა; ხოლო შემდგომ რიგრიგობით, კაპიუშონების მოხდის გარეშე ორივე მსახურმა რაბინი გულში ჩაიკრა. როდესაც ცერემონია დასრულდა, ტუსაღი, სრულებით თავგზააბნეული, სიბნელეში მარტო დარჩა.

* * *

რებე აზერ აბარბანელი, ტანჯვისგან გონებადაჩლუნგებული, პირგამომშრალი, რაღაც დროის განმავლობაში დაკეტილ კარს უფიქრელად უცქერდა. – „და ჭეშმარიტად დაკეტილ?“ ამ სიტყვებმა, მისთვისვე მოულოდნელმა, აღრეულ ფიქრებს შორის ბუნდოვანი ხატებანი აღძრა. მან წამიერად შენიშნა, რომ კედელსა და კარს შორის ფანრების სინათლემ გაიელვა. მცირედმა ნაპერწკალმა იმედისა მისი დასუსტებული გუნება ააღელვა. იგი მიცოცდა დანახულ უცნაურ მოვლენასთან შესახვედრად! და ძალიან ნელა, დაუსრულებელი წინდახედულობით თითი ღრეჩოში შეყო და კარი თავისკენ გამოწია. ჰოი საოცრებავ! უცნაური შემთხვევითობით მსახურმა, რომელიც მის საკანს კეტავდა, გასაღები მანამ გადაატრიალა, სანამ კარის კიდე მის ამყოლს შეეხებოდა. აქედან გამომდინარე, საკეტის ჟანგიანი ენა ბუდეში ვერ მოთავსდა და კარი თავის ადგილას ჩადგა.

რაბინმა გაბედა, რომ გარეთ გაეხედა.

მოლურჯო წყვდიადის საფარველში მან უპირველესად შეამჩნია ნახევრადკამარის მსგავსად დაკიდული მიწისფერი კედლები, რომლებსაც ქვაში გამოტეხილი ხრახნისებრი კიბეები ჰქონდა; უშუალოდ მის მოპირდაპირედ კი განთავსებულიყო ხუთი თუ ექვსი ქვის ფილა, ერთგვარი შავი კარიბჭე, რომლის მიღმაც ფართო დერეფანი იხსნებოდა. ქვემოდან მხოლოდ რამდენიმე თაღი მოსჩანდა.

ის მიცოცდა სწორედ ამ კარიბჭესთან. დიახ, მის პირისპირ მართლაც დერეფანი იყო, თანაც რაზომ გრძელი. უფერულმა, სიზმრის ანარეკლივით, სხივმა იგი დააბრმავა: კამარის ქვეშ, ერთი მეორეზე მიყოლებით, ჩამოკიდულიყო მბოლავი ზეთის ლამპები, სწორედ მათში გიზგიზებდა მქრქალი ნაპერწკალი, რომელიც ჰაერს მკრთალი ლაჟვარდით ღებავდა, — დერეფნის დასასრული შორეულ წყვდიადში იკარგებოდა. და არსად, არც ერთი მხრიდან — არც ერთი კარი არ იყო! მხოლოდ მისგან მარცხნივ, იატაკის დონეზე, კედლის სიღრმეებში ჩაჭდეული საჰაერო გისოსები მოსჩანდა; ისიც ლანდავდა ბუნდოვან სინათლეს. იატაკზე სისხლის ზოლები აღიბეჭდა, ესე იგი საპყრობილეს კედლებს მიღმა მზე ჩადიოდა. და რაზომ საშინელი სიჩუმეა!.. თუმცა იქ, ამ წყვდიადის სიღრმეში, შეიძლება გასასვლელი ყოფილიყო, რომელსაც თავისუფლებისკენ მიჰყავდა! ებრაელის იმედის ნაპერწკალი შეუპოვრად არ ქრებოდა: ის ხომ უკანასკნელი იყო.

მან დაუფიქრებლად თავი საფრთხეში ჩაიგდო და დერეფანში გაცოცდა. ამავე დროს, თავს ბნელ კედლებს აფარებდა. იგი ნელ-ნელა მიემართებოდა წინ, მთელი სხეულით იატაკს ებჯინებოდა, — ტკივილს ძლივს ითმენდა, როდესაც შეუხორცებელი ჭრილობით გამოედებოდა.

ანაზდად სანდლების ფრატუნი მოესმა; მისი ხმა ექოდ აღიბეჭდა ქვის გალერეაში. შეცბუნდა; შიშმა ყელში მოუჭირა; თვალებში დაუბნელდა. როგორ? ნუთუ ეს დასასრულია? იგი მოიბუზა, ფეხის წვერებზე შეძვრა რომელიღაც შეღრმავებაში და ნახევრადმკვდარი ლოდინს მიეცა.

დერეფანში სწრაფი ნაბიჯებით დაშვებული კაპიუშონით მიემართებოდა გოროზი მსახური. ხელში ძარღვების დამჭერი მოწყობილობა ეჭირა; წამით გაიელვა და



გაქრა. ელდანაცემ, თითქოს ფოლადის გვერგვით მოჭერილ რაბინს სასიცოცხლო ძალები გამოეცალა და დაახლოებით საათის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა. როდესაც წარმოიდგინა, რამდენად ცხოველური წამება ელოდებოდა, თუკი მას ისევ დაიჭერდნენ, მან ლამის გადაწყვიტა, რომ საკანში დაბრუნებულიყო. მაგრამ საოცარი იმედი, რომელიც ერთობ მტანჯველ წამებშიც კი ნუგეშისცემით გვიღვივებს სულს, ისევ ჩააგონებდა რაბინს! და საოცრება მოხდა! იგი აღარ მერყეობდა! ისევ გაცოცდა გადარჩენის აჩრდილთან შესახვედრად. ტანჯვისა და შიმშილისაგან, შიშით თრთოლვისაგან ღონემიხდილი იგი წინ მიემართებოდა! მაგრამ დერეფნის უსასრულო აკლდამა თითქოსდა რაღაც იდუმალი კანონით უფროდაუფრო გრძელდებოდა! და ისიც შეუჩერებლად თვალს არ სწყვეტდა წყვდიადს, იმ წერტილს, სადაც საბედისწერო გასასვლელი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, აი, ისევ ნაბიჯების ხმა გაისმა, ამჯერად ნაკლებად სწრაფი, მაგრამ ბევრად მძიმე იყო ეს ხმა. მის მახლობლად, ბინდბუნდში ორი ინკვიზიტორის შავ-თეთრი ფიგურა გამოჩნდა, მათ ეფარათ განიერკალთებიანი ქუდი გადაკეცილი ბოლოებით. ინკვიზიტორები ჩუმი ხმით და ხელების ქნევით საუბრობდნენ: ნათელი იყო, რომ ძალზედ მნიშვნელოვან საკითხზე კამათობდნენ.

ამ სანახაობაზე რებე აზერ აბარბანელმა თვალები დახუჭა: მისი გული იმდენად ძლიერ ფეთქავდა, რომ თითქოს უნდა გამსკდარიყო; შიშისგან ცივმა ოფლმა დაასხა და ძონძები დაუსველდა; იგი გაშეშდა მბოლავი ლამპების ქვეშ, კედელს ებჯინებოდა და დავითის ღმერთისთვის ლოცვას აღავლენდა.

მასთან მიახლოებისას, ორივე ინკვიზიტორი ლამპის ქვეშ გაჩერდა — სავარაუდოდ, სავსებით შემთხვევით. თანამოსაუბრესთან საუბრისას ერთ-ერთი მობრუნდა და რაბინს მიაპყრო მზერა! და ამ გამოხედვისას, რომლის უჩინარ გამომეტყველებასაც საბრალო ჯერ ვერ ხედავდა, მან იგრძნო, როგორ დაღავს მის ისედაც გატანჯულ სხეულს გავარვარებული მაშა; იგი ისევ შემზარავმა გოდებამ მოიცვა, ჭრილობებიდან სისხლმა ისევ იწყო დენა! როდესაც ბერმონაზვნური სამოსის შეხება იგრძნო, იგი, ღონემიხდილი, აცახცახდა, სუნთქვა დაუმძიმდა და თვალებს ახამხამებდა. თუმცა უცნაურად და ამავე დროს ბუნებრივად განვითარდა მოვლენები: კამათით შეპყრობილი ინკვიზიტორი, მგზნებარედ გატაცებული თავისი დასკვნებითა და თანამოსაუბრის არგუმენტებით, უყურებდა ებრაელს, მაგრამ ვერ ამჩნევდა მას!

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ავბედითმა მოკამათემ საუბარი ჩუმად განაგრძეს, ზომიერი ნაბიჯებით ისევ გაუდგნენ გზას იმ მიმართულებით, საიდანაც ტყვე გამოცოცდა; ის კი ვერ შეამჩნიეს!.. ტუსაღს გადახდენილი ღელვისგან თავში ერთმა აზრმა გაუელვა: „რახან ვერ შემნიშნეს, ესე იგი მკვდარი ვარ?“ შემზარავმა განცდამ იგი გაშეშებული მდგომარეობიდან გამოიყვანა: როდესაც წინ გაიხედა, თვალების პირისპირ შენიშნა სხვისი გოროზი მზერა, რომელიც მას აკვირდებოდა!.. მაგრამ ეს განგაში უსაფუძვლო აღმოჩნდა. რაბინმა ხელით ნელა მოსინჯა ქვები და დარწმუნდა: ეს მის გონებაში აღბეჭდილი ინკვიზიტორის თვალების ანარეკლი იყო, რომელიც კედელზე ორ ლაქად ბრწყინავდა.

და ისევ გააგრძელა გზა! უნდა ეჩქარა მიზნისაკენ, რომელიც მის წარმოსახვას (უდავოდ დაავადებულს) თავისუფლებად ეჩვენებოდა! იმ წყვდიადისაკენ, რომლამდეც არაუმეტეს ოცდაათი ნაბიჯისა დარჩა. მან რამდენადაც შეეძლო სწრაფად გააგრძელა თავისი ეკლიანი გზა; ხან ხელებს ეყრდნობოდა, ხან მუხლებს, ხანაც კი მიხოხავდა. მალევე მიაღწია დერეფნის ბნელეთით მოცულ ნაწილამდე.

მოულოდნელად საბრალოს იატაკს მიბჯენილმა ხელებმა სიცივე იგრძნო: ამის მიზეზი ძლიერი ორპირი ქარი გახლდათ, რომელიც დერეფნის ბოლოში მდებარე კარის ძირიდან ქროდა. ღმერთო! ნეტავი ეს კარი ქუჩაში გადიოდეს! ბედკრულ გაქცეულს თავბრუ დაეხვა, იგი იმედმა დაათრო! თვალი შეავლო კარს, თუმცა ირგვლივ გამეფებული წყვდიადის გამო მაინც ვერ შეძლო მისი სრულყოფილად დათვალიერება, ამიტომ დაიწყო ხელით მოსინჯვა: არც საცობი, არც საკლიტე არ იგრძნობოდა. აი, ურდული!.. იგი წელში გასწორდა; ურდული დაექვემდებარა მის ძალისხმევას; მძიმე კარი უხმოდ გაიღო.

* * *

„ალილუია!..“ — ღრმა ჩასუნთქვით წარმოთქვა შვებით აღვსილმა რაბინმა. იგი ზღურბლზე იდგა და უცქერდა მის წინ გარდაშლილ სურათს.

კარი ბაღში გადიოდა, რომლის მაღლაც ვარსკვლავებით მოჭედილი ღამის ცა გადაჭიმულიყო! ირგვლივ გაზაფხული, თავისუფლება, სიცოცხლე მეფობდა! ბაღის იქით სოფლის ხედი იშლებოდა, რომელიც იმ მთამდე იჭიმებოდა, რომლის დაკლაკნილი ლაჟვარდოვანი ბორცვებიც ჰორიზონტზე დიდებულად გამოისახებოდა; იქ შვება იყო! უნდა გაიქცეს! ის მზად იყო, რომ მთელი ღამე სირბილში გაეტარებინა ამ ლიმონის ხეების ჩრდილქვეშ, რომელთა კეთილსურნელებაც აბრუებდა მას. მთებში იგი გადარჩენილი იქნებოდა! მოწიწებით ისუნთქავდა სუფთა ჰაერს! სიხარულით აღვსილ გულში ლაზარეს Veni foras-ს სიტყვები ჟღერდა! და რათა მადლიერება გამოეხატა ღმერთის მიმართ, რომელმაც წყალობა გარდმოუვლინა, მან, ხელების აღმართვით, მზერაც ცას აღაპყრო. ეს ჭეშმარიტად გახელება იყო.

ანაზდად მას მოეჩვენა, რომ მისი ხელების ჩრდილნი მასვე მიუბრუნდა, და იგრძნო, ეს აჩრდილისებრი ხელები როგორ შემოეხვია და როგორ ჩაიკრა იგი, ისე, თითქოს ვიღაცამ ალერსიანად მიიკრო გულზე. სინამდვილეში მის პირისპირ ვიღაცის ფიგურა აღმართულიყო. მან გულუბრყვილოდ გადაიტანა მზერა ამ სილუეტზე და გაშმაგებული, თვალებჩამქრალი და შეცბუნებული ათრთოლდა, ჰაერს ღრმად და მძიმედ ისუნთქავდა, შიშისგან კი პირიდან ნერწყვი გადმოსდიოდა.

საშინელება მოხდა! იგი თავად დიდი ინკვიზიტორის, სახელოვანი პედრო არბუეს დ’ესპილას მკლავებში იმყოფებოდა; ეს უკანასკნელი მას ისე უცქერდა, როგორც კეთილი მოძღვარი, დაკარგული ცხვარი რომ იპოვა და თვალებში ცრემლები ჩასდგომოდა.

დაღვრემილი მღვდელი საბრალო ებრაელს იმგვარი გულმოდგინებითა და სიყვარულით იკრავდა გულში, რომ ძაძის უხეში ქსოვილი, რომელიც ანაფორაში ჩამალულიყო, დომინიკელის მკერდს კაწრავდა. და რებე აზერ აბარბანელი თვალების ბრიალითა და შიშისგან ხრიალით ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ ყველაფერი, რაც დღეს გადახდა ამ საბედისწერო საღამოს, მხოლოდ მორიგი წამება, იმედით წამება იყო! გულდამძიმებული მზერით შეჰყურებდა იგი ინკვიზიტორს, რომელმაც საყვედურით დაუქნია თავი და თავისი ცეცხლოვანი, მარხვის გამო არაჯანსაღი ამოსუნთქვით ჩასჩურჩულა რაბინს ყურში:

— რად მოიქეცით ასე, შვილო ჩემო! იქნებ ხვალ გადარჩენილიყავით... თუმცა თქვენ ჩვენი დატოვება გადაწყვიტეთ!

თარგმნა **დიანა მიქელაძემ**

ჯერ წინათქმაა.

აქ მწერალს მისივე ორეული ესაუბრება. აქეზებს — ნუ გეშინია, დაწერე, სიმამაცე შემდგარი მცდელობააო.

რისი უნდა ეშინოდეს არაჩვეულებრივი მოთხრობების („ნატყვიარი“, „მავთულხლართი“, „გამორთული მთვარე“...) ავტორს?!

მაგრამ რომანი მაინც სხვაა. სხვა წონისა და ზომის საჯილდაო ქვა!

* * *

შემდეგ პროლოგია.

აქ უკვე საკუთარ გმირს ესაუბრება მწერალი.

მწერლობა, უპირველესად, ხატვის ხელოვნებაა.

მწერლობა, რა თქმა უნდა, თხრობის ხელოვნებაცაა.

ზოგს ერთი უფრო ეხერხება, ზოგს — მეორე.

იშვიათად — ორივე.

გიორგი სოსიაშვილი თხრობისა და ხატვის ოსტატია.



აი, როგორ და როგორი შემოჰყავს მწერალს მთავარი პერსონაჟი — წყაროსთან ჩამუხლული:

„ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ბეჭებიდანაც მიმზერდა და მისმენდა. თითქო ზურგი არც ჰქონდა, სულ „ერთმხრიანი“ არსება იყო. კარგა ხნის შემდეგ, წყურვილი რო მოიკლა, ვეება ხელები, ხარს ერთი დაქნევით რქებს რო დაამტვრევდა, წყაროს მიუშვირა, მერე სველი მტევნები თმაზე გადაისვა, წვერი ჩამოისწორა და ფეხზე წამოდგა.“

საინტერესოა მათი დიალოგი.

ბოლოს საკუთარ თავგადასავალსაც უამბობს და ნებასაც დართავს, რომ დაწეროს...

თხრობა კიდევ უფრო დიდ ოსტატობას მოითხოვს მაშინ, როცა პერსონაჟი გვიამბობს და არა — ავტორი.

დამაჯერებლობისა და ნამდვილობის მიღწევა ამ დროს გაცილებით რთულია.

გიორგი სოსიაშვილს ეს სირთულე წარმატებით აქვს დაძლეული.

* * *

ეს გიორგი სოსიაშვილის პირველი რომანია.

ორწიგნეული, ანუ რომანი — დილოგია: „გოდების კედელი.“

წიგნი პირველი.

ვფიქრობ, „ორი სიტყვით“ როგორ გადმოვცე 433 გვერდზე გაშლილი თხრობის მოკლე შინაარსი.

ანკი უნდა გადმოვცე?

* * *

გულახდილად ვიტყვი: ძალიან მომწონს გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ მისი, როგორც პროზაიკოსის კალამი და სათქმელი ამოდენა რომანს გასწვდებოდა.

ეს კი მართლაც შთამბეჭდავი მონუმენტური ტილოა.

არსებობენ მხატვრები, რომლებიც ძალიან დახვეწილ და პოეტურ მცირე ზომის ნახატებს ქმნიან, მაგრამ დიდ ტილოებს არ/ვერ ეჭიდებიან.

ასეთი მწერლებიც არსებობენ.

არსებობენ კი არა, რა გაძლებდა უმათოდ?!

მაგრამ...

არიან მხატვრები და მწერლები, რომელთაც ორივე ერთნაირად ხელეწიფებათ.

გიორგი სოსიაშვილიც ასეთი აღმოჩნდა.

შემთხვევით არ უწოდა მის რომანს თამარ გელიტაშვილმა „ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა.“

რატომ კავკასიური?

იმიტომ, რომ რომანი — ტილო მთელს კავკასიას სწვდება. ამ დიდ სივრცეში იშლება მოქმედება, რომლის პერსონაჟებიც არიან: ქართველი ბაქარი, ოსი — ბათო, ქართველი ებრაელი ტატო, ქისტი ჯარაფი...

მთავარი გმირი ბაქარია — პაპის გაზრდილი ბიჭი.

არ ვიცი, უნდა გითხრათ თუ არა, რატომ მოიკლა თავი ბაქარის მამამ, რატომ

მანამდე კი ქართველი მხედრიონელები ჩაცხრილავენ ლიახვისხეობელ ბიჭებს, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, თბილისიდან შინ რომ ბრუნდებიან. და ერთი მოთხრობის ტოლფასი ფრაზა, ანუ ეპოქის მეტაფორა: „წურწურით გასდიოდა ქართული სისხლი რუსულ ავტობუსს.“

* * *

ტატო ისრაელში წავა. ბაქარის კიდევ ერთ ძმაკაცს (გეგას) ოჯახის წევრებთან ერთად მოკლავენ.

ბაქარი შურისსაძიებლად მიდის.

* * *

მეორე წიგნი.

რა აღარ გადახდება ჩვენს მთავარ გმირს — ბაქარს?!

ჯერ პანკისის ხეობაში ჩავა და ქისტ ჯარაფს ძმად გაეფიცება; ძმადშეფიცულნი ერთად წავლენ რუსული ბლოკპოსტებით მოფენილ ჩეჩნეთში. იქ ჯარაფს მოკლავენ, ბაქარს კი ცოცხლად შეიპყრობენ და დიდხანს ახეხინებენ ტამბოვის ციხეს.

პაწია ჩიტისთვალა ყვავილს წაანყდება. ეს პაწია ყვავილი აქ ისეთივე იმედისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოა, როგორც ბირკა ტოლსტოის გენიალურ მოთხრობაში — დაღესტნის გადახნულ ველზე ჯიუტად წამომდგარი.

* * *

მთავარი, რაც რომანის გმირს ყველაზე მეტად ტანჯავს, ის არის, ომის დროს საქართველოში რომ არ იყო.

სამშობლოში დაბრუნებული, უპირველესად, თავის ოს ძმაკაცს — ბათოს მოძებნის. ამაღელვებელია მათი შეხვედრა. მავთულხლართსაც გაჭრიან, გერის წმინდა გიორგის და ძვირფას საფლავებსაც მოინახულებენ. მომხდარსაც ერთად გაანალიზებენ, გულსაც მოიოხებენ, თავიანთი აზრით, მომავალი ბრძოლების კონტურებსაც მოხაზავენ...

ბაქარი კი ისევ დევნილთა დასახლებაში დარჩება, თანასოფლელ ელიზბართან. მრავალტანჯულ კაცს სულ იმას უმეორებს, ამდენს ნუ სვამო, ბოლოს კი ელიზბარს

იოსებ ჭუმბურიძე

ხელახლა დასაბადებლად...

წავიდა დედა მონასტერში, რატომ ვერ იტირა ბაქარმა პაპა, რომელმაც მკაცრად გაზარდა...

მსგავს ამბებს, ალბათ, სხვებიც შეთხზავდნენ, მაგრამ ამას და ასე მხოლოდ გიორგი სოსიაშვილი დაწერდა:

„ერთი ცრემლი მაინც ჩამომგორებოდა, მამობაც ამან გამიწია და დედობაც... უცრემლოდ მიდიოდა აბიათარი... წვეთი დამეცა სახეზე. ცას ავხედე, სათოვლე პირი უფრო უჩანდა, მაგრამ იტყოდი, ცრემლგამშრალს, ერთი წვეთი პაპასთან გასატანებელი ცრემლი გამჩენმა ჩამომიგდო.“

პაპა რომ მიწას მიაბარა და გამობრუნდა, ბაქარმა ქვას წამოჰკრა ფეხი. და აქ: „თითქო უკანასკნელად მომცა რჩევა აბიათარმა: „ფრთხილად ბაქარ!“

* * *

ცალკე თემაა სიზმრის ფუნქცია ამ მრავალპლანიან რომანში. ზოგჯერ გგონია, რომ სიზმარ-ცხადი ერთმანეთშია არეული. იმის დაჯერებაც კი აღარ გიჭირს, რომ ცხოვრება სიზმარია.

და როგორ არ გაგვახსენდეს აკაკი გაწერელია: „შეუძლებელია, ეს მომხდარიყო, შეუძლებელია, ეს არ მომხდარიყო!“

დიახ, მაღალმხატვრულ ქმნილებას დაუჯერებელიც კი ეჭვშეუვალის რანგში აჰყავს.

ასეთია ამ რომანში, მაგალითად, დედის გამოცხადება და კიდევ არაერთი ეპიზოდი.

დედა პატიებას სთხოვს.

„რა ვთქვა — თითქო სხვისი ხმა ამოვუშვი, მოფერება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. უფრო ახლოს მივიხუტე, რომ ჩემი სიცივე არ ეგრძნო“...

და შემდეგ, როცა (ცხადში) დედის საფლავს მიაგნებს: „ყინავდა, სახეს მიწვავდა სუსხი, მაგრამ რაღაც უცნაურ სითბოს ვგრძნობდი... გულის ჯებირზე გადმოვიდა ცრემლი და თვალებში იპოვნა გზა. თბილი იყო იმ ადგილას მიწა. ფეხის გულები გამითბა. ხილვასა თუ სიზმარში ნანახი შავოსანი ქალის ხმა ჩამესმა: „მოხვედი?“

* * *

რაც მთავარია, ყველაფერი, რაც რომანში ხდება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან ორგანულად არის დაკავშირებული. აქ არეკლილია თითქმის ყველა განსაცდელი, რაც უკანასკნელ ათწლეულებში გამოგვივლია.

აქ გავიგებთ, რატომ არის კავკასია ჩვენი სხეული, ხოლო ლიახვის ხეობაც — წმინდა და აღთქმული მიწა; რას ნიშნავს კადიში; დავინახავთ, როგორ თანდათან ამზადებს და აძლიერებს მესამე ძალა „ქართულ-ოსურ“ (?!) კონფლიქტს.

ამასობაში 2008 წელი დადგება. რუსეთ-საქართველოს ომი ლიახვის ხეობასა და ბაქარის სოფელს მავთულხლართს იქით მოაქცევს. დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს, დევნილთა დასახლებაში თანასოფლელი შეიკედლებს...

მოკლედ და სქემატურად, ასე შეიძლება გადმოიცეს მეორე წიგნის (410 გვერდი) შინაარსი.

მაგრამ მთავარი ის სული და „ხორცია“, ამ სქემას რომ სიცოცხლითა და მხატვრული ძალმოსილებით აღავსებს.

სქემა, ალბათ, არც უნდა მეხსენებინა, რადგან ამ რომანის მთავარი ღირსება სწორედ არასქემატურობაა.

ანკი რომელი სქემა დაიტევს ამდენ საინტერესო ამბავს?!

მაგალითად, ხასოს ნაამბობს შამილსა და ბაისანგურზე. შამილზე ბევრი რამ ვიცით, მაგრამ ბაისანგურზე — თითქმის არაფერი. ამიტომაც იკითხება გაუნელებელი ინტერესით მონათხრობი ცალხელა და ცალფეხა კაცზე, რომელიც „ცხენზე თოკებით ჰყავდათ დაბმული და ისე იქნევდა ხმალს“ და ვისი დახმარებითაც გახდა შამილი იმამი.

* * *

რომელი სქემა აიტანს და შეეგუება ასეთს ეპიზოდებს:

კაცს ჰგონია, რომ ფიქრობს, სინამდვილეში კი, თურმე, ხმამაღლა ლაპარაკობს...

ორი კაცი ერთსა და იმავე სიზმარს ნახავს. ერთი ისმენს, როგორ უყვება მის სიზმარს მეორე კაცი მესამეს...

სამშობლოში დაბრუნებულ ბაქარს ჯარაფი გამოეცხადება და დუისში ხასოსთან ჩასვლას სთხოვს. თვალისჩინწართმეულ ხასოს ეჩვენება, რომ ჯარაფი ელაპარაკება. ბაქარსაც უკვირს, ჯარაფის ხმით რომ საუბრობს...

ბაქარი შეყვარებულის სიზმარში შედის და ამბობს: „ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა მოეცა უფალს ჩემთვის, რომ მის სიზმარში შემიშვა. ღმერთო, ჩემი თავიც დავინახე“...

აქ ზემოთქმული უნდა გავიმეოროთ: შეუძლებელია, ეს მომხდარიყო, შეუძლებელია, ეს არ მოხდარიყო.

* * *

რომანი დახუნძლულია დრამატული კოლიზიებით, ბრძნული და აფორისტული გამონათქვამებით, ღრმად სიმბოლური დეტალებით.

თავის გადამწვარ სახლში, სადაც ერთი ნივთიც არ გადარჩენილიყო, ბაქარი ჭურჭლის ნამტვრევებში თავამოყოფილ

იქით გააოცებს. გალოთების პირას მისულს ებრაელი მეგობრის ზარი გამოაფხიზლებს — ტატო ისრაელში ეპატიჟება. წავა. გამომშვიდობებისას ელიზბარი ცრემლიანი თვალებით ეტყვის: „ვიცი, რომ ჩამოხვალ, აბიათარი არ მოგასვენებს.“

ტატო მხატვარია. მის ნახატებზე ბაქარი ბედნიერ ბავშვობასაც იხილავს, ძელიცხოველსაც, დედათა მონასტერში წასულ ულამაზეს სატრფოსაც და გამზრდელ პაპასაც....

აბიათარი კი რის აბიათარია, რომ მოასვენოს.

* * *

ტატო და ბაქარი იერუსალიმში ერთად გაივლიან გოლგოთისკენ მიმავალ გზას. ბაქარს ისეთი განცდა აქვს, თითქოს, ისიც ჯვარს ეზიდება, ბრბო კი ყიჟინითა და ფურთხებით მისდევს. იმდენად ნამდვილია ეს განცდა, რომ სახეზე ხელსაც მოისვამს ფურთხის მოსაწმენდად. „ცუდად ხომ არ ხარ?“ — ეკითხება ტატო, წყალსაც მიაწვდის. ცხვირიდან სისხლი წასკდება და პერანგს დაულაქავებს. და ბოლოს — ფრაზა, რომლისთვისაც, ალბათ, დაიწერა ეს ვეებერთელა რომანი: „ვგრძნობდი, რომ ჩემი ხელახალი დაბადება იწყებოდა.“

საერთოდ, ყველა ნამდვილი რომანი ამისთვის იწერება.

ხოლო თუ რატომ ჰქვია „გოდების კედელი“, ამას, ყველაზე ნათლად, მაინც ეპილოგი მიგვახვედრებს.

სწორედ გოდების კედელთან გაიაზრებს ბაქარი საკუთარ თავგადასავალს და შემდეგ იტყვის: „ვიგრძენი, როგორ ახლოს იყო ჩვენი ორმოცწლიანი ხეტიალის დასასრული.“

და განა სჭირდება მტკიცება იმას, რომ რომანის ავტორის რწმენაც ეს არის?..

შემდეგი ნომერი გამოვა 15 მაისს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004